საქართველო - MILENIUM CHALLENGE COUNT-ის წევრი A3

აჭარა - ამაყად, ლაღად და თავისუფლად ჟღერს A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 8 მაისი, 2004 წელი. №108 (657)

ფასი 50 თეთრი

# მთავრობა აჭარაზე ერთვება

სოფო ბუკია

*"აჭარული რევოლუციის" შემდეგ საქართველოს მთავრობა ავტონომიურ რესპუბლიკაში შემდგომი ღონისძიებების გატარებაზე მსჯელობს. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგის ერთადერთი საკითხი აჭარაში გასატარებელი ღონისძიებები გახლდათ. "დღეს ჩვენი მოვალეობაა, აბაშიძის წასვლის შემდეგ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ უზრუნველვყოთ აჭარაში უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარება," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ.*

ფინანსთა სამინისტრო პენსიებისა და ხელფასების დარიგებას დაიწყებს; ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხიდებს აღადგენს;

სოფლის მეურნეობის მინისტრი რეგიონის მაღალმთიან რაიონებში "საბედისწერო" სასუქს ჩაიტანს;

ეკონომიკის მინისტრი რეგიონში არსებულ საწარმოთა ქონებას და მათ ღირებულებას აღრიცხავს;

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველოს მთავრობამ ჩვეულებრივი დღის წესრიგი აჭარაზე მსჯელობით შეცვალა.*

# ოპოზიცია პლებისციტის ჩატარებას ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

*აჭარაში რევოლუცია დამთავრდა, ავტონომიური რესპუბლიკის გარშემო კი თბილისში ახალი ვნებათაღელვა ჩაღდება: ოპოზიცია პლებისციტის ჩატარებას ითხოვს, რომელმაც უნდა გაარკვიოს, სურთ თუ არა ავტონომიის შენარჩუნება თავად აჭარლებს.*

გუშინ საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო განცხადება, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო აჭარის კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებას მიესალმება. დეპუტატთა ერთსულოვნება ეჭვის ქვეშ მაშინ დადგა, როდესაც კობა დავითაშვილმა მოითხოვა, განცხადების ტექსტში შესულიყო მოთხოვნა პლებისციტის გამართვის შესახებ. მის ინიციატივას, მემარჯვენე ოპოზიციის სახელით, დავით გამყრელიძემაც დაუჭირა მხარი.

**"ამჟამად ყველაზე ხელსაყრელი ვითარებაა შექმნილი ავტონომიის გასაუქმებლად,"** - ასე ჟღერდა ოპოზიციის მთავარი არგუმენტი (უმრავლესობის წევრთაგან აჭარის ავტონომიის გაუქმებას ზვიად ძიძიგურიც მიესალმა).

კობა დავითაშვილისა და მისი მხარდამჭერების მოთხოვნაში პარლამენტის თავმჯდომარემ საკმაოდ დიდი საფრთხე დაინახა. ნინო ბურჯანაძის თქმით, **"ისედაც მყიფე ვითარებაში, დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორების შემოტანა ნამდვილად არ არის სასურველი."** სპიკერმა დეპუტატებს ისიც გაახსენა, რომ პრეზიდენტი აჭარლებს და მთელ საზოგადოებას ავტონომიის ხელშეუხებლობას დაჰპირდა.

ოპოზიციის მოთხოვნა არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძისთვის აღმოჩნდა მისაღები. მისი აზრით, პლებისციტის ჩატარების საკითხი ოდესმე დადგება, მაგრამ დღევანდელ ემოციურ ფონზე

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსული პოლიტიკური სპექტრის პირველი რეაქცია

**აჭარაში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა**

ლელა ანჯაფარიძე
*რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური*

ამა წლის 6 მაისს რუსეთის წამყვანმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს პრეზიდენტ პუტინის როლს აჭარაში კონფლიქტის მოწესრიგებაში: "პუტინმა ითამაშა დადებითი როლი აჭარაში მდგომარეობის განმუხტვაში. მისი დამსახურებაცაა, რომ ყველაფერი დასრულდა სისხლისღვრისა და ძალადობის გარეშე."

ინტერესს იწვევს რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები აჭარაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. რუსეთის უშიშროების საბჭოს პრეს-სამსახურის მიერ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასლან აბაშიძემ, ავტონომიის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შედეგად და აჭარაში სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც, სავარაუდოდ, მრავალრიცხოვან მსხვერპლს გამოიწვევდა, გადაწყვიტა საქართველოს დატოვება.

გაგრძელება A8 გვერდზე

# დედაქალაქის ახალი მთავრობა

თამარ დვალი

*გუშინ საკრებულოს წევრებმა ერთხმად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ქალაქის ახალი მთავრობა აირჩიეს. თავისი ადგილი მხოლოდ ორმა ჩინოვნიკმა შეინარჩუნა - მერიის კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით ოქიტაშვილმა და ვიცე-პრემიერმა თემურ ქურხულმა.*

სანამ საკრებულოს სხდომათა დარბაზში ფარული კენჭისყრა მიმდინარეობდა, საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატები მილოცვებს წინასწარ იღებდნენ. მართლაც, პრემიერის მიერ წარდგენილი კანდიდატები საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ახალი და ძველი სავარძლების მოლოდინში.*

## ეკონომიკა

### ნავთობპროდუქტების ფასმა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია

თბილისის ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასებმა მოიმატა. ერთი ლიტრი სხვადასხვა კატეგორიის ბენზინის ღირებულება საშუალოდ 10-15 თეთრით გაიზარდა. საქართველოს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის შეფასებით, ამის მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კატასტროფული ზრდა გახლავთ.

A4

## უცხოეთი

### დონალდ რამსფელდის მძიმე დღეები

გუშინ დონალდ რამსფელდს კონგრესის ორივე პალატის თავდაცვის კომიტეტების წინაშე გამოსვლა და ბოდიშის მოხდა უწევდა. მიზეზი კი უკვე რამდენიმე დღეა სენსაციად ქცეული ფოტოებია, რომლებიც ერაყელ პატიმრებზე ამერიკელი სამხედროების შეურაცხმყოფელ მოპყრობას ადასტურებს. მას ძალიან არასასიამოვნო კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს, ერაყელი პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. ეს მოსმენები რამსფელდისთვის, შესაძლოა, კარიერის დასასრულის დასაწყისიც გახდეს.

A5

## საზოგადოება

### ორგანიზებული ქაოსი!

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის შეფასებით, დარგში შექმნილი იყო ორგანიზებული ქაოსი, რომელიც დევნილთა სრულიად მოუწესრიგებელ აღრიცხვიანობასთან ყოფილა დაკავშირებული. ამის გამო, ისედაც მწირი ბიუჯეტის სახსრები უმოწყალოდ იფლანგებოდა და მავანთა ჯიბეებში ილექებოდა.

A6

## სამართალი

### უზენაესმა სასამართლომ გენერალ რომან დუმბაძეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილი მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის იმ 15-კაციანი გარემოცვიდან, რომლებსაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმე კვირის წინ მძიმე ბრალდებები წაუყენა, ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც სამართალდამცველთა რისხვა რეალურად დაატყდა თავს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 27 |
| თელავი | 26 |
| ზუგდიდი | 28 |
| გორი | 24 |
| ახმეტა | 27 |
| ჭიათურა | 27 |
| გაგრა | 23 |
| სამტრედია | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9600 |
| ევრო | 2.3596 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5013 |
| რუბლი | 0.0677 |

# ზურაბ ჟვანიას საბიუჯეტო ბრძოლა ორ ფრონტზე უწევს

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცესს ყოველთვის ერთი თავისებურება ახასიათებს: აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დეპუტატები თავიდან თითქოს უკმაყოფილონი არიან, უმრავლესობაც და ოპოზიციაც მის ცალკეულ მუხლებს აკრიტიკებს, მაგრამ, როგორც კი საქმე კენჭისყრამდე მიდის, ბიუჯეტის პროექტი უპრობლემოდ მტკიცდება. ჩავარდნის საფრთხე, ცხადია, არც 2004 წლის ძირითად ეკონომიკურ კანონს ემუქრება, რომლის პირველი მოსმენით განხილვა პარლამენტში გუშინ დაიწყო. თუმცა, სახელისუფლებო გუნდის წევრების მხრიდან პრეტენზიები მაინც გაისმა და ამან პრემიერ-მინისტრი ძალიან გაანაწყენა.*

**"ეს არ არის ოცნების ბიუჯეტი. ჩვენ მთავრობა ვართ და არა ოქროს თევზი, რომელსაც ყველა სურვილის შესრულება შეუძლია. აღმასრულებელ ხელისუფლებას ჯადოსნური ჯოხი არ გააჩნია, რომ ყველა პრობლემა ერთბაშად მოაგვაროს,"** - დეპუტატების "უმადურობით" აღშფოთებული იყო ზურაბ ჟვანია. მან პარლამენტარებს არაერთხელ გაუმეორა, რომ მიმდინარე წელს ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი, მართალია, 523 მილიონი ლარით იზრდება, მაგრამ უკლებლივ ყველა სფეროში "საოცნებო მდგომარეობის" შესაქმნელად ეს თანხაც არ არის საკმარისი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჭარის დროებითი მმართველობა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა დაასახელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი საბჭო, რომლის მთავარი ამოცანა არჩევნებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მართვა იქნება. საბჭოს შემადგენლობაში შევიდა 19 კაცი, მეოცე ადგილი, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, შემონახულია საზოგადოების იმ ღირსეული წევრისთვის, რომელიც, შესაძლებელია, გამორჩა. საბჭომ უკვე დაიწყო მუშაობა რეგლამენტისა და დებულების განსაზღვრაზე. საბჭოს უხელმძღვანელებს საქართველოს რკინიგზის ყოფილი შეფი ლევან ვარშალომიძე.

*24 საათი*

# ვნებათაღელვა აჭარის ტელევიზიის გარშემო

ვერიკო თევზაძე

*ზაზა შენგელიამ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს განუცხადა, აჭარის ტელევიზიისთვის აპარატურის წართმევას არ ვაპირებდით.*

პირიქით, ბრძანა ბატონმა ზაზამ, აჭარაში ჩემს ჩასვლამდე მაროდიორობის ფაქტი მოხდა და როგორც კი ჩავედი, მაშინვე მოვთხოვე პოლიციას, ეს შემთხვევა აღრიცხვაზე აეყვანაო. შენგელიამ განმარტა, რომ მის შესახებ გავრცელებული ჭორები "გარკვეული ძალების" ინტერესებში შედის.

ბატონმა ზაზამ პრესკონფერენციაზე აჭარის ტელევიზიის წარმომავლობაზე გაამახვილა ყურადღება - აჭარის ტელევიზია საქართველოს ტელევიზიის ბაზაზე შეიქმნა, ტექნიკითაც უზრუნველვყავით და კადრებიც გადავუმზადეთო.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 რეკლამა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ეკო

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 კვირა | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ოპოზიცია პლებისციტის ჩატარებას ითხოვს

პირველი გვერდიდან



*კობა დავითაშვილი კენჭისყრას ითხოვდა.*

ამის გაკეთება საჭირო არ არის.

დისკუსიაში ჩაერთო პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განსახილველად მისული პრემიერ-მინისტრიც. მან დეპუტატებს აუწყა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი უკვე გაუქმებულია და მომავალში ჩოლოქის ტიპის ინციდენტის გამოსარიცხად, სხვა საკონსტიტუციო და სამართლებრივი ცვლილებების განხორციელებაც იგეგმება.

**"ამის შემდეგ ნაკლები მნიშვნელობა ექნება სიმბოლურ ტერმინებს, რომლის მიმართაც არა მარტო ჩვენ, არამედ სხვებიც მგრძნობიარენი არიან,"** - აჭარის ავტონომიის სტატუსის ფორმალობამდე დაყვანაზე საუბრობდა ზურაბ ჟვანია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ბანაკი დაჟინებით მოუწოდებდა კობა დავითაშვილს, რომ საკუთარ "ინოვაციაზე" უარი ეთქვა, თავისი წინადადება მან მაინც არ მოხსნა. კენჭისყრის შედეგად კი გაირკვა, რომ პლებისციტის ჩატარების იდეას პარლამენტში მხოლოდ 28 მხარდამჭერი აღმოაჩნდა.

გუშინდელი მარცხის მიუხედავად, საეჭვოა, რომ აჭარაში ავტონომიის გაუქმების მომხრეებმა იარაღი დაყარონ. თავისი მოთხოვნის გატანას ისინი კვლავაც შეეცდებიან.

# ნავთობპროდუქტების ფასმა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია

*თბილისის ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასებმა მოიმატა. ერთი ლიტრი სხვადასხვა კატეგორიის ბენზინის ღირებულება საშუალოდ 10-15 თეთრით გაიზარდა. საქართველოს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის შეფასებით, ამის მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კატასტროფული ზრდა გახლავთ და არავითარ კავშირში არ არის არც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და არც უშუალოდ პროდუქციის იმპორტიორებთან თუ რეალიზატორებთან.*

გუშინ ყველა უცხოური საინფორმაციო სააგენტო იუწყებოდა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასებმა, ბოლო 14 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. ამის მიზეზად, აშშ-ში ბენზინის ფასების არაპროგნოზირებადი გაძვირება სახელდება, რაც შეერთებული შტატების ბენზინის მარაგის შემცირებით არის განპირობებული. ეს მარაგი დღეისათვის 200 მილიონ ბარელს უტოლდება, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 2,7 პროცენტით დაბალია.

ანალიტიკოსები, გარიგებების მცირე ბრუნვის გარდა, ნავთობის ფასების ასეთი მკვეთრი ზრდის მიზეზად "ემოციურ" ფაქტორსაც ასახელებენ და ასეთად 1 მაისს საუდის არაბეთში "ალ-ქაიდას" დაჯგუფების მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს მიიჩნევენ, რომელსაც "ნავთობის დედაქალაქად" წოდებულ ქალაქ იანბუში ჰქონდა ადგილი. სპეციალისტების მიერ მიზეზად სახელდება, აგრეთვე, აშშ-ში ბენზინის მოსალოდნელი დეფიციტი და ჩინეთსა და ინდოეთში ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების ზრდა. მოგვიანებით, ნავთობპროდუქტების სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის შემაშფოთებელი ინფორმაცია გავრცელდა - ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე, ლონდონში ფასების წარმოუდგენელი მაჩვენებელი, ერთ ბარელზე 37 აშშ დოლარის, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე კი 39,57 დოლარის საფასური დაფიქსირდა. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ერთი ბარელი ნავთობის ფასი, საშუალოდ, 20-25 აშშ დოლარით განისაზღვრება.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ აისახა შექმნილი ვითარება საქართველოზე. ერთი ტონა უმაღლესი კატეგორიის ბენზინის იმპორტი (მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად) აპრილის თვის პირველ რიცხვებში 345 დოლარი ჯდებოდა; დღეისათვის იგივე საფასურმა 442 დოლარს მიაღწია. ანუ, რეალურად გაიზარდა მისი საბითუმო ფასი. შექმნილი ვითარების ფონზე, ნავთობიმპორტიორები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში საერთაშორისო ბაზარზე ბენზინის ღირებულების შემცირება მოსალოდნელი არ არის.

***ნინო ნარჩემაშვილი***

# მკვლელობა რესტორან "კრისტალში"

გუშინ გვიან ღამით ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე რესტორან "კრისტალში" საზარელი მკვლელობა მოხდა. 17 წლის გიორგი გელაძის მკვლელობის მოტივად სამართალდამცველები ურთიერთშელაპარაკებას ასახელებენ. მათივე ინფორმაციით, დადგენილია მკვლელობაში ეჭვმიტანილიც, რომლის ვინაობასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცველები არ ასახელებენ. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავების სანქცია გუშინვე გასცა სასამართლომ.

"გელაძე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლეს. პირველადი მონაცემებით, მას დანით ოთხი ჭრილობა აქვს მიყენებული. ექსპერტიზის პასუხი მოგვიანებით გახდება ცნობილი.", - აცხადებს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი თამაზ გეთია.

რესტორან "კრისტალში" მომხდარ საზარელ მკვლელობასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით. ამ ეტაპზე ჩვენთვის მხოლოდ ის გახლავთ ცნობილი, რომ მოკლული და მკვლელობაში ეჭვმიტანილი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ისინი მეგობრებთან ერთად სხვადასხვა სუფრაზე ქეიფობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი გელაძე პოლიციის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის შვილია.

# საერთაშორისო ორგანიზაციები კმაყოფილებას გამოთქვამენ

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ერთიანი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა აჭარაში დაძაბულობის მშვიდობიან მოგვარებას მიესალმება. "მჯერა, რომ ამ რეგიონში აღდგება ცხოვრების ნორმალური რიტმი და სიმშვიდე", - აცხადებს სოლანა და დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის პოზიციას, რომელიც პატივს სცემს აჭარის ავტონომიის სტატუსს.

ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აჭარის პრობლემის მოგვარებაში კონსტრუქციული როლი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამაც შეასრულა. ხავიერ სოლანა იმედს გამოთქვამს, რომ აჭარაში სიტუაციის მოგვარება იქნება საქართველოს ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების მოგვარების პოზიტიური პრეცედენტი.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერიც კმაყოფილებას გამოთქვამს აჭარის კრიზისის სისხლისღვრის გარეშე გადაწყვეტის გამო. საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის ცნობით, შვიმერმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა, სადაც მოიწონა პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ ამ საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. წერილში ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ საქართველომ, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრია 1999 წლიდან, ახლა უფრო მეტი მზადყოფნა და ნება უნდა გამოხატოს 45-წევრიანი ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. გენერალური მდივანი, მიხეილ სააკაშვილისადმი მიწერილ წერილში, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას საქართველოს ავტონომიური ტერიტორიებისათვის სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზა, მათთვის ფართო ავტონომიის გარანტიით.

***მედია-ნიუსი, პრაიმ-ნიუსი***

# ინციდენტი აჭარის უზენაესი საბჭოს წინ

ასლან აბაშიძის საქართველოდან წასვლის შემდეგ ბათუმში გუშინ პირველად გაისმა სროლის ხმა. ისროდნენ უზენაესი საბჭოს წინ. სროლა ატყდა აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის დაცვის წევრების აქციაზე.

სამთავრობო დაცვის თანამშრომლები, რომლებიც გუშინ დილიდან მართავდნენ აქციას უზენაესი საბჭოს წინ, სახელფასო დავალიანების დაფარვასა და სამუშაო ადგილებით დაკმაყოფილებას ითხოვდნენ. დაცვის თანამშრომელთა მოთხოვნებს კატეგორიულად დაუპირისპირდნენ მოქალაქეები, რომლებიც საკუთარ თავს მათი აგრესიის მსხვერპლად მიიჩნევენ. ისინი აცხადებდნენ, რომ დაცვის თანამშრომელთა მოთხოვნები ყოველგვარ ზნეობრივ საზღვარს სცილდება.

დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჰაერში ისროლა, რის შემდეგაც აქციის მონაწილეებს მოსახლეობა უკვე აქტიურად დაუპირისპირდა და კამათი სერიოზულ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. სიტუაციის განეიტრალება მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც კონფლიქტში საქართველოს შინაგანი ჯარის წარმომადგენლები ჩაერივნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარი ინციდენტისას დაშავდა ერთი ადამიანი, რომელიც ყოფილი სამთავრობო დაცვის თანამშრომელია.

თვითმხილველთა განცხადებით, შელაპარაკებისას ყოფილი დაცვის წევრები ცივი იარაღის გამოყენებას შეეცადნენ. შემთხვევის ადგილზე მივიდა უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა. აქციის მონაწილე დაცვის წევრებმა გაქცევა მოახერხეს.

***24 საათი***

# 14 წლის გოგონას სხეულიდან მირონი გადმოედინება

14 წლის რუსთაველ გოგონას სიზმრად ნანახი ხილვის შემდეგ სხეულზე ჯვრები გამოესახა, საიდანაც მირონმა დაიწყო დენა. სასულიერო პირები ამ სასწაულის შესახებ კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებენ. გოგონას ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები, რომლებიც ამ უჩვეულო მოვლენის თვითმხილველები არიან, ზებუნებრივ ღვთიურ მოვლენად აღიქვამენ მომხდარს და გოგონასთან ერთად ლოცულობენ ხატებთან, რომლებიდანაც მირონის გადმოდინება იწყება, როცა გოგონა მათ წინაშე ლოცვას წაიკითხავს.

რუსთავში მცხოვრები თაბუკაშვილების ოჯახში სასწაული აღდგომის წინ, დიდ ხუთშაბათს დაიწყო. როგორც თავად თამუნა თაბუკაშვილი იხსენებს, მან სიზმრად ნახა ორი ხე - თეთრი და შავი.

"თეთრი ხიდან თეთრი მანდილი გადმოვიდა შავზე და ისიც გათეთრდა. ახლაც არ მახსოვს, როგორც აღმოვჩნდი შემოსასვლელში, დიდი სარკის წინ. ინსტინქტურად ჩამოვიწიე სალამური და სარკე ოქროსფრად განათდა. შემდეგ დავინახე, რომ ეს მკერდზე გამოსახული ჯვარი იყო," - ჰყვება გოგონა. მისივე თქმით, შემდეგ მან ღვთისმშობელიც იხილა, ხოლო აღდგომის დღეს მკერდზე გამოსახული ჯვრიდან ზეთოვანი სითხე, მირონი გადმოვიდა.

გოგონას დედა ამბობს, დილით შვილი სახეშესიებული და ტუჩებდალურჯებული რომ ვნახე ათასი რამ ვიფიქრე, მაგრამ ყველაფრის გარკვევისა და ყველა სხვა მიზეზის გამორიცხვის შემდეგ, მივხვდი რაც ხდებოდა და თამუნა მაშინვე ეკლესიაში წავიყვანეო. დედა იმასაც ადასტურებს, რომ მანამდე ის ჩვეულებრივი გოგონა იყო და განსაკუთრებული რელიგიურობით არ გამოირჩეოდა.

ორი დღის წინ მათ სახლში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გადაასვენეს. იმავე საღამოს თამუნამ მის წინ ილოცა და ხატიდან მირონი წამოვიდა. გოგონას მასწავლებლები აცხადებენ, რომ მირონი სდის მათი სკოლის სამლოცველოში დასვენებულ ხატებსაც. თამუნას მოძღვარი უარს აცხადებს ამ მოვლენაზე ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთებაზე. როგორც თავად გოგონას ახლობლები ამბობენ, სასულიერო პირები განსაკუთრებით მირონის ასე უხვად გადმოდინებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი თქმით, საქართველოში არაერთი პრეცედენტი მომხდარა 13-14 წლის გოგონების სხეულზე ჯვრების გამოსახვის, თუმცა თამუნა თაბუკაშვილის შემთხვევა იმით არის უნიკალური, რომ გოგონას თავდაპირველად გამოსახული ჯვრებიდან, ახლა კი უკვე თვალებიდანაც ზეთოვანი და სურნელოვანი სითხე - მირონი სდის.

***მაია მოსიაშვილი***

# ახალი მინისტრი



*ჯანდაცვის სფეროში "როქის" მონაწილენი.*

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს - ნაციონალური მოძრაობის წევრი, გამოცდილი ოპოზიციონერი და ცნობილი ქირურგი, დოცენტი ლადო ჭიპაშვილი, რომელმაც აღნიშნულ პოსტზე 2,5 თვის წინათ დანიშნული გიგი წერეთელი შეცვალა. წერეთელი მშობლიურ პარლამენტში დაბრუნდა და ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტი ჩაიბარა.

ახალი მინისტრის წარდგინებამ, რომელიც ერთსაათიანი დაგვიანებით დაიწყო და 15 წუთს გასტანა, დიდი ინტერესი გამოიწვია. მართალია, ლადო ჭიპაშვილს მადლობის მეტი ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, მაგრამ იგი დაგვპირდა, რომ სფეროს განვითარების მისეულ ხედვას სულ მალე გაგვაცნობს. ამასთან დაკავშირებით ერთადერთი, რაც მან განაცხადა ისაა, რომ სფეროს განვითარებას გიგი წერეთლის მიერ ჩაყრილ ფუნდამენტზე დაიწყებს. ამ ფუნდამენტის ორსიტყვიანი შეფასება - გიგიმ ორ თვეში ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოასწროო - პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ითავა. წინამორბედისა და თანამოაზრის ქება არც ლადო ჭიპაშვილს დავიწყებია, რომელსაც, თავის მხრივ, თუ ისევ ზურაბ ჟვანიას ვენდობით, სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხანმოკლე ხელმძღვანელობისას, ასევე, ძალიან ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია და ორგანიზატორული ნიჭითაც გამოუჩენია თავი. ერთი სიტყვით და წინასწარი მონაცემებით, ჩვენი ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა საიმედო ხელშია.

***24 საათი***

# ასლანმა დენი თან წაიღო

ასლან აბაშიძის რუსეთში წასვლის შემდეგ რუსეთმა აჭარაში დენის იმპორტი შეწყვიტა. გამორთულია ხაზი "სალხინო", რომლის საშუალებითაც "რაო ეეს როსიი" რეგიონს მოსკოვის მერის - ლუჟკოვის მიერ "ნაჩუქარ" ელექტროენერგიას აწვდიდა.

იმის გამო, რომ დაზიანებულია რუსეთ-საქართველოს ძირითადი მაკავშირებელი ხაზი "კავკასიონი", ამჟამად ქვეყანაში დენის იმპორტი საერთოდ არ ხორციელდება, რაც ენერგოსისტემაში დეფიციტს განაპირობებს. "კავკასიონზე" ამ ორი დღის წინათ წაიქცა რუსეთის მხარეს მდგომი ანძაც, რომლის ხელახლა დადგმაც ვერტმფრენიდან უნდა განხორციელდეს.

იმის გამო, რომ მაისის შუა რიცხვებამდე ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურებზე დენის გამომუშავების ბუნებრივი მატება მოსალოდნელი არ არის, დეფიციტის დასაფარავად რუსეთიდან დენის შემოტანას "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) გეგმავს. შესაბამისი ლიცენზიის მისაღებად მან საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას (სემეკ) თხოვნით უკვე მიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ენერგოსისტემაში დეფიციტია, საბითუმო ბაზარი დენით მაინც ამარაგებს მთელ აჭარას. "გადახდის მაჩვენებლების მიხედვით, რეგიონს 100-პროცენტიანი ელექტრომომარაგება არ ეკუთვნის, მაგრამ ამ ეტაპზე აჭარა დენს შემდგომი გადახდის პირობით მიიღებს," - აცხადებენ ბაზარში.

***24 საათი***

# შპს "ასკანიტის" მოსამსახურეებისა და ბერძენი ინვესტორების დაპირისპირება

ყოფილი ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს ბაზაზე შექმნილი შპს "ასკანიტი" რამდენიმე წლის წინათ ბერძნულმა კომპანიამ შეიწირა. შპს "ასკანიტის" მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი იმთავითვე ადმინისტრაციას დაუპირისპირდა და დროგამოშვებით ცდილობს საპროტესტო და სხვა აქციებით აიძულოს ბერძნული მხარე, მათი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ეს დაპირისპირება არაერთხელ იქნა განხილული სასამართლოს დონეზე. მორიგი აქცია აქ 27 აპრილს დაიწყო და დღესაც გრძელდება. აქციის მონაწილეთა მოთხოვნაა, საწარმოს ქარხნების ნორმალური რეჟიმით ამოქმედება, ხელფასების გაზრდა, კარიერის ბარბაროსული დამუშავების შეჩერება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ლიცენზიის პირობების შესრულება და ა. შ.

თავისი კონტრარგუმენტები აქვს ადმინისტრაციას, რომლის ხელმძღვანელი ნიკოლაუ ლეგომენიდისი მიიჩნევს, რომ ქარხნის წარმადობის მოცულობას კომპანიის ხელმძღვანელობა განსაზღვრავს და არა მუშათა კლასი. იგი ასევე მიიჩნევს, რომ ოზურგეთის რაიონული გამგეობა მოწადინებულია, ბერძნულმა მხარემ დატოვოს საქართველო. გამგეობის პოზიცია გასაგებია, რადგან რამდენიმე წელია შპს "ასკანიტში" პერმანენტული საპროტესტო აქციები იმართება. გარდა ამისა, არ სრულდება ბერძნულ მხარესა და რაიონულ გამგეობას შორის დადებული ხელშეკრულების ცალკეული მოთხოვნები. მოსალოდნელზე ბევრად ნაკლებია ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დონე, არადა, იმედოვნებდნენ, რომ ბერძნული ფირმის სახით რაიონის ბიუჯეტს სტაბილური მსხვილი გადამხდელი შეემატებოდა.

მოკლედ, ამ დღეებში კონფლიქტურმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. წუხელ გვიან ღამით აქციის მონაწილეებსა და ფირმის ადმინისტრაციას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე შეხვდა. მინისტრის განცხადებით, შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის დაპირისპირებულ მხარეთა პრეტენზიებს და მრუდსა და მართალს გამოარჩევს.

***თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან***

## ორი სიტყვით

**თბილისი**. აშშ მადლობას უხდის რუსეთს, განსაკუთრებით კი ვლადიმირ პუტინს და იგორ ივანოვს იმ კონსტრუქციული როლისთვის, რომელიც მათ შეასრულეს აჭარის კრიზისის წარმატებით მოგვარებაში. ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე ამის შესახებ განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა. მან აღნიშნა, რომ აჭარაში კრიზისის მოგვარების მიზნით აქტიურ მოლაპარაკებას მართავდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმი დაჟინებით მოითხოვს კოდორის ზემო ხეობაში რუს სამშვიდობოთა საგუშაგოების გახსნას. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თქმით, "ეს საკითხი განიხილება, როგორც რეგიონში საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების სისტემის ნაწილი". მან აღნიშნა, რომ სწორედ რუს სამშვიდობოებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ კოდორის ზემო ხეობაში სიტუაციის ცვლილებებსა და გააკონტროლონ ქართული მხარის მიერ ვალდებულების შესრულება დემილიტარიზაციასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი**. აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები არხის კუთვნილი აპარატურის საქტელერადიოკორპორაციისთვის შესაძლო გადაცემას აპროტესტებენ. მათი განცხადებით, საქტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია ტელევიზიაში სპეცრაზმის შეყვანას და აპარატურის მისაკუთრებას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა სერგეი ევტეევმა ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ახალი უფროსი, გენერალ-მაიორი იური ნაუმოვი წარადგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი**. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტის რექტორატის გადაყენებას მოითხოვენ. მათ უნივერსიტეტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. სტუდენტები უნივერსიტეტის რექტორ ნური ვერძაძეს კორუფციასა და აჭარის ყოფილ მეთაურთან გარიგებაში ადანაშაულებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი**. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერი რაულ ხაჯიმბა მოსკოვში ჩავიდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსკოვში კერძო ვიზიტით იმყოფება და არა აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით; თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ აჭარის მოვლენების შემდეგ აფხაზეთში უსაფრთხოების დამატებითი ზომებია მიღებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "მწვანეთა პარტიის" ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სთხოვენ, დაისაჯონ ის პირები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთარი ჯიბის შესავსებად აჭარაში ტყის საფარის დაზიანებას უწყობდნენ ხელს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ საქართველოში კერძო ვიზიტით ჩამოვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე ტერი დევისი. იგი საქართველოსგან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის არჩევნებში მხარდაჭერას ითხოვს. ტერი დევისი საქართველოში სახელმწიფო მოხელეებსა და ევროსაბჭოში საქართველოს პარლამენტის დელეგაციას შეხვდება. **ინტერ-პრესი**.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ლეიბორისტული პარტია აჭარის რეგიონისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმების მიზნით რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. ამ მიზნით, "ლეიბორისტების" მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ქუთაისის ოფისში აცხადებენ, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ უნდა დანიშნოს ქალაქის მერის არჩევნები. რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის კახაბერ გვანცელაძის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქუთაისში უნდა დაემთხვეს აჭარაში 40 დღეში ჩასატარებელ არჩევნებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ საკითხში პარლამენტის თავმჯდომარის, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერის იმედიც აქვთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები, პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აფხაზეთთან დაკავშირებით " რევანშისტულ განწყობაში" ადანაშაულებენ. ისინი პროტესტს გამოთქვამენ იმ განცხადების გამო, რომელიც საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირმა აფხაზეთის დაბრუნების შესახებ გააკეთა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილმა კონტროლის პალატამ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს 21 შენიშვნა გაუგზავნა. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის თამარ ბიჭიკაშვილის თქმით, შენიშვნების უმეტესობა გასაზიარებელია და ბიუჯეტის საბოლოო მიღებამდე, ალბათ, ფინანსთა სამინისტრო მათ უმეტესობას გაითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ეკონომიკის მინისტრ ირაკლი რეხვიაშვილს დაავალა, ზუსტად აღირიცხოს რეგიონში არსებულ საწარმოთა ქონება და ღირებულება. ჟვანიას განცხადებით, აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის პლენარულმა სხდომამ გუშინ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა დაიწყო. პროექტი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ წარადგინა. მისი თქმით, ის სავალუტო ფონდთან შეთანხმებულია, ამიტომ ძირითადი პარამეტრების შეცვლა სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომამდე არ მოხერხდება. "ეს 6 თვის შედეგების შეჯამების შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა დაგეგმილზე მეტ შემოსავალს მივიღებთ," - განაცხადა ჟვანიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ქობულეთის თბოელექტროსადგურის მშენებლობის გაგრძელებას ითხოვს, თუმცა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ამის წინააღმდეგია. როგორც გილაურმა განაცხადა, ქობულეთში 60-მეგავატიანი სადგურის 53 პროცენტი აშენებულია და საჭიროა მისი დროული დასრულება, რათა ქობულეთის მოსახლეობას ელექტროენერგიის პრობლემა აღარ ჰქონდეს. ჟვანია კი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე მინისტრს სთხოვს, გარემოს დაცვის თვალსაზრისით შეაფასოს პროექტი. მისი აზრით, აუცილებელი არ არის, სათუთ და მგრძნობიარე ტურისტულ ზონაში, რომელმაც მოსახლეობას მილიონობით შემოსავალი უნდა მისცეს, შეიქმნას ობიექტები, რომლებიც ტურისტებს დააფრთხობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის მეტალურგიული კომბინატის თანამშრომლები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. ისინი აქციების გამართვას პროფკავშირებთან ერთად გეგმავენ და ხელისუფლებისგან მოითხოვენ, რომ იტალიელ ინვესტორებს მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. როგორც მეტალურგიისა და სამთო მრეწველობის პროფკავშირების თავჯდომარემ მერაბ ჟურულმა განაცხადა, შვიდწლიანი კრიზისის ფონზე ხელფასებისა და პენსიების პრობლემის მოგვარება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც საწარმოში ინვესტორები შევიდნენ. კომბინატის თანამშრომლებს იმედი აქვთ, რომ საპროტესტო აქციები შედეგს გამოიღებს და "ზოგიერთი ხელისუფალი ველარ გაბედავს საკუთარი ინტერესების გამო ინვესტორ კომპანია "მეტალ-გეო"-სთან დაპირისპირებას". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაის დარგი, პროგრამულ დაფინანსებასთან ერთად, არაპირდაპირ ინვესტიციასაც მიიღებს. სახელმწიფო პროგრამით, ჩაის დარგი 3,5 მილიონ ლარს მიიღებს, რაც, ძირითადად, პლანტაციების აღდგენას მოხმარდება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქმენეთთან საქართველოს საგარეო ვალის გასტუმრებაზე. სავარაუდოდ, თურქმენეთისადმი საქართველოს საგარეო ვალის ნაწილის (10 მილიონ ლარამდე) დასაფარავად განხორციელდება ჩაის სახელმწიფო შესყიდვები, რითაც მეჩაიეები არაპირდაპირ ინვესტიციას მიიღებენ. **მედია-ნიუსი**

## განცხადება

**საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 აპრილის №336 განკარგულების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული ერთიანობის აღმნიშვნელი მონუმენტის საუკეთესო პროექტზე.**

**საკონკურსო პროგრამაში სიტყვა "ეროვნული ერთიანობის" მაგიერ მოხსენიებულია "ეროვნული თანხმობა", რაც ბეჭდვითი შეცდომაა.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ზურაბ ჟვანიას საბიუჯეტო ბრძოლა ორ ფრონტზე უწევს



*კრიტიკის მიუხედავად პარლამენტი ბიუჯეტს მხარს დაუჭერს.*

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრი მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ პრეტენზიების გამოხატვით როდია უკმაყოფილო. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელს ამაზე მეტად ის აფიქრებს, რომ "მეამბოხე" თავად მისი გუნდის შიგნით გამოჩნდა.

გუშინ ზურაბ ჟვანიამ საჯაროდ უსაყვედურა საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილს იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს ერთგვარი საპროტესტო წერილით მიმართა. მინისტრი დეპუტატებს აუწყებდა, რომ დიპლომატიური სამსახურებისთვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თანხა საკმარისი არ არის და "გეგმიურზე" 2,5 მილიონი ლარის დამატებას ითხოვდა.

თავისი "ქვეშევრდომის" ამგვარ ქმედებას პრემიერ-მინისტრი "სახიფათო პრეცედენტს" უწოდებს და აცხადებს, რომ იგი კაბინეტის მუშაობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება თავად ბიუჯეტის პროექტის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მთლიანობაში მაინც მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ძირითადად ის პარლამენტარები აქტიურობდნენ, ვისთვისაც ტრიბუნა და მიკროფონი ჯერ ახალი ხილია. ერთხელ საკმაოდ კომიკური სიტუაციაც კი შეიქმნა: მიკროფონთან დავა გაჩაღდა, შენზე წინ რიგში მე ჩავდექი და სიტყვით გამოსვლა ჯერ მე მეკუთვნისო.

თავის გამოჩენის ყველაზე კარგ საშუალებად "ახალწვეულებმა" საპენსიო საკითხებზე მსჯელობა მიიჩნიეს და პრემიერ-მინისტრს, ძირითადად, ამ თემის გარშემო დააყარეს კითხვები. ოპოზიციას კი, ცხადია, არც თავის დროზე თავად ზურაბ ჟვანიას მიერ ინიცირებული მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან დაახლოების საკითხი დავიწყებია, თუმცა, ხელფასების თაობაზე დისკუსია დიდხანს არ გაგრძელებულა.

**"2005 წელს მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ იქნება,"** - ზურაბ ჟვანიას ამ განცხადების შემდეგ ოპოზიცია დადუმდა.

გუშინდელი სხდომიდან ისიც არის აღსანიშნავი, რომ სხდომის წამყვანის რანგში დებიუტი ჰქონდა ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს. თავისი მოვალეობა მან ისე ბუნებრივად და თავდაჯერებულად შეასრულა, რომ მისი დებიუტანტობა არავის უგრძვნია.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველი მოსმენით განხილვა პარლამენტში დღეს გაგრძელდება.

# ვნებათაღელვა აჭარის ტელევიზიის გარშემო

პირველი გვერდიდან

თუმცა, ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ისტორიული ექსკურსის მოხმობას იმ შემთხვევაში, თუ დღეს აჭარის ტელევიზია კერძო იურიდიული პირია, თუ ხვალ მისი ბედი და მომავალი პარლამენტის და პრეზიდენტის დონეზე გადაწყდება, თუ გუშინ ზაზა შენგელია აპარატურის წართმევას არ აპირებდა?..

შენგელიას ინფორმაციით, აჭარის ტელევიზია არავითარ შემთხვევაში არ გაუქმდება: **"პირიქით, საუბარია მის ხარისხობრივად გაუმჯობესებაზე, ეთერის ოპტიმიზაციაზე, კადრების გადამზადებაზე."** როგორც შენგელიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღესდღეობით, აჭარის ტელევიზიის მოწყობის ათი ვარიანტი არსებობს, **"საბოლოოდ, მის სტატუსს და ბედს ქვეყნის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს."**

დასკვნის სახით, ბატონმა შენგელიამ ბრძანა, რომ იგი მართლა არ აპირებდა აჭარის ტელევიზიიდან აპარატურის წამოღებას და თავისი პოზიციისთვის მეტი სარწმუნოობა რომ შეეძინა, დასძინა: ამ თემით ზოგიერთი ოლიგარქები ანგაჟირებენ. ხსენებულ ოლიგარქებს, კონკურენციის ფაქტორის გათვალისწინებით, ხელს არ აძლევთ ძლიერი საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა, რომელსაც რამდენიმე თვეში ვიხილავთო.

აჭარის ტელევიზიის თემაზე გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ":

**აჭარის ტელევიზიის გადაქცევა სხვა ტელევიზიის კორპუნქტად "დემოკრატიული რეფორმა" არ არის.**

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" შეშფოთებას გამოთქვამს აჭარის ტელევიზიის გაუქმების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო და იმედს იტოვებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

დღევანდელ საქართველოში საინფორმაციო სივრციდან ტელევიზიების გაქრობა მზარდი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის განვითარების საუკეთესო ინდიკატორად ნამდვილად არ გამოდგება. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს ხელისუფლების მომავალი ქმედებები მუდმივად და ხაზგასმულად იქნება მიმართული თავისუფალი სიტყვის და მედიის საშუალებების დაცვისკენ. დემოკრატია ხომ სწორედ სიტყვის თავისუფლებასა და აზრთა პლურალიზმს უნდა ეფუძნებოდეს. შესაბამისად, ხელისუფლების ქმედებები მედიის საშუალებებისთვის დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცებისკენ უნდა იყოს მიმართული.

აჭარის ტელევიზია, ისევე როგორც აჭარაში მოქმედი არაერთი ინსტიტუტი და სტრუქტურა, ახალი საქართველოსთვის შესაფერის რეფორმირებას საჭიროებს. თუმცა, ქვეყანაში ტექნიკურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამართული ტელევიზიის გაუქმება და მისი ვინმეს ე.წ. კორპუნქტად ქცევა დემოკრატიული რეფორმების გატარების პირველ ნაბიჯად ნამდვილად არ გამოდგება. ამ ლოგიკით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მაუწყებლობაც უნდა შეწყვეტილიყო, თუმცა, მაშინ, მოსალოდნელი რეფორმის იმედით, გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ იყო მიღებული. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამჯერადაც იმავე პრინციპების ერთგული დარჩება.

# საქართველო - MILENIUM CHALLENGE COUNT-ის წევრი

საქართველო, სხვა 16 ქვეყანასთან ერთად, ერთადერთი ევროპული ქვეყანა იქნება, რომელიც "ამერიკის ათასწლეულის დახმარების პროგრამის" ფარგლებში 200 მლნ აშშ დოლარს მიიღებს.

როგორც გუშინდელ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ამ პროგრამისთვის მთელ მსოფლიოში შერჩეულია 16 ქვეყანა, რომელთა შორისაც ერთი მილიარდი დოლარი უნდა გადანაწილდეს.

ჟვანიას თქმით, ოქტომბრიდან თანხა ორნახევარი მილიარდი დოლარი გახდება და თანდათან გაიზრდება.

ჟვანიას განცხადებით, ამ გრანტის მიღებით საქართველოს მთავრობას რამდენიმე ამბიციური პროექტის დაწყება შეუძლია.

**"ეს არის უნიკალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აშშ-ს მხრიდან ძალიან სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას იმ სახელმწიფოებისთვის, სადაც, გარდა სხვა კრიტერიუმებისა, კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა მიმდინარეობს და მთავრობა უკეთესი მმართველობისთვის ხილულ ნაბიჯებს დგამს,"** - აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, საქართველომ ამ პროგრამაში მონაწილეობა ერთი თვის წინ მოინდომა. "აშშ-ში ყველა ჩვენი მეგობარი აცხადებდა, რომ ძალიან დავაგვიანეთ, რადგან 16 ქვეყანა უკვე შერჩეული იყო. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა პირადად იბრძოლა იმისთვის, რომ საქართველო ყველანაირი პროცედურების დარღვევით ამ პროგრამაში შესულიყო. დაგვეხმარა ბევრი სენატორი (ჯონ მაკკეინი, ლიბერმანი და სხვები), რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით, - აღნიშნა ჟვანიამ. შერჩეულ ქვეყნებს შორის საქართველოს გარდა არიან - სომხეთი, ბენინი, ბოლივია, კაბოვერდე, განა, ჰონდურასი, ლესოტო, მადაგასკარი, მალი, მონღოლეთი, მოზამბიკი, ნიკარაგუა, სენეგალი, შრი-ლანკა და ვანუატუ.

*24 საათი*

# მთავრობა აჭარაზე ერთვება

პირველი გვერდიდან

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი რეგიონის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფს;

განათლების მინისტრი საპირველსექტემბროდ სახელმძღვანელოებს ჩაიტანს;

გარემოს დაცვის სამინისტრო კურორტების სანიტარულ მდგომარეობას შეისწავლის;

კულტურის მინისტრი საგანძურითა და ისტორიული ძეგლებით (რა თქმა უნდა, საბავშვო ოპერითაც) დაინტერესდება...

ერთადერთი მინისტრი, ვისაც აჭარაში არაფერი ესაქმება გურამ აბსანძეა. **"რა ვქნა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მე რა გავაკეთო - არ ვიცი, მთელი დღე ვეძებდი ვინმეს შემოსარიგებლად, მაგრამ ვერავინ ვნახე,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ეროვნული თანხმობის პროცესის დარგში გურამ აბსანძემ. ეს "უსაქმურობა" მას დიდსულოვნად აპატიეს.

გუშინდელი მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა სპეციალური კომისია შექმნა, რომელსაც ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი უხელმძღვანელებს. აღნიშნული კომისია აჭარაში არსებულ პოტენციალს აღნუსხავს. რეხვიაშვილისა და მისი უწყების გარდა, ამ კომისიაში ინფრასტრუქტურის, ფინანსთა, სოცუზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობისა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებიც შევიდნენ. ახლად შექმნილ კომისიას ათდღიანი ვადა მიეცა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ირაკლი რეხვიაშვილმა მას 10 დღეში უნდა წარუდგინოს იმ ქონების ნუსხა, რაც აჭარას გააჩნია, რათა შემდგომ ამ საწარმოებში ინვესტიციების განხორციელება მოხდეს.

**"აჭარაში საკმაოდ ბევრი საწარმო და ობიექტი იყო, მაგრამ მათი შემოსავალი მხოლოდ ერთი ადამიანის ჯიბეში გროვდებოდა. აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება,"** - აღნიშნა ჟვანიამ. მისი თქმით, აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ როგორ მოხდება ავტონომიის ყოფილი მეთაურის - ასლან აბაშიძის მიერ დატოვებული ქონების ზუსტი გამოყენება, სად შეიძლება ინვესტიციების მოზიდვა და პრივატიზაცია.

ინფრასტრუქტურის მინისტრის თამარ სულუხიას განცხადებით, ქაქუთის ხიდი დღეისთვის აღდგება, ჩოლოქის ხიდის აღდგენა კი, სავარაუდოდ, ორშაბათისთვის დასრულდება. მინისტრის თქმით, აქ დამონტაჟდება დროებითი კონსტრუქცია, რომელიც ნებისმიერი სიმძიმის ავტომობილს გაუძლებს.

ასლან აბაშიძის მიერ უარყოფილი სასუქებით ბოლოს და ბოლოს იხეირებს აჭარის მოსახლეობა. "საბედისწერო" სასუქს აჭარის მაღალმთიანი რეგიონები უახლოეს პერიოდში მიიღებენ.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, მის სფეროში სანერვიულო ჯერჯერობით არაფერია. **"ქვეყანას აქვს რესურსები, რომ აჭარის მოსახლეობა ელექტროენერგიით შეუფერხებლად მომარაგდეს,"** - აცხადებს იგი. ლაპარაკია რეგიონში თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე. მინისტრის თქმით, სამშენებლო სამუშაოების 50-60 პროცენტი უკვე შესრულებულია. თბოელექტროსადგური 60 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამჟამად აჭარის რეგიონისთვის რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვეტილია. რეგიონი რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისგან დღე-ღამეში 80 მგვტ ელექტროენერგიას იღებდა.

განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია აჭარის ავტონომიის განათლების მინისტრის თემას შეეხო. ლომაიას თქმით, აჭარის განათლების მინისტრი ანზორ შაქარიშვილი ღირსეული პიროვნებაა და იგი თანამდებობას უნდა დაუბრუნდეს.

**"ის ერთ-ერთი პირველი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და არ მიუღია მონაწილეობა იმ უმსგავსობაში, რაც აჭარაში ხდებოდა. ჩემი წინადადება იქნება, ეს პატიოსანი კაცი თავის თანამდებობას დაუბრუნდეს,"** - აცხადებს ლომაია.

მთავრობის სხდომას გუშინ პირველად ესწრებოდა მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრი, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის ახალი მინისტრი ლადო ჭიპაშვილი.

ზურაბ ჟვანიამ მთავრობის წევრებს ორი დღის ვადა მისცა, რათა თითოეულმა მათგანმა განცხადების სახით წარმოადგინოს, თუ რის განხორციელებას აპირებს ყოველი უწყება აჭარაში.

# აჭარის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის მოქმედება შეჩერებულია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარლამენტის 67 წევრის სარჩელის განხილვა, რომელიც აჭარის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის გაუქმებას ითვალისწინებს, 13 მაისს შედგება. 7 მაისს კი აღნიშნული სარჩელი საკონსტიტუციომ წარმოებაში მიიღო. სარჩელის მიხედვით, უნდა გაუქმდეს ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი, მთავარსარდლის სტატუსი, აგრეთვე - მუხლები საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის ადგილობრივი პარლამენტის მიერ დამტკიცების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური მოთხოვნით მიმართა პარლამენტის წევრმა თამაზ დიასამიძემაც. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე სარჩელი ერთ საქმედ გაერთიანდება. მის განხილვამდე და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე კი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლების მოქმედება შეჩერებულია.

*მედია-ნიუსი*




6 მაისის ნომერში გამოქვეყნებული პროკრედიტ ბანკის ფინანსური მონაცემები შეიცავდა არაზუსტ ინფორმაციას. ვაქვეყნებთ კორექტირებულ მონაცემებს:

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

# ფინანსური ანგარიშგება

2002 და 2003 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლები
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს პროკრედიტ ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში "ბანკი") თანდართული ბალანსის უწყისის აუდიტი მომზადებული 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ზარალის ანგარიშის, აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების აუდიტი მოცემული წლის ბოლოსთვის. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს ბანკის მენეჯმენტის პასუხისმგებლობას. ჩვენი მოვალეობაა ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი აღნიშნულ ანგარიშგებებთან მიმართებაში.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს აუდიტის პროცესის იმ სახით დაგეგმვას და წარმართვას, რაც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს რაიმე სახის მატერიალურ უზუსტობებს. აუდიტის პროცესი გულისხმობს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხებისა და განმარტებების დამადასტურებელი ფაქტებისა და დოკუმენტების შერჩევითი წესით შემოწმებას. აუდიტი ასევე გულისხმობს გამოყენებული საბუღალტრო პრინციპებისა და ბანკის წინასწარი გათვლების შეფასებას მთლიანი ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციის შეფასებასთან ერთად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტის მასშტაბი საკმარის საფუძველს იძლევა ანგარიშგებების შესახებ ჩვენი აზრის გამოსახატავად.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები რეალურ და უტყუარ სურათს იძლევა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული ოპერაციების შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების თანახმად.

Ernst & Young
ერნსტ & იანგი

2004 წლის 26 თებერვალი

## ბალანსის უწყისი (ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი | | |
|---|---|---|---|
| | 2003 | | 2002 |
| აქტივები | | | |
| ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი | 16,681 | | 14,640 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 11,508 | | 9,109 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | | |
| - სარეალიზაციო | 50 | | 50 |
| მომხმარებელზე გაცემული სესხები | 93,360 | | 66,966 |
| საგადასახადო აქტივი | 181 | | 60 |
| ქონება და აღჭურვილობა | 5,309 | | 3,866 |
| არამატერიალური აქტივები | 38 | | 72 |
| სხვა აქტივები | 841 | | 412 |
| მთლიანი აქტივები | 127,968 | | 95,175 |
| | | | |
| ვალდებულებები | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ | 60,992 | | 48,756 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 36,903 | | 21,140 |
| ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ | 4,702 | | 3,948 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 836 | | 16 |
| სხვა ვალდებულებები | 420 | | 275 |
| მთლიანი ვალდებულებები | 103,853 | | 74,135 |
| | | | |
| აქციონერთა კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 20,000 | | 20,000 |
| დამატებითი ანაზღაურებული კაპიტალი | 225 | | 225 |
| გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები | 3,890 | | 815 |
| სულ აქციონერთა კაპიტალი | 24,115 | | 21,040 |
| სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი | 127,968 | | 95,175 |
| ფინანსური ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი დანახარჯები | 16,728 | | 12,463 |

## მოგება ზარალის უწყისი
2002 და 2003 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი | | |
|---|---|---|---|
| | 2003 | | 2002 |
| საპროცენტო შემოსავალი | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 19,452 | | 16,384 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებზე | 535 | | 326 |
| სხვა საპროცენტო შემოსავალი | - | | 13 |
| | 19,960 | | 16,723 |
| საპროცენტო ხარჯები | | | |
| დეპოზიტები | 1,204 | | 712 |
| მიღებული სესხები | 3,077 | | 3,396 |
| სხვა საპროცენტო ხარჯები | 111 | | 95 |
| | 4,392 | | 4,203 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **15,568** | | **12,520** |
| პროცენტის მატარებელი აქტივების ცვეთა | 891 | | 3.688 |
| | 14,677 | | 8,832 |
| | | | |
| გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები | 2,530 | | 1,885 |
| გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო | 639 | | 546 |
| გასამრჯელო და საკომისიო | 1,891 | | 1,339 |
| | | | |
| სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავალი ზარალის გამოკლებით: | | | |
| - დილინგი | 1,231 | | 698 |
| - კონვერტაციის სხვაობები | (149) | | (563) |
| სხვა შემოსავლები | 729 | | 525 |
| არა საპროცენტო შემოსავლები | 1,811 | | 660 |
| | | | |
| თანამშრომელთა ხელფასები და დახმარებები | 6,544 | | 5,176 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,039 | | 703 |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 6,774 | | 3,943 |
| სხვა რეზერვები და ღირებულების შემცირება | 134 | | 87 |
| არა საპროცენტო ხარჯები | 14,491 | | 9,909 |
| | | | |
| შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე | 3,888 | | 922 |
| | | | |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯები | 813 | | 320 |
| წმინდა შემოსავალი | 3,075 | | 602 |

| აქციონერები | აქციები |
|---|---|
| საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია (IMI) | 39% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 20% |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | 16% |
| კომერცბანკი (Commerzbank AG) | 15% |
| გერმანულ-ქართული კერძო სექტორის განვითარების ფონდი (GGF) | 10% |
| სულ | 100% |

2003 წლის სექტემბერში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) აქციათა 10 % გადაეცა გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკს (KFW), რომელიც ამავე დროს გახლავთ გერმანულ-ქართული ფონდის (GGF) დამფუძნებელი; ხოლო კომერცბანკის (Commerzbank AG) აქციათა 12% გადაეცა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიას (IPC). ორივე აღნიშნული გარიგება წლის ბოლოს მდგომარეობით ჯერ არ იყო რეგისტრირებული ბანკის აქციათა რეესტრში.

# დონალდ რამსფელდის მძიმე დღეები

*გუშინ დონალდ რამსფელდს კონგრესის ორივე პალატის თავდაცვის კომიტეტების წინაშე გამოსვლა და ბოდიშის მოხდა უწევდა. მიზეზი კი უკვე რამდენიმე დღეა სენსაციად ქცეული ფოტოებია, რომლებიც ერაყელ პატიმრებზე ამერიკელი სამხედროების შეურაცხმყოფელ მოპყრობას ადასტურებს. მას ძალიან არასასიამოვნო კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს, ერაყელი პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. ეს მოსმენები რამსფელდისთვის, შესაძლოა, კარიერის დასასრულის დასაწყისიც გახდეს.*


*დონალდ რამსფელდმა ბოდიში უნდა მოიხადოს.*

მოსმენებამდე ერთი დღით ადრე, პრეზიდენტმა ბუშმა ბოდიში მოიხადა "იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ერაყელმა პატიმრებმა განიცადეს". ამასთანავე აღნიშნა, რომ რამსფელდს მისთვის ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა.

რამსფელდზე ზეწოლა მედიაში ახალი ფოტოების გამოჩენამ გააძლიერა, სადაც დაფიქსირებულია შიშველი მამაკაცები, რომლებიც სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ქალს ჯაჭვით ჰყავს გამობმული.

"პრეზიდენტი მდივან რამსფელდის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევს," - მაინც აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი სკოტ მაკლელანი. ამასობაში კი, უკვე გაისმის განცხადებები რამსფელდის გადადგომის მოთხოვნით. ნენსი პალოსი, წარმომადგენლობით პალატაში ყველაზე მაღალი თანამდებობის მქონე დემოკრატი პოლიტიკოსი ამბობს, რომ რამსფელდი ერაყში დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობდა და ახლა უნდა წავიდეს. პალოსიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას არ აკმაყოფილებს რამსფელდის მტკიცებები, თითქოსდა, პენტაგონმა ყველაფერი გააკეთა ბაღდადის "აბუ ღრაიბის" საპატიმროში წამების ფაქტების გამოძიებისათვის, მით უმეტეს, მას შემდეგ გაკეთებული, რაც ბრალდებები უკვე ღიად გაისმა. ამერიკელი პოლიტიკოსები უკმაყოფილონი არიან, რომ პენტაგონმა, წამების ფაქტებზე ინფორმაციის მიღებისთანავე, ისინი კონგრესის კომიტეტებს არ გააცნო. პრეზიდენტი ბუშიც ამბობს, რომ პირველად ეს ფოტოები ტელევიზიით ნახა. თეთრი სახლის წარმომადგენლები მინიშნებებს აკეთებენ - ერაყში ამერიკის მთავარმა შემოქმედმა დონალდ რამსფელდმა უკვე მიიღო პრეზიდენტისაგან მკაცრი საყვედური. გავრცელებული ხმების თანახმად, ბუში ყველაზე მეტად იმან განარისხა, რომ მას ფოტოების არსებობის შესახებ არავინ აცნობა.

თავდაცვის მდივნის გადადგომის მოთხოვნა ისმოდა გავლენიან ბრიტანულ ჟურნალ "ეკონომისტ"-შიც. "რამსფელდმა თავისი ქცევით უნდა დაამტკიცოს ამერიკული ღირებულებებისადმი ერთგულება: უფროსის მიერ თავის დაქვემდებარებაში მყოფთა საქციელზე პასუხისმგებლობის აღება," - წერდა "ეკონომისტი".

საინტერესოა, რას მოუტანს რამსფელდს აგორებული სკანდალი? დღემდე პრეზიდენტი ბუში თავის თავდაცვის მდივანს ოფიციალურად იცავს. ასე რომ, რამსფელდის ბედი კაპიტოლიუმის განწყობაზე დიდად არის დამოკიდებული. დემოკრატი კონგრესმენები მის წინააღმდეგ გამოდიან, მაშინ, როცა რესპუბლიკელები, ჯერჯერობით,ს მხარს უჭერენ, თუმცა ყველაფერს მისი გამოსვლა გადაწყვეტს.

# კატასტროფა უკრაინაში

პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკრაინაში მძლავრი აფეთქებებისა და სროლის ხმა ისმოდა, მაგრამ ამის მიზეზი არა საბრძოლო მოქმედებები ან ტერაქტები, არამედ ხანძარი იყო, რომელიც, უკვე მესამე დღეა, იარაღის დიდ საწყობში მძვინვარებს. რაიონში ვითარება კვლავაც საშიში რჩება. გუშინ კვლავინდებურად ისმოდა აფეთქებები, თუმცა - უკვე არა ისეთი სიხშირით. სპეციალისტთა განცხადებით, რეაქტიული ჭურვების ნამსხვრევები ხანძრის ეპიცენტრიდან 15-17კმ-ის რადიუსშია აღმოჩენილი.

ხუთშაბათს ზაპოროჟიეს ოლქში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში, ადგილობრივი დროით, დაახლოებით, 13 საათზე, არტილერიის საბრძოლო მასალების სასაწყობო ბაზას ცეცხლი გაუჩნდა. ოფიციალური ცნობით, საწყობებში "ურაგან"-ის, "გრად"-ისა და "სმერჩ"-ის სისტემის რეაქტიული ჭურვები ინახებოდა. ცეცხლის ალის სიმაღლე თავდაპირველად 300 მეტრს აღწევდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მეხანძრეები, აფეთქებების გამო, ხანძრის ეპიცენტრთან მიახლოებას ვერ ახერხებდნენ. აფეთქებების შედეგად, ახლომდებარე სარკინიგზო სადგური და მეზობელ სოფლებში შენობები დაინგრა. ხანძრის ლოკალიზება მხოლოდ წვიმის შედეგად მოხერხდა. მაღალი ტემპერატურისა თუ გასროლილი რაკეტის გამო, საწყობებთან ერთად ნავთობსადენიც აფეთქდა და ნავთი, პირდაპირი გაგებით, ცეცხლზე ილვრებოდა. ყველაზე ახლომდებარე ქალაქის, მელიტოპოლის მოსახლეობა წყლის გარეშე დარჩა - დაზიანდა წყალმომარაგების სისტემა. მდგომარეობას კიდევ უფრო საშიშს ხდის ის ფაქტიც, რომ საფრთხის ზონაში ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური მდებარეობს და მასზე რაკეტის მოხვედრამ, შესაძლოა, გაცილებით მასშტაბური კატასტროფა გამოიწვიოს.

შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 10 ათასი ადამიანის ევაკუაცია აუცილებელი გახდა, თუმცა, გაქურდვის შიშით, საცხოვრებელი სახლების დატოვება ყველას არ სურდა.

პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩის სიტყვებით, "ფრიად სამწუხარო შემთხვევას" ჰქონდა ადგილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ "შემთხვევის" შედეგად, უკვე 5 ადამიანი დაიღუპა და, ამავდროულად, საფრთხე იმისა, რომ მსხვერპლის რიცხვი გაიზრდება, რეალურია. უკრაინელი ექიმები უკვე გუშინ აცხადებდნენ, რომ სამედიცინო დახმარება, მინიმუმ, 3-4 ათას ადამიანს დასჭირდება. უკვე გავრცელდა უკრაინის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს განცხადება, რომ აფეთქებები, დაახლოებით, ერთი კვირა გაგრძელდება და ასეთი ხანძრის ჩაქრობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მსგავსი კატასტროფების კატეგორიაში უკრაინის ხელისუფლება მხოლოდ ავადსახსენებელ ჩერნობილის კატასტროფას განიხილავს. მაშინაც, ათეულ ათასობით ადამიანის ევაკუაცია უმოკლეს ვადებში განხორციელდა.

უკრაინის არმიაში უბედური შემთხვევები უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გახშირდა. მსგავსი რაკეტების საწყობის აფეთქება შარშან ოქტომბერშიც დაფიქსირდა. თუმცა, მაშინ აფეთქებას ცეცხლის გაჩენა არ გამოუწვევია და მას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სხვა კატასტროფები დაკავშირებულია რაკეტებთან და თვითმფრინავებთან. 2001 წელს რუსული ავიალაინერი უკრაინელი სამხედროების შეცდომის შედეგად ჩამოვარდა. წვრთნების დროს გაშვებული რაკეტა, შემთხვევით, რუსეთიდან ისრაელში მიმავალ თვითმფრინავს მოხვდა და 88 ადამიანი შეიწირა. 2002 წლის 5 ივლისს ანალოგიური შემთხვევა კინაღამ განმეორდა. ამჯერად, იგივე რეისის თვითმფრინავი ავარიას გადაურჩა.

შარშან, 27 ივლისს, ლვოვში ავიაშოუზე ავიაგამანადგურებელ სუ-27-ის ჩამოვარდნას 83 ადამიანი შეეწირა. კიდევ ერთი უბედური შემთხვევა: 2000 წელს რაკეტა ცხრასართულიან საცხოვრებელ შენობას მოხვდა. ყველა კატასტროფა "შემთხვევითობას" მიაწერეს. უკრაინის არმიაში შესაძლო კრიზისულ მდგომარეობაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. ორი დღის წინანდელი შემთხვევაც, ალბათ, ამგვარ "შემთხვევითობას" მიეწერება.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა უკვე აღნიშნა, რომ, შესაძლოა, კონკრეტული მომსახურე პერსონალის გაუფრთხილებლობას ჰქონდა ადგილი. "ჩვენი არსენალები უკრაინისათვის სრულიად გამოუსადეგარი ჭურვებით გადატვირთულია, რომლებიც ყოფილი სსრკ-ს სახედრო ძალებიდან შემორჩა," - აცხადებს მინისტრი. მისივე სიტყვებით, ასეთი ბაზა ქვეყანაში 184-ია.

უკრაინის არმია ჯარისკაცების რაოდენობით 13-ე ადგილზეა მსოფლიოში, მაშინ, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე თავდაცვის ხარჯებით - 125-ეა. ექსპერტთა გაანგარიშებით, მხოლოდ არმიის რეფორმირებისათვის წელიწადში 450 მლნ. გრივნაა საჭირო. სახელმწიფო კი ამისთვის სულ რაღაც 254 მლნ-ს გამოყოფს.

# აშშ კომანდანტეს დამხობას უპირებს


*აშშ კომანდანტეს კვლავ დამხობით ემუქრება.*

ხუთშაბათს პრეზიდენტმა ბუშმა გამოაქვეყნა გეგმა, რომლის თანახმად, ამერიკელები სპეციალურ თვითმფრინავს გამოიყენებენ, რათა ამერიკული მაუწყებლობა კუბაზე გავრცელდეს. ამავე გეგმის თანახმად, ამერიკის მთავრობა ფიდელ კასტროს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და კრიტიკოსებს დაფინანსებას მკვეთრად გაუზრდის.

კუბის შესახებ თეთრმა სახლმა 500-გვერდიანი მოხსენება მოამზადა. პრეზიდენტ ბუშის თქმით, ახალი მიდგომა კასტროს რეჟიმს, რომელიც ქვეყანას 45 წლის მანძილზე მართავს, ბოლოს მოუღებს.

თეთრი სახლის ახალი პოლიტიკა კუბაში მგზავრობასა და იქ ფულის გადაგზავნას მკვეთრად ზღუდავს. კუნძულის მიმართ გამკაცრებულ პოლიტიკას კუბური წარმოშობის ამერიკელი კონგრესმენები მოწონებით შეხვდნენ.

თუმცა, ბუშის ახალი ინიციატივა დემოკრატებმა და დამოუკიდებელ კონგრესმენთა ჯგუფმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. უკანასკნელ წლებში კონგრესმა კუბასთან ვაჭრობასა და მგზავრობაზე შეზღუდვები შეამცირა.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა რობერტ მენენდესმა, რომელიც დემოკრატიული პარტიის კუბური წარმოშობის ერთადერთი დეპუტატია, პრეზიდენტი ბუში სამხრეთ ფლორიდაში მცხოვრები კუბელი ემიგრანტების მოსყიდვაში დაადანაშაულა. მისი თქმით, თეთრი სახლის მრჩევლებმა აღნიშნული მოხსენება სპეციალურად შექმნეს, რათა საპრეზიდენტო არჩევნების წინ კუბელი ემიგრანტების გული მოიგონ.

"თეთრ სახლში მოქმედი, კუბის კომისიის მიერ დრო ზუსტად იქნა შერჩეული. ეს მოხსენება ძალზე საეჭვო და პოლიტიკური თვალსაზრისით გამჭვირვალეა," - აღნიშნა მენენდესმა.

მოხსენების მოწინააღმდეგეთა მეორე ნაწილმა ბუშის ადმინისტრაციის მიერ ზედმეტად დიდი თანხების გამოყოფა გააკრიტიკა. თეთრი სახლი გეგმის თანახმად, დაახლოებით, 59 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს. ამ ფულის ნაწილი სხვა ხარჯებს მოაკლდება.

"მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებს ახლო აღმოსავლეთიდან ტერორიზმის რეალური საფრთხე ემუქრება, კუბაზე ამდენი ფულის დახარჯვა, უბრალოდ, სირცხვილია. ეს რეალობიდან სახიფათო დაშორებაა," - განაცხადა სენატორმა მაქს ბაუკუსმა "ნიუ-იორკ თაიმსთან" ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ბუშმა რადიკალების მოთხოვნა არ გაიზიარა. მათი მოთხოვნით, ამერიკაში მომუშავე კუბელებისათვის ფულის სამშობლოში გაგზავნა უნდა აეკრძალათ. გაერო-ს შეფასებებით, ყოველწლიურად ეს თანხა 800 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. კასტროს მოწინააღმდეგეთა განცხადებით, ეს ფული კასტროს რეჟიმს ამყარებს. რეალურად, ეს ფული ყველაზე ღარიბ ფენებს მისდით და მათ ფიზიკურად გადარჩენაში ეხმარება.

თუმცა, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი გეგმა ფულის ნაკადების გაცილებით მკაცრ კონტროლს ითვალისწინებს: ფულის მიღება შეეძლებათ მხოლოდ ამერიკაში მომუშავეთა ოჯახის წევრებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები არ არიან.

მან კუბელ ემიგრანტებს წელიწადში ერთხელ თავიანთი ოჯახების მონახულება აუკრძალა. ახალი გეგმის თანახმად, მათ კუბაში გამგზავრება მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ შეეძლებათ. ასევე აიკრძალა საგანმანათლებლო მიზნებით კუბაში წასვლა, რაც, მოხსენების თანახმად, ტურიზმის შენიღბული ნაირსახეობა იყო.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა რესპუბლიკური პარტიიდან ილეანა როს-ლეჰტინენმა ბუშის ახალ ინიციატივას მაღალი შეფასება მისცა.

"ფულის გაგზავნასა და კუბაში გამგზავრებაზე კონტროლის მკაცრი მექანიზმების დაწესება უზრუნველყოფს იმას, რომ კასტროს რეჟიმმა ამერიკაში მომუშავე კუბელების ფული აღარ მიითვისოს," - განაცხადა მან.

ამგვარი პოლიტიკის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ხაზინა, რომელიც ამ პოლიტიკაზე პასუხისმგებელია, ზედმეტად ბევრ დროს უთმობს კუბას, ძირითადად, კუბური დიასპორის ზეწოლის გამო. მათი თქმით, უცხოური ფინანსების კონტროლის განყოფილებაში 120 ადამიანი მუშაობს, რომელთაგან 21 დაკავებულია კუბის საკითხებით და მხოლოდ 4 ადამიანი მუშაობს ოსამა ბინ ლადენისა და სადამ ჰუსეინის არალეგალური ანგარიშების აღმოჩენაზე.

ადმინისტრაციის აზრით, წარმოდგენილი პროგრამის საუკეთესო ნაწილია ის, რომელიც, მესამე მხარის დახმარებით, კუბელი დისიდენტებისა და ახალგაზრდებისათვის 36 მილიონი ამერიკული დოლარის გადაცემას ითვალისწინებს.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწეემ დასავლეთი ნახევარსფეროს საკითხებში როჯერ ნორეიგამ ვარაუდი გამოთქვა, რომ უახლოეს წლებში კასტროს ოპოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდება იმის მიუხედავად, რომ შარშან მან ოპოზიციის დიდი ნაწილი დააპატიმრა, ძირითადად, ამერიკის სასარგებლოდ შეთქმულების ორგანიზების ბრალდებით.

პრეზიდენტმა ბუშმა, დაახლოებით, 18 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო სპეციალური თვითმფრინავის აღსაჭურვად, რომელიც ამერიკაში არსებული ესპანურენოვანი ტელევიზიისა და რადიოს გადაცემას უზრუნველყოფს კუბაზე. ამ ტიპის თვითმფრინავები EC-130, ე.წ. "კომანდო სოლო" ფსიქოლოგიური ოპერაციებისათვის ბოსნიაში, კოსოვოში, ჰაიტისა და პანამაში გამოიყენეს. ამერიკაში დაფუძნებული ესპანურენოვანი ტელეკომპანიის სიგნალს, 1990 წლიდან მოყოლებული, კუბის მთავრობა ახშობს.

# ბრიტანეთის დაზვერვას რუსეთში მომუშავე აგენტი უხელმძღვანელებს

ბრიტანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, გაერთიანებული სამეფოს დაზვერვის სამსახურს "მი-6"-ს, ადრე მოსკოვში ბრიტანული რეზიდენტურის საქმიანობაზე პასუხისმგებელი ჯონ სკარლეტი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ გუშინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ განცხადება გააკეთა.

"მი-6"-ს ყოფილ ხელმძღვანელს, რიჩარდ დიალავის ამ თანამდებობაზე ყოფნის ვადა მიმდინარე წლის ივლისში გასდიოდა, თუმცა მან დროზე ადრე გადადგა ეს ნაბიჯი. მიზეზად სერ რიჩარდმა საზოგადოებრივი უკმაყოფილება დაასახელა, რომელიც ერაყში ომის დასაწყებად დაზვერვის მასალების გამოყენებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ პოსტის დატოვებისას, დილავიმ აღნიშნული ორგანიზაციის ტრადიციისამებრ, მემკვიდრედ თავისი მოადგილე, ბრიტანეთის დღევანდელი პრემიერის თანაკურსელი სკარლეტი დატოვა. სკარლეტი, არსებული ინფორმაციით, ტონი ბლერის დიდი ნდობით სარგებლობს.

კონსერვატორული და ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას შეუფერებელი უწოდეს.

ამ მეტად გავლენიანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის პიროვნება, მხოლოდ პირთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი და, ჩვეულებრივ, მისი პირადი ცხოვრების შესახებ დეტალები სრულიად უცნობია. თუმცა, ტრადიციებისადმი ერთგულ ბრიტანულ საზოგადოებაში "მი-6"-ს უფროსის მიმართაც ჩამოყალიბებულია ზოგიერთი ჩვევა, რომელიც დღემდე უცვლელი სახით არის შენარჩუნებული. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია მისი აღმნიშვნელი სახელი. მას შემდეგ, რაც საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის პირველმა უფროსმა, მანსფელდ კამინგმა ლათინური ასო C-თი დაიწყო ხელმოწერა (მისი გვარის პირველი ასო), ყველა მის შემცვლელს ამგვარად მიმართავენ.


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**9 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
წყალტუბოს, მირცხულავას, სამტრედიის ქუჩების, წერეთლის გამზირის (ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**10 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სანზონის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

## "ს/ს თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალაები

1. მცველი PT-1.3-10-80-20-U3 – 200ც
2. მცველი PT-1.1-6-8-40-U3 – 100ც
3. მცველი PT-1.1-6-10-40-U3 - 100ც
4. მცველი PN 0.1- 6-U3 – 100ც
5. მცველი PN 0.1- 10-U3 – 100ც
6. მცველი დნობადი PN2-400/400ა ПН2-400ც
7. მცველი დნობადი PN2-400/315Aა ПН2-400ც
8. მცველი დნობადი PN2-400/250ა ПН12-400ც
9. მცველი დნობადი PN2-400/630ა – 120ც

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.


# BP-ს რუსეთში პრობლემები გაუჩნდა

ბრიტანულ კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმსა" (BP) და მის რუსულ პარტნიორს "ტიუმენის ნავთობკომპანიას" (THK) შორის შეთანხმებას რუსეთსა და უკრაინაში კომპანიების აქტივების გაერთიანების შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში მოეწერა ხელი, დღეისათვის THK-ს ხელმძღვანელობა უკვე აპროტესტებს და მასში შესწორებების შეტანის ინიციატივით გამოდის. საქმე ის გახლავთ, რომ რუსი პარტნიორი BP-საგან მთლიანი, 3,75 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის თანხის ერთჯერადად გადახდას მოითხოვს. ხელშეკრულების მიხედვით კი, აღნიშნული თანხა რუს აქციონერებს "ბრითიშ პეტროლიუმის" ჩვეულებრივი აქციების სახით სამი წლის განმავლობაში სამჯერადი ტრანშის სახით უნდა გადასცემოდათ და, საბოლოო ჯამში, რუსული მხარე 2007 წლისათვის აქციათა 50 პროცენტს მიიღებდა. გაზეთ "ფაინენშელ თაიმსის" ინფორმაციით, BP-ში რუსი პარტნიორების განცხადებაზე, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ.

ინფორმაციისათვის - "TNK-BP" რუსეთში სიდიდით მესამე ნავთობისა და გაზის კომპანიას წარმოადგენს, ხოლო მსოფლიოში არსებულ არასახელმწიფო კომპანიებს შორის კი ნავთობის მოპოვების მასშტაბების მიხედვით, მეათე ადგილი უკავია. ექსპერტების შეფასებით, გაერთიანებული კომპანიის ნავთობის უკვე ცნობილი მარაგი ხუთ მილიარდ ბარელს აღემატება, ხოლო ერთი დღეღამის განმავლობაში კომპანია 1,2 მილიონ ბარელ ნავთობს (60 მილიონი ტონა წელიწადში) მოიპოვებს. "TNK-BP"-ს კუთვნილებაშია რუსეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე მდებარე არაერთი ნავთობმომპოვებელი თუ ნავთობგადამამუშავებელი საწარმო. მათივე მონაცემებით, კომპანიის კაპიტალი 16 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება აღნიშნული კომპანიების მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას, მისი საერთო თანხა, რომლის ოდენობის შესახებაც თანხმობა ევროკომისიამ და უკრაინის ანტიმონოპოლიურმა კომიტეტმა განაცხადეს, 6,15 მილიარდი აშშ დოლარით განისაზღვრა.

# ორგანიზებული ქაოსი!

*ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის შეფასებით, დარგში შექმნილი იყო ორგანიზებული ქაოსი, რომელიც დევნილთა სრულიად მოუწესრიგებელ აღრიცხვიანობასთან ყოფილა დაკავშირებული. ამის გამო, ისედაც მწირი ბიუჯეტის სახსრები უმოწყალოდ იფლანგებოდა და მავანთა ჯიბეებში ილექებოდა; მაგრამ, როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი აცხადებს, ამ ქაოსს ბოლო სულ მალე მოეღება. დაიწყო ორგანიზებული ქაოსის ორგანიზებული მოწესრიგება.*

ლელა მარგიანი



*მირზა ქოჩიაშვილი.*

**- ბატონო მირზა, რა პრობლემები დაგხვდათ სფეროში?**

- მძიმე მდგომარეობა ყველა მიმართულებით იყო შექმნილი, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც დევნილთა აღრიცხვიანობაა. საჭიროა სიების სასწრაფოდ დაზუსტება. ამ პროცესს ართულებს ის, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებს დღემდე არ გააჩნიათ, რაიონების მიხედვით, დევნილთა სრული მონაცემები.

დღეისათვის სამინისტროში რეგისტრირებულია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოსული 262.500 დევნილის სტატუსის მქონე პირი. თუმცა, დევნილთა რაოდენობა რეალურად შეიძლება მეტიც იყოს. ამ პროფილში ყველაფერი სტიქიურად ხდებოდა. მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა (რუსეთი, უკრაინა და სხვ ქვეყნები). ისეთებიც არიან, ვინც საქართველოში დევნილის სტატუსის მისაღებად საერთოდ არ შემოსულა.

არსებულ სიებშიც სრული ქაოსია. თორმეტი წლის მანძილზე დევნილების ანკეტირება მოხდა ერთადერთხელ, 1996 წელს გაერო-ს უმაღლესი კომისარიატის მიერ. მოწმობების ყოველწლიური გამოცვლა სათანადო ეფექტს არ გაძლევს. დღეს ყველა, ვისაც ამ სფეროსთან აქვს შეხება, თვლის, რომ ციფრები გაბერილია. მაგალითად, სიებში შეყვანილია 100 წელს გადაცილებული ათასზე მეტი ადამიანი და მრავალი არარსებული გვარი; დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა იმისა, რომ კომისარიატების მიერ წვევამდელთა შემოწმების დროს ... ფიზიკურად არარსებულია.

მესამე კატეგორია არის ე. წ. "გაორებული" ადამიანები, როცა სინამდვილეში ერთი და იგივე პიროვნებას სახელში ან გვარში ასოებს უცვლიან.

სიები გაბერილია გარდაცვლილი ადამიანებისა და ადგილობრივი, არადევნილი მოსახლეობის ხარჯზეც.

**- როგორ აპირებთ ამ ქაოსში გარკვევას და სიების გაცხრილვას?**

- სამინისტროს კომპიუტერული ბაზის ანალიზური დაკვირვებით, ჩვენ უკვე გვაქვს გამოვლენილი რამდენიმე ათასი საეჭვო ჩანაწერი, რომელთა კანონიერების შესწავლაც ამჟამად მიმდინარეობს. სიტუაციაში გასარკვევად ვგეგმავთ მოწმობების გამოცვლის კამპანიას. ადრე არსებულ წესში ჩაიდო ახალი დამატებითი მოთხოვნა.

**- ახლა მოწმობების შესაცვლელად აუცილებელია, რომ კომისიებს პირადად მიაკითხოს დევნილი ოჯახის ყველა ზრდასრულმა წევრმა.**

- სხვა გამოსავალი არ არსებობს (ადრე ოჯახის ერთი წევრი მიიტანდა დანარჩენი წევრების საბუთებს და ყველასთვის იღებდა მოწმობებს). მოწმობის ასაღებად თითოეული დევნილის პირადად გამოცხადება, თავისთავად, გარდაცვლილთა პრობლემასაც მოხსნის. ამ დროს არადევნილებიც "გაიცხრილებიან", რადგან მოწმობის გამცემი კომისია, რომელშიც არიან ადგილობრივი სამსახურების წარმომადგენლები, ახლა იმუშავებს რაიონის გამგებლის პირადი პასუხისმგებლობით. ამიტომ, ვთვლით, ადგილობრივი მაცხოვრებელი არადევნილი, რომელსაც ადრე დაუსწრებლად ჰქონდა აღებული დევნილის მოწმობა, ვეღარ მივა კომისიაში ხელახალი მოწმობის ასაღებად. ასე რომ, მოთხოვნა - დევნილების პირადად გამოცხადება კომისიებში - გაწმენდს სიებს.

აღრიცხვიანობაში საბანკო სისტემის შემოღებაც დაგვეხმარება. ეს იქნება დევნილთა ცივილიზებული მომსახურება საკრედიტო ბარათებით, რაც იმ გაუსაძლის რიგებსაც ბოლოს მოუღებს. შემწეობის თანხის მიღება შესაძლებელი გახდება საქართველოს ნებისმიერ ადგილას, პარტნიორი ბანკის ფილიალებში.

**- როგორ მოხდება რუსეთსა და სხვა ქვეყნებში წასული დევნილებისთვის მოწმობების მიცემა? ხომ არ შექმნებათ მათ რაიმე პრობლემა?**

- მინდა, აღვნიშნო, რომ იმ პიროვნებებს, ვინც საქართველოს საზღვრებს გარეთაა, რა თქმა უნდა, დევნილის სტატუსი არ ჩამოერთმევათ. საქართველოში ჩატარებული "სიების დამდგენი" კამპანიის შემდეგ გამოცხადდება დამატებითი წესი, თუ რა გზით უნდა მიიღონ მათ მოწმობები ისე, რომ ეს ხალხი ამისთვის სპეციალურად საქართველოში არ ჩამოვიდეს და გზაში არ დაეხარჯოს შემწეობის მთელი თანხა.

მათი ჩამოსვლა აუცილებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად დავიწყებთ დევნილი მოსახლეობის სრულ ანკეტირებას.

ამ დროს 6 წლის ზემოთ ყველა დევნილი ვალდებული იქნება, გაიაროს ანკეტირება, მოხდება მათი ფოტოგრაფირება, შეიქმნება საინფორმაციო ბაზა, მათი სრული მონაცემების გათვალისწინებით. სწორედ ეს მიგვიყვანს აბსოლუტურ სიზუსტემდე. ამასთან, როდესაც დევნილთა დაბრუნება დაიწყება, ზუსტი მონაცემები გვექნება..

**- რამდენად პრობლემურია დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი?**

- დღეს 262.500 ადამიანს აქვს დევნილის სტატუსი. აქედან მხოლოდ 112 ათასი ცხოვრობს კომპაქტურად დასახლებულ ობიექტებში, ხოლო 150 ათასზე მეტი - კერძო სექტორში ქირით ან ნათესავთან. 12 წელი გავიდა, ბავშვები გაიზარდნენ და დევნილები პირვანდელ საცხოვრებელ ფართში ვეღარ ეტევიან. ასეც რომ არ იყოს, სხვასთან, თუნდაც ნათესავთან, მუდმივად ვერ იცხოვრებ.

შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, სამი წელია, დევნილებზე ერთი ოთახიც კი არ გაცემულა. სხვადასხვა ფართი, რაც სახელმწიფოს შეეძლო მათთვის გამოეყო, ან პრივატიზებულია ან - ისევ დევნილების მიერ დაკავებული. დევნილთა განცხადებებში მითითებული ადგილები, ფაქტობრივად, გაყიდულია და ყველას თავისი მესაკუთრე ჰყავს. ჩვენ კი, ობიექტის ხელმძღვანელის ან მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ვერავის შევასახლებთ.

ამ ვითარებამ წარმოშვა ე.წ. "შეჭრების" პრაქტიკა. ეს შეჭრები ხშირად ორგანიზებული ხასიათისაა და, დარწმუნებული ვარ, გარკვეული ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. დევნილებს, უბრალოდ, იყენებენ. არსებობს რამდენიმე მობილური ჯგუფი, ვინც ასეთ ქმედებებს ხელმძღვანელობს. ისინი დადიან, ეძებენ მიტოვებულ, უმოქმედო შენობებს ან კარკასებს, მერე დევნილებს უწევენ ორგანიზებას და ხდება ამ შენობებში "შეჭრა", სადაც იწყება უკანონო ყიდვა-გაყიდვები. საბოლოოდ, ისევ დევნილები რჩებიან დაზარალებულნი. ვფიქრობთ, ეს საკითხი სამართალდამცავებმა უნდა შეისწავლონ.

**- რა გამოსავალი არსებობს?**

- ძალოვან სტრუქტურებთან ერთად ჩვენ ვაპირებთ ყველა იმ ობიექტის შემოწმებას, რომლებზეც ინფორმაცია გვაქვს. იქ ცხოვრობენ დევნილებიც და არადევნილებიც, რომლებიც დევნილების სახელს არიან ამოფარებულნი. ჩვენ გამოვასახლებთ ყველა არადევნილს, ვიმეორებ - არადევნილს და, თუ საჭირო გახდა, დახმარებისთვის ძალოვნებსაც მივმართავთ. სამწუხაროდ, სხვა გზა არ გვაქვს, იმიტომ, რომ სასამართლოს გზით ამ საკითხების გადაწყვეტა ძალიან ჭიანურდება. გამოთავისუფლებულ ფართში კი დევნილებს შევასახლებთ.

**- რამდენად დაიზოგება ბიუჯეტი მოწესრიგების შედეგად?**

- სახელმწიფოს აღებული აქვს ძალიან დიდი ვალდებულებები - დევნილებს უხდის ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს.

შემწეობის გარდა, თბილისში მცხოვრებ დევნილებს ელექტროენერგიის გადასახადისთვის სახელმწიფო თვეში სულზე 14 ლარსურიცხავს (რეგიონებში - 10 ლარს).

ამასთან, დევნილების გარკვეული ნაწილი, ვინც, სხვადასხვა მიზნით, ქვეყნის ფარგლებს გარეთაა გასული, ფიქტიურად, ისევ "ცხოვრობს" კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში. მათი გასვლა ქვეყნიდან ოფიციალურად დაფიქსირებული არაა. ამიტომ, სახელმწიფო მათაც, ისევე, როგორც კომპაქტურად ჩასახლებულ სხვა დევნილებს, უხდის ელექტროენერგიისა და კომუნალურ გადასახადებს. გამოდის, რომ ის თანხები, ფაქტობრივად, დაკარგულია სახელმწიფოსთვისაც და დევნილებისთვისაც.

კიდევ, ყველამ იცის, რომ რეგიონებს შუქი, პრაქტიკულად, არ აქვთ, მაგრამ ფული მაინც ირიცხება (შევარდნაძის დროინდელი ბრძანებულებით). ჩვენ დავაყენეთ ეს საკითხი, შევხვდით ენერგოკომპანიის დირექციას და მოვთხოვეთ, რომ ერთი თვის განმავლობაში მოხდეს რეგიონების გამრიცხველიანება, რათა თანხა მხოლოდ ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით გადაირიცხოს.

ერთი სიტყვით, საერთო ჯამში, საქმე გვაქვს საკმაოდ დიდ დანაკარგებთან. ამიტომ, დევნილთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება მინისტრმა მოსვლის პირველი დღიდან დაგვავალა. აღწერა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ის თანხა, რომელიც დღეს უგზოუკვლოდ "იკარგება", ისევ დევნილთა სასიკეთოდ მივმართოთ.

**- სამშაბათობით სამინისტროში ღია "კარის დღეა" და ძალიან ბევრი დევნილი მოგმართავთ. ძირითადად, რა პრობლემები აწუხებთ მათ?**

- ძირითადად, ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობის თანხებს, ბინით უზრუნველყოფას. ჩვენ გვაქვს ერთჯერადი (50 - 100 ლარით) დახმარების საშუალება, მეტის - არა. ზოგს ეს დახმარება ერთხელაც არ აუღია. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ერთჯერადი დახმარებით წელიწადში 10-ჯერ სარგებლობდნენ.

ერთი ქალბატონი, ძალიან აგრესიული, ყოველ მიღებაზე მოდიოდა - ითხოვდა ბინას და ფულად დახმარებას. ბინების განაწილების კომისიაშიც კი შეუყვანიათ. ჩემი მისვლის პირველ დღესვე დამხვდა სამინისტროში; "ანგრევდა" ყველაფერს. ჩვენ შევისწავლეთ მისი საკითხი და აღმოჩნდა, რომ მას აქვს ორი ბინა და ჰყავს შვილი, რომელიც, გაყალბების გზით, ორგან იღებდა შემწეობის თანხას. საქმე სამართალდამცავ ორგანოებს გადავეცით და მას მერე აღარ გამოჩენილა. ამრიგად, სამინისტროში შექმნილი იყო ორგანიზებული ქაოსი, რომლის დანახვა ხელს არავის აძლევდა. ეს, ერთგვარად, ტაბუდადებული საკითხი იყო. ახლა ყველაფერი ობიექტურად წყდება.

# მიტოვებულ შენობებს ადევნებული ხიფათი

*ჩვენ დროში უპატრონო ქონება ძნელად მოიძებნება და, თუ მოიძებნება, ხელად ვინმე დაეპატრონება. არავის აქვს ილუზია, რომ, უბადრუკი იერსახის მიუხედავად, წლობით მიტოვებული "მშენებარე ცხრასართულიანები" მესაკუთრის გარეშეა დარჩენილი.*

ნონა ყანჩაველი

"შეჩერებული წამის" ასოციაციას ქმნის რუსთავის მიტოვებული ბინები. ამგვარი, გაუბედურებული შენობები, შეიძლება, ნებისმიერ ქალაქსა და დაბაში აღმოვაჩინოთ. ეს ზოგადი პრობლემაა, ოღონდაც რუსთავი, ამ მხრივ, პირველობას არავის დაუთმობს. ამას საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს. კომუნისტური მმართველობის დროს, როდესაც უამრავი ქარხანა, ფაბრიკა, საწარმო და კომბინატი მოქმედებდა, რუსთავს მილეთის ხალხი მიაწყდა. არც ერთი ქალაქი ისე სწრაფად არ იზრდებოდა, როგორც ეს ინდუსტრიული ცენტრი. მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო, 1947 წლიდან მასობრივად დაიწყო ქალაქში მაღალსართულიანი ბინების შენება, უმეტესობა - ქარხნებში მომუშავეთათვის. შემდგომ, როცა ქარხნები დადუმდა, ფაბრიკები გაიყინა, კომბინატები აღარ არსებობდა, მშენებლობაც გაჩერდა. ახლა ზოგან საძირკველი ან ორი-სამი სართულია დარჩენილი, ზოგან ცხრავე სართული დაუსრულებიათ და ქარ-წვიმებისთვის მიუნდვიათ; ერთგან კი მშენებარე კორპუსი პიზას კოშკივით გადაწეულა და მალე დაეცემა კიდეც. საშიშია, ვინმე ქვეშ არ მოიყოლოს.

ყოველ მშენებარე ბინას (ასევე, მიტოვებულს) გარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემოვლებული დამცველი ზოლი, რომელიც ადამიანს შეატყობინებდა, - ჩემს იქით გადასვლა აკრძალულიაო. ამ ქალაქში კი ასეთს ვერაფერს ნახავთ. თუმცა, დამცველი ზოლები რომ შემოევლოთ, რუსთავი ერთობ აჭრელდებოდა, განსაკუთრებით - მიკრორაიონები. სხვაა, რომ ამგვარი ბინების არსებობა ძალიან აუშნოებს ისედაც ნაცრისფერ ქალაქს - თვალს ცუდად ხვდება გამოღამებული ბინების ცქერა.



*მიტოვებული შენობები პატრონს ელიან.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ყოველივე ამან რუსთავის არქიტექტურისა და მშენებლობის უფროსთან მალხაზ ჯეირანაშვილთან მიგვიყვანა. **"იმაზე ლაპარაკიც აღარ არის საჭირო, რომ ეს შენობები ქალაქს ძალიან აუშნოებს,** - აცხადებს იგი, - **პრობლემა ახლა ისაა, რომ ეს სახლები საკმაოდ სახიფათოა მოსახლეობისათვის - რაკიღა დასრულებული არ არის, სიმყარეც ნაკლები აქვს. ძლიერმა ქარმა, შესაძლებელია, ბეტონის ფილაც კი მოარყიოს, გადმოაგდოს და ვინმე დააზარალოს. გარდა ამისა, ალბათ, ყველას ახსოვს მეტალურგიის საავადმყოფოს მიტოვებულ შენობაში როგორ დაიღუპა ბავშვი. ამგვარი მოვლენებისგანაც არ ვართ დაზღვეულები."**

იმდენად დიდია მიტოვებული მშენებარე ნაგებობების რიცხვი, რომ მერიაში მათ ზუსტ რიცხვსაც ვერ ასახელებენ. **"ძალიან ბევრი შენობაა მიტოვებული და, რადგან ისინი ჯერ ისევ ქარხნებს ეკუთვნის, ჩვენ ვერავითარ ღონისძიებას ვერ გავატარებთ",** - ამბობს რუსთავის ვიცე-მერი ლევან ჩიკვაიძე.

მოსახლეობის თქმით, არც პოლიციის მხრიდან შეინიშნება განსაკუთრებული ყურადღება. არადა, ეს ადგილები ხომ ვიქტიმურობის მაღალი დონითაც გამოირჩევა. როგორც გვახსოვს, ერთ-ერთი ასეთი მიტოვებული ნაგებობით ისარგებლა ცნობილმა მანიაკმა. სულ ახლახან კი მიტოვებული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს.

პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის გელა გიგინეიშვილის თქმით, აქ, კრიმინალური თვალსაზრისით, არაფერი საგანგებო არ ხდება. მიტოვებული კორპუსები უფრო ბავშვებისთვისაა საშიში, რომლებიც ხშირად შიგნით შედიან და თამაშობენ. ყმაწვილები, შეიძლება, მორყეულ აივნებზე გავიდნენ და ძირს ჩამოცვივდნენ.

**"ბინების აშენებას მასალა არ დაჰკლებია. მათი გამართვის შემთხვევაში, იქ ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ ეს თეორიულადაც წარმოუდგენელია. მათი მეპატრონე ქარხნების უმეტესი ნაწილი გაჩერებულია. ახლა საშენი მასალა უკვე საზღვარგარეთიდანაა შემოსატანი. ეს ყველაფერი კი დიდ თანხებს საჭიროებს. ოთხი-ხუთი წლის წინათ დაისვა მათი დაშლისა და გაყიდვის საკითხი, რაც უფრო შესაძლებელია",** - მიიჩნევს მალხაზ ჯეირანაშვილი.

მოკლედ, ერისა და ბერის ინტერესებში შედის ამ ბინების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა. "ბურთიც და მოედანიც" კერძო სამშენებლო კომპანიებს რჩებათ, თუ, რაღა თქმა უნდა, უფლებამოსილი პირი მათთვის სარფიან წინადადებებს შეიმუშავებს. როგორც ჩანს, რუსთავის განახლება ცხრასართულიანი კორპუსების დაშლით უნდა დაიწყოს.

ფოსტა

## ბატონ პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მოკრძალებით მსურს თქვენი ყურადღების მიქცევა იმ დროს, როცა მეტად მნიშვნელოვანი საქმეებით ხართ დაკავებული. მინდა, შეგახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს ბუნდოვანი რჩება ერთი საკითხი. ეს გახლავთ "პრეზიდენტის სტიპენდია", რომელიც გადაეცემოდა ხელოვან ბავშვებს საქართველოს მასშტაბით.

მე სტიპენდიანტი გავხდი წინა წლის დეკემბერში და ავიღე მთლიანი თანხის ნახევარი, დანარჩენი კი მომავალ წელს - ანუ 2004 წელს უნდა ამეღო. თუმცა, აქამდე არაფერი მიმიღია, რადგან გაურკვეველია, იარსებებს თუ არა საერთოდ ეს წოდება.

მთავარი სტიპენდია არ გახლავთ, ჩემთვის (და, დარწმუნებული ვარ, სხვა სტიპენდიანტებისთვისაც) უფრო მეტია თავად წოდება, რომელმაც შემოქმედებითი სტიმული მომცა და დამარწმუნა, რომ ჩემი შრომა ფასდება. სწორედ ამიტომ, მოგმართავთ და გთხოვთ, რომ აღადგინოთ პრეზიდენტის სტიპენდია, როგორც წოდება, ხელოვანი (შემოქმედი) ბავშვებისთვის. ვფიქრობ, ჩემი თხოვნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც თქვენს ყურადღებას იმსახურებს.

*პატივისცემით*
*მანანა ნოდია*
*მცხეთა, №1 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი*

# ვის გადავცეთ წყალმომარაგება

*თბილწყალკანალის ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზოსთვის" ათწლიანი იჯარით და მართვის უფლებით გადაცემის კონტრაქტის პროექტის განხილვის ის ორთვიანი პროცესი დაიწყო, რომელიც კონტრაქტის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად და დასახვეწად არის საჭირო. ამ პროცესში არასამთავრობო სექტორისა და პროექტით დაინტერესებული მოსახლეობის აზრიც უნდა იყოს*

თამარ ჭაჭანიძე

თბილწყალკანალის ხელმძღვანელობა უკვე რამდენჯერმე შეხვდა ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს: ლ. კლიმიაშვილს, გ. სოსელიას და ა. ნაცვლიშვილს. მათ ჯერ კიდევ ათი თვის წინ წარმოუდგენიათ გარკვეული შენიშვნები. როგორც თბილწყალკანალის საინფორმაციო ცენტრის უფროსმა გოჩა ჯელიამ განაცხადა, ისინი ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ტექნიკური რეაბილიტაციის პროგრამა უნდა ჩატარდეს. იმ შენიშვნებიდან კი, რომლებიც მეცნიერებმა გამოთქვეს, ზოგიერთი გათვალისწინებულია, ზოგი კი, შეიძლება, მომავალში - უკვე სამუშაოს პროცესში გაითვალისწინონ.

**"უკვე გარკვეულია იმ ოთხი მენეჯერის ვინაობა, რომლებიც მართვის პროცესს განახორციელებენ. მათ არ შეიძლება, სერიოზული ფინანსური დაინტერესება ჰქონდეთ. ეს არის სოციალურად ორიენტირებული პროექტი",** - განაცხადა გოჩა ჯელიამ.

კონტრაქტის აღნიშნულ პროექტს ჰყავს მოწინააღმდეგეებიც - არასამთავრობოთა კოალიცია "ვაკის გონივრული განვითარება".

**"უცხოელებისთვის მართვის გადაცემა იმ ფინანსური მაქინაციების მიჩქმალვის მცდელობაა, რაც აქამდე თბილწყალკანალში ხდებოდა",** - აცხადებენ "სამართლებრივი საქართველოს" გამგეობის წევრები მანანა მარტყოფლიშვილი და ლეილა გაფრინდაშვილი. **"ბუნდოვანებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ხსენებული პროექტის ამ ფორმით მიღება. რადგანაც გაურკვეველია საიჯარო ქირის ოდენობა, პირველ ეტაპზე გარდაუვალია ტარიფების ზრდა. ბიუჯეტთან მიმართებაში, მთავრობას აღებული აქვს კანონშეუსაბამო და ქვეყნისთვის საზიანო მოვალეობები. გათვალისწინებული კრედიტით ვერ მოხერხდება სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბილიტაციაც კი",** - გვარწმუნებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მათ არ მოსწონთ გამრიცხველიანების ის მეთოდი, რომლის განხორციელებასაც პროექტის შესაბამისად აპირებენ, კერძოდ - სადარბაზოებზე დამონტაჟებული მრიცხველები, რომლებზეც დარიცხული თანხა სულადობის მიხედვით უნდა გადანაწილდეს. ერთ-ერთი აბონენტის მიერ თანხის არგადახდის პირობებში კი, წყალი მთელ სადარბაზოს გაეთიშება. თბილწყალკანალში ამის შესახებ განაცხადეს, რომ ახლაც მოხმარებული წყლის რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობაზე იყოფა, შემდეგ ხდება სუფსიდირება და ასე გამოჰყავთ ის ერთი ლარი და ოცი თეთრი, რომელიც ამჟამად წყლის გადასახადს შეადგენს. ონკანებზე ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება კი, ფაქტობრივად, განუხორციელებელია. სადარბაზოებსა და კერძო სახლებზე დამონტაჟებული მრიცხველების პრაქტიკა მთელ მსოფლიოში აპრობირებულია. "ჯენერალ დეზომ" ბუქარესტში უკვე განახორციელა ანალოგიური პროგრამა, სადაც სწორედ თანხის ამოღება გამხდარა პრობლემა.

"ვაკის გონივრული განვითარება" კონტრაქტის პროექტის მისამართით გამოთქმული შენიშვნებით არ კმაყოფილდება - ორგანიზაცია სრულიად ეწინააღმდეგება თბილისის წყალმომარაგების უცხოური კომპანიისთვის გადაცემას; ამიტომ, შევარდნაძის დროს ჩატარებული ტენდერის გაუქმებას, ახალი, ობიექტური ტენდერის გამოცხადებას და ამ ტენდერში ქართველი ბიზნესმენების ჩართვას მოითხოვენ.

ისინი უახლოეს დღეებში პრესკონფერენციის საშუალებით აპირებენ საზოგადოების ინფორმირებას.

საკრებულოდან პარიზში მივლინებული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, აწ პარლამენტარი კობა ბექაური კი გაღიზიანებას ვერ ფარავს ამ არასამთავრობო ორგანიზციის მოსაზრებების კომენტირებისას: **"ეს უნიკალური პროექტია; მოხდება დარგის სრული რეაბილიტაცია. ათი წლის შემდეგ სრულიად განახლებული წყალმომარაგება დაგვიბრუნდება და ასეთ შანსზე უარის თქმა დიდი სისულელე იქნება".**

# დედაქალაქის ახალი მთავრობა

პირველი გვერდიდან

დღეიდან პრემიერს ორი მოადგილე ეყოლება - თემურ ქურხული და გიორგი არევაძე.

არევაძე სამოქმედო გეგმის შემუშავებას მას შემდეგ გეგმავს, რაც მისი საკურაციო სფერო განისაზღვრება. საკრებულოსა და ქალაქის მთავრობის აპარატის უფროსად 26 წლის ლევან ურუშაძე დაინიშნა. იგი აპირებს, მუშაობა საკადრო ცვლილებებით დაიწყოს.

თითო ფრაზა ახალი ჩინოვნიკების დაპირებებიდან.

მერიის კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი დათო ოქიტაშვილი: **"ჩემს ზურგს უკან რვა ათასი კაცი დგას. მიხარია, რომ ამ ადამიანების შრომა დაინახეს და დააფასეს. ახლა, მე კი არა, ჩემი გუნდი აირჩიეს. ახალი სამსახურებიც დაგვემატა და, ვფიქრობ, სამსახურის გაფართოებას აუცილებლად მოჰყვება საკადრო ცვლილებებიც. ჩემს პროგრამას მომავალ კვირაში წარმოვადგენ".**

ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი თეიმურაზ მელელაშვილი: **"მთავარია, თბილისში საინვესტიციო გარემო შევქმნათ. მალე სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამასაც შევიმუშავებთ. ჯანსაღი კონკურენციის დანერგვა და ამ პროცესების ოპტიმალური მართვა ჩემი პრიორიტეტია".**

ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი გუგუნავა: **"წლების მანძილზე მერიაში ვმოღვაწეობ და ვიცი, თუ რა არის გასაკეთებელი. როდესაც ქალაქ თბილისის მთავრობა აფუძნებს საწარმოებს, ჩვენი მიზანია, მათი დოკუმენტაციისა და მენეჯმენტის ხარისხის შემოწმება. საქმეს სტრუქტურული რეორგანიზაციით დავიწყებ."**

ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი არჩილ გელენიძე: **"ბიუჯეტის კანონის მიღებამდე პროგრამებზე საუბარი გამიჭირდება. თავდაპირველად, იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემების აღწერით დავიწყებ. მისი არარსებობა მავანს ლავირების შესაძლებლობას აძლევს. ყოველგვარი გაუგებრობა და კორუფცია აღმოფხვრილი იქნება".**

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე: **"პირველ რიგში, ქუჩების განტვირთვა მოხდება. ექვს თვეში ქალაქმა უნდა დაინახოს, რომ მდგომარეობის გამოსწორებისკენ მივდივართ. ჰოლანდიიდან ლამაზი და კომფორტული ავტობუსები შემოდის. ალბათ, ბევრი ადამიანი დაკარგავს სამსახურს, მაგრამ სამარშუტო ტაქსები უნდა გავანახევროთ".**

განათლების საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი თოდუა: **"ჯერ მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ და შემდეგ განვსაზღვროთ პრიორიტეტები. გადასახადი სკოლებში არ უნდა არსებობდეს. ქალაქს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ელემენტარული გარემო შექმნას სასწავლო დაწესებულებებში. თუკი ვინმე დამირეკავს და მეტყვის, რომ რომელიმე ობიექტზე ფულს იღებენ, მე თავად მივალ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებ. კადრების ოპტიმიზაცია პირველი ნაბიჯი უნდა იყოს".**

ადმინისტრაციული ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსი კახაბერ საყვარელიძე: **"ჩვენი პრიორიტეტები დებულებითაა განსაზღვრული. ქალაქის იერსახეზე ზრუნვა და გარე რეკლამაზე კონტროლი ჩვენი პრეროგატივაა. უნებართვო და უსახური რეკლამებისგან თბილისის გათავისუფლებას ხვალიდანვე შევუდგებით."**

# უზენაესმა სასამართლომ გენერალ რომან დუმბაძეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა

*საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილი მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის იმ 15-კაციანი გარემოცვიდან, რომლებსაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმე კვირის წინ მძიმე ბრალდებები წაუყენა, ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც სამართალდამცველთა რისხვა რეალურად დაატყდა თავს.*

სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებული გენერალი ასლან აბაშიძის გადადგომისთანავე დააპატიმრეს. გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, იგი სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

როგორც ცნობილია, გენერალი დუმბაძე, რომელმაც განაცხადა, რომ არ ექვემდებარება ქვეყნის მთავარსარდალს და მხოლოდ ასლან აბაშიძეს ემორჩილება, ბოლო დღეებში ძებნილად იყო გამოცხადებული. სამხედრო პირისთვის უმძიმესი დანაშაულის - უმაღლესი სახედრო ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობის გამო გენერალ რომან დუმბაძეს საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 10-მდე მუხლით წაუყენა. სამშობლოს ღალატი, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა, იარაღის უკანონოდ შენახვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება - ეს დუმბაძისთვის წაყენებული ბრალდებებიდან ყველაზე მძიმე დანაშაულებია და ამ მუხლებით გათვალისწინებული მაქსიმუმი სასჯელი უვადო პატიმრობაა.

თბილისში ჩამოყვანისთანავე რომან დუმბაძე უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებმა დაკითხეს და ბრალდებულადაც გამოაცხადეს. სამხედრო პროკურატურამ რომან დუმბაძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით გუშინწინვე მიმართა სასამართლოს და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გენერალ რომან დუმბაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე გუშინ იმსჯელა. უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე საათიანი განსჯის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადის ყოფილ მეთაურს, გენერალ რომან დუმბაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.


*სასამართლომ არ გაითვალისწინა დუმბაძის შემამსუბუქებელი გარემოება.*

ბრალდებული გენერლის ადვოკატის გალინა მინასიანის განცხადებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოება, რომ დუმბაძე უშიშროების სამინისტროს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

სამშობლოს ღალატში დადანაშაულებული გენერლის ნათესავები კი, რომლებმაც აჭარის უზენაესი საბჭოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს, აცხადებენ, რომ გენერალი დუმბაძე ასლან აბაშიძის სერიოზული ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომაც საქმის ობიექტურად გამოძიებასა და პატიმრის გათავისუფლებას ითხოვენ.

უზენაესმა სასამართლომ გუშინვე სამხედრო პროკურატურის კიდევ ერთი შუამდგომლობა განიხილა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დღეს სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად კეკელიძე. მას დედაქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოერთვა. საქმე ისაა, რომ სასამართლომ სამხედრო პროკურორის ზურაბ ოქრუაშვილის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რომელიც დაკავებულისთვის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ბრალდების მიუხედავად, აღკვეთის ღონისძიებად გაუსვლელობის ხელწერილს მოითხოვდა. სამხედრო პროკურორის თქმით, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ კეკელიძე გამოძიებას დაემალოს. პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებით, ზვიად კეკელიძე თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადის ყოფილ მეთაურს გენერალ რომან დუმბაძეს სახელმწიფო საიდუმლოთა შემცველ ინფორმაციას აწვდიდა.

რომან დუმბაძის საქმესთან დაკავშირებით თბილისში გუშინ დააკავეს პოლკოვნიკი ზურაბ ბაკურაძე. მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულია ხელყუმბარა. ბაკურაძე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

*24 საათი*

# ლევან მამალაძის ცხვარ-ძროხის ამბავს თბილისის პროკურატურაში არკვევენ

გუშინ თბილისის პროკურატურაში რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ზურაბ კობიაშვილის დაკითხვა.

საკუთარი ნებით პროკურატურაში გამოცხადებული ყოფილი რწმუნებული მოწმის სტატუსით დაკითხეს ლევან მამალაძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე.

როგორც თბილისის პროკურატურაში განგვიმარტეს, თბილისის პროკურატურისგან პოლიციას მამალაძის ქონების დადგენა აქვს დავალებული. შს სამინისტრომ კი ინფორმაცია მიაწოდა თბილისის პროკურატურას, რომ თეთრი წყაროდან მცხეთაში 1500 ცხვარი და 70 ძროხა გადაიყვანეს. მწყემსებმა, რომლებმაც ცხვრები გადარეკეს, არაერთხელ განაცხადეს, რომ ფარა ლევან მამალაძეს ეკუთვნის.

თბილისის პროკურატურის წარმომადგენლები მცხეთაში ჩავიდნენ და მწყემსებს ესაუბრნენ. ისინი სხვადასხვა ახსნა-განმარტებებს იძლევიან. თუკი თავდაპირველად მწყემსებმა განაცხადეს, რომ ცხვრის ფარა საერთაშორისო ძებნილს - ლევან მამალაძეს ეკუთვნის, მოგვიანებით საკუთარი სიტყვები უკან წაიღეს.

მწყემსების ამ განმარტებას პროკურატურა არ იზიარებს, თუმცა გამოძიებას ცხვრის ფარის კუთვნილება, ჯერჯერობით, დადგენილი არ აქვს. სწორედ მეცხვარეების მიერ გაცემული ინფორმაცია გახდა ყოფილ რწმუნებულთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზეზი.

პროკურატურის არგუმენტებით დადგინდა, რომ მეცხვარეებს მთელი ზამთრის განმავლობაში ცხვრები ზურაბ კობიაშვილის კუთვნილ სადგომში ჰყავდათ. საქმე ეხება 1500 სულ ცხვარსა და 70 ძროხას. მწყემსების განმარტებით, ცხვრები და ძროხები ლევან მამალაძეს ეკუთვნოდა. ისინი თეთრი წყაროში, კობიაშვილის კუთვნილ საძოვრებზე გამოაზამთრეს. როგორც მწყემსები განმარტავენ, ცხვარი კობიაშვილის საძოვრებზე გამოსაზამთრებლად შემოდგომაზე მაშინ ჩაიყვანეს, როდესაც მამალაძე გუბერნატორი იყო და ამისთვის კობიაშვილისთვის თანხა არ გადაუხდიათ.

მწყემსების განმარტებითვე, მათ მხოლოდ მომავალ შემოდგომაზე (როცა კვლავ ჩავიდოდნენ თეთრი წყაროში) უნდა ეჩუქებინათ კობიაშვილისთვის 10 სული ცხვარი.

**"ამ ეტაპზე პროკურატურა კობიაშვილის დაკავებას არ აპირებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა ლევან მამალაძესთან ერთად უკანონო ქმედებებში მისი მონაწილეობა, მაშინ სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობის საკითხიც დადგება", -** აცხადებენ თბილისის პროკურატურაში. გუშინ დაკითხვაზე მყოფი ზურაბ კობიაშვილი საერთაშორისო ძებნილ ლევან მამალაძესთან ახლობლობას კატეგორიულად უარყოფდა. მან პროკურატურა დაკითხვის შემდეგ უპრობლემოდ დატოვა, თუმცა არ არის გამორიცხული, პროკურატურა კობიაშვილის კუთვნილი მიწების შეძენის კანონიერებითაც დაინტერესდეს.

*24 საათი*

# ყოფილი შს მინისტრი თავისუფალია

თემურ ხაჩიშვილის ადვოკატის ვახტანგ თალაკვაძის მოლოდინი, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს საოლქო სასამართლო წინასწარ სამთვიან პატიმრობას მოუხსნიდა, გუშინ გამართლდა. საოლქო სასამართლომ მთლიანად დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით რუსთაველი სამართალდამცველების მიერ დაკავებული და დაპატიმრებული პოლიტიკური ორგანიზაცია "დათვის" ლიდერი თემურ ხაჩიშვილი გუშინ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

საოლქო სასამართლომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების საფუძვლად გამოიყენა ბრალდებულის ინტერესების დამცველის პრეტენზიები. ადვოკატმა ვახტანგ თალაკვაძემ სასამართლოს წარუდგინა მისი დაცვის ქვეშ მყოფის შესახებ დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, თემურ ხაჩიშვილი ჩინით გენერალ-მაიორი გახლავთ და კანონი მოიშველია, რომ გენერალ-მაიორ ხაჩიშვილისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების უფლება მხოლოდ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა და არა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. **"რუსთავის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან გენერალ-მაიორ ხაჩიშვილისთვის პატიმრობის შეფარდების უფლება მხოლოდ უზენაეს სასამართლოს აქვს", -** ასეთი გახლდათ საოლქო სასამართლოს გუშინდელი ვერდიქტი.

გარდა ამ გადაწყვეტილებისა, გუშინ საოქლო სასამართლომ კერძო განჩინებები გამოიტანა თემურ ხაჩიშვილის საქმის მწარმოებელი გამომძიებლების მიმართ, რომლებიც პროცესუალური ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა.


*თემურ ხაჩიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.*

ერთი სიტყვით, საოქლო სასამართლოსთვის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის გათავისუფლების მოტივი ის დარღვევები აღმოჩნდა, რომლებზეც დაკავების დღიდან თავად დაკავებული და მისი ადვოკატი ბევრს საუბრობდნენ. თემურ ხაჩიშვილი თავისუფალია, თუმცა მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა. გამოძიება გრძელდება. როგორც ადვოკატმა ვახტანგ თალაკვაზემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, თემურ ხაჩიშვილი 12 დღის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, რაც საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებითაც დადასტურდა. პოლიტიკური ორგანიზაცია "დათვის" ლიდერის ადვოკატი აცხადებს, რომ კანონის ფარგლებში ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს.

**"ჩემი დაპატიმრება განპირობებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურთან ასლან აბაშიძესთან ახლო ურთიერთობით; თუმცა მე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოზიციების დამცველი და აჭარის მეთაურის გადადგომის მომხრე ვიყავი მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძე ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ალიანსში შევიდა", -** ამ სიტყვებით დატოვა გუშინ საოლქო სასამართლოს შენობა გათავისუფლებულმა ხაჩიშვილმა.

*24 საათი*

პრესინგი

# განაჩენი გაუქმდა

## საქმე ისევ სასამართლოს დაუბრუნდა

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართული მართლმსაჯულების ისტორიასა თუ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ხშირია შემთხვევები, როცა დაზარალებულები თუ მსჯავრდებულები საქმეზე ჩატარებულ სასამართლო-სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას და ამ ექსპერტიზის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ დასკვნას აპროტესტებენ, ყალბს, შეთითხნილს უწოდებენ და ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვენ.

სწორედ სასამართლო-სამედიცინო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები ხდება ხოლმე სასამართლო პროცესზე მხარეებს შორის დავისა და განსჯის საგანი. ექსპერტიზის დასკვნა ხშიად განსასჯელისთვის წარდგენილი ბრალდების გადაკვალიფიცირებისა და სასჯელის შემსუბუქების მიზეზი ხდება ხოლმე, რასაც დაზარალებული მხარე ზემდგომ ინსტანციაში ასაჩივრებს.

**"დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული სულიერი აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა; ბრალდებული შეურაცხადია."** ძირითადად, ასეთი გახლავთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ის დასკვები, რომლებიც მუდმივად იწვევს ხოლმე დაზარალებული მხარის გაღიზიანებას და მართლმსაჯულების მიმართ უნდობლობის გამოცხადებას.

ცოტა ხნის წინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ დააკამყოფილა დაზარალებულების - მოკლული წულუკიძის ახლობლების საჩივარი, შელაპარაკების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოტანილი განაჩენი გააუქმა და სასამართლო კოლეგიის სხვა შემადგენლობით საქმის ხელახალი განხილვა კვლავ საოლქო სასამართლოს დაავალა.

> ექსპერტიზის დასკვნა ხშიად განსასჯელისთვის წარდგენილი ბრალდების გადაკვალიფიცირებისა და სასჭელის შემსუბუქების მიზეზი ხდება ხოლმე, რასაც დაზარალებული მხარე ზემდგომ ინსტანციაში ასაჩივრებს.

საქმე ისაა, რომ დაზარალებული მხარე საჩივარში ირწმუნებოდა, რომ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ მკვლელს - ლაზარიაშვილს - უსაფუძვლოდ შეუცვალა დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია, არ გაითვალისწინა მტკიცებულებები, რომლებიც განსასჯელს განზრახ მკვლელობაში ამხელდა.

**"ლაზარიაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია გარდაცვლილის მხრიდან მიყენებულმა მძიმე შეურაცხყოფამ", -** ასეთი გახლდათ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ლაზარიაშვილს განზრახ მკვლელობის ბრალდება გადაუკვალიფიცირდა და სასჯელის ზომად ოთხწლიანი პატიმრობა განესაზღვრა.

**"საოლქო სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტის განმარტებების საფუძველზე ისე შეცვალა მკვლელის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია, გამოკვლევისა და შეფასებების გარეშე დატოვა მთელი რიგი მტკიცებულებები, რომლებიც საეჭვოს ხდის ფიზიოლოგიურ აფექტში მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს. სასამართლომ არ შეაფასა მსჯავრდებულის მიზანდასახული მოქმედებები როგორც მკვლელობამდე, ასევე მკვლელობის შემდეგ", -** ასეთი პრეტენზიებით მივიდა დაზარალებული მხარე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში.

საქმის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ მკვლელობაში ბრალდებულმა ლაზარიაშვილმა წინასწარი და სასამართლო გამოძიების მიმდინარეობისას რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება; ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ გარდაცვლილს თავისა და სხეულის მიდამოებში მრავლობითი ხასიათის დაზიანებები აღენიშნებოდა, განმარტა, რომ არაფერი ახსოვდა.

**"საოლქო სასამართლომ შელაპარაკების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის საქმე სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიძიოს. გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მოპოვებულ მტკიცებულებებს ერთობლიობაში მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება", -** ასეთი მოთხოვნით გადაუგზავნა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ქვემდგომ ინსტანციას განაჩენგაუქმებული მკვლელობის საქმე ხელახალი გამოძიებისთვის.

ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ,"წითელ ხიდზე" დააკავეს საქართველოს მოქალაქე ბესიკ კორძაშვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას დაახლოებით 20 გრამი თეთრი ფერის ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოაჩნდა. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, დაკავებული შემდგომი მოკვლევისათვის გადაეცა შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს პირველ განყოფილებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დააკავეს გაგრის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი დავით ქოროღლიშვილი. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ქოროღლიშვილი დაკავებისას იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. მოკვლევას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აწარმოებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობს შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია . **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატოს მეორე მიკრორაიონში მცხოვრებმა, 62 წლის თამაზ გამყრელიძემ საკუთარი შვილი, 35 წლის დავით გამყრელიძე დანის გულში ჩარტყმით მოკლა. გამყრელიძე სამართალდამცველებმა გუშინვე დააკავეს. როგორც ისანი-სამგორის რაიონის პროკურორი ვაჟა აბაკელია აცხადებს, თამაზ გამყრელიძე შვილის მკვლელობას აღიარებს და აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში მისი შვილი გამუდმებით სვამდა და მას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. თამაზ გამყრელიძეს შვიდიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გამთენიისას, რეგიონული საბაჟო "აღმოსავლეთის" ლაგოდეხის საბაჟო-გამშვები პუნქტის მებაჟეებმა ავტომანქანის დათვალიერებისას დიდი რაოდენობით რუსული წარმოების სიგარეტი "ტროიკა" აღმოაჩინეს. ავტომანქანის დეტალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ 1200 კოლოფი სიგარეტი განთავსებული იყო ძრავში.

ლაგოდეხის საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსის ზაზა ნაცვლიშვილის განცხადებით, აღნიშნული ავტომანქანა საზღვარზე ადრეც მოძრაობდა, რის გამოც ჩნდება ეჭვი, რომ მის მფლობელს, აზარბაიჯანის მოქალაქე მაგამედ ისაევს აღნიშნული გზით კონტრაბანდა სხვა დროსაც გადმოჰქონდა. აღნიშნული ფაქტი ძიებისთვის გადაეცა ფინანსურ პოლიციას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში, ნიზამის შესახვევში მცხოვრები, 18 წლის რომან აპრიკოვი, რომელმაც იმავე ქუჩაზე მცხოვრებ 23 წლის მათე ერაძეს ავტოფარეხიდან მოჰპარა შპს "კონტორა-2003"-ის კუთვნილი 3 000 ლარის ღირებულების შოკოლადის ნაწარმი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს მნათობის ქუჩაზე მცხოვრები, ნასამართლევი, 29 წლის გიორგი ბადრიძე, რომლის ბინიდან ამოიღეს 69 ცალი კარაბინის ვაზნა და ნაქურდალი ნივთები. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

# რუსული პოლიტიკური სპექტრის პირველი რეაქცია

აჭარაში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა



სერგეი ბაბურინი



ვლადიმირ ჟირინოვსკი



ანდრეი კოკოშინი



გენადი ზიუგანოვი

პირველი გვერდიდან

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა დადებითად შეაფასა ასლან აბაშიძის გადადგომა. "რუსეთი მუდამ პრინციპულად გამოდიოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ასეთი იყო, არის და იქნება რუსეთის პოზიცია!" - განაცხადა მირონოვმა. დუმის სპიკერის აზრით, აჭარაში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, საქართველოსა და აჭარის ხელმძღვანელებისა და რუსეთის დიპლომატიის დამსახურებაა. მირონოვი ხაზს უსვამს იმას, რომ სასურველი არ იქნებოდა, საქართველოში დაწყებულიყო აბაშიძის მომხრეთა დევნა. მისი აზრით, "აჭარის სცენარის" გამეორება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნაკლებად შესაძლებელია.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ ოზეროვი არ გამორიცხავს, რომ ასლან აბაშიძის გადადგომამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირება. მისი თქმით, პრორუსულად განწყობილი აბაშიძის მეშვეობით, რუსეთს საშუალება ჰქონდა გამოეყენებინა დაპირისპირება თბილისსა და ბათუმს შორის.

"სააკაშვილი ის ადამიანია, რომელიც ორიენტირებულია დასავლეთზე, პირველ რიგში - აშშ-ზე და სწორედ ეს იქნება მისი პოლიტიკის პრიორიტეტი." - განაცხადა ოზეროვმა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს კონსტიტუციური კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე იური შარანდინი არ გამორიცხავს, რომ აჭარის ყოფილი ლიდერი შეიძლება გახდეს მოსკოვსა და თბილისს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების საგანი.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გუსტოვი აცხადებს: "აჭარის მოსახლეობამ დაუჯერა სააკაშვილს, რითაც საქართველოს პრეზიდენტმა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა. აჭარაში და მთელ საქართველოში მოვლენების განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოექცევა საქართველოს პრეზიდენტი აბაშიძის გარემოცვას." გუსტოვის აზრით, აბაშიძის გადადგომა მის მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის სრულიად კანონზომიერი და ლოგიკური დასასრულია.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოსაჩოვი მოუწოდებს თბილისს, თავი შეიკავოს აბაშიძის მომხრეთა მიმართ შურისძიებისაგან. კოსაჩოვის თქმით, რუსეთში ესმით, თუ რამდენად რთული იყო აბაშიძისთვის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მით უფრო მაღალი შეფასება ეძლევა მის ამ ნაბიჯს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოკოშინი დადებითად აფასებს რუსეთის როლს აჭარაში მიმდინარე მოვლენებში. მისი განცხადების თანახმად, "დღეს სახეზეა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში რადიკალური ისლამური დაჯგუფებების აქტიურობის მკვეთრი ზრდა და რუსეთი ვერ დაუშვებს აჭარის გადაქცევას სამხრეთ კავკასიაში მუსულმანური ფაქტორის რადიკალიზაციის დეტონატორად. ამასთან დაკავშირებით, კოკოშინს მიაჩნია, რომ ასლან აბაშიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აჭარის დატოვების შესახებ, სრულიად დასაბუთებულია.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა სერგეი ბაბურინმა გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ "ვარდების რევოლუცია" შესაძლებელია, გადავიდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზეც. მისი აზრით, თუკი თბილისი ამ ნაბიჯზე წავა, მდგომარეობა აფეთქდება არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინიოვსკი აჭარაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს, როგორც რუსეთის კიდევ ერთ დამარცხებას კავკასიაში.

კომპარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი აცხადებს, რომ აჭარაში შედარებითი წესრიგი იყო დამყარებული. თავად აბაშიძე კი ბოლომდე გულახდილი იყო მოსკოვთან ურთიერთობებში. ეს კი ვაშინგტონს არ აძლევდა ხელს. ზიუგანოვის თქმით, მოსკოვი თანდათან კარგავს საკუთარ პოზიციებს კავკასიაში. "საქართველოს მართავენ ამერიკელი პოლკოვნიკები, რომლებმაც შევარდნაძის გადაყენების ოპერაციაზე დახარჯეს სულ რაღაც 150 მლნ დოლარი, ჩვენ კი დღემდე ვაწვდით საქართველოს გაზსა და ელექტროენერგიას უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე ბელორუსიას," - განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვეს სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არძინბას აზრით, მდგომარეობა აფხაზეთში მკვეთრად განსხვავდება მდგომარეობისაგან აჭარაში. აჭარლები ეთნიკური ქართველები არიან და არასოდეს გამოუთქვამთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების სურვილი. აჭარაში მიმდინარე მოვლენები, თავისი არსით, იყო კონფლიქტი თბილისისა და ბათუმის პოლიტიკურ ელიტებს შორის.

"ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ შეგვწევს უნარი ვიბრძოლოთ აფხაზეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. აფხაზეთში დღესაც მზად არიან ამისათვის და გააჩნიათ ყველა საჭირო საშუალება რესპუბლიკის უსაფრთხოების დასაცავად," - განაცხადა არძინბამ.

სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა განაცხადა, რომ "სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს ქართველი მოსახლეობა და არ არის გამორიცხული, რომ თბილისი დაეყრდნობა რა ამ ხალხს, ეცდება სამხრეთ ოსეთშიც მოახდინოს "აჭარული სცენარის" რეალიზება. კოჩიევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებულია საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების შერეული ძალები. მათი ვალია, აღკვეთონ ნებისმიერი ექსცესები კონფლიქტის მხარეებს შორის. ამასთანავე, კოჩიევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ჰყავს საკუთარი ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც მზად არიან დამოუკიდებელი მოქმედებისათვის რესპუბლიკის სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად.

ზემოხსენებული კომენტარებიდან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე პოზიცია:

რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, თითქოს ასლან აბაშიძე გადადგა საკუთარი ნებით, აჭარაში სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით (ანუ "ღირსეული" წასვლის სურათს ქმნიან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი ხნის ეჭვებს, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები სერიოზულ ლობირებას უწევდნენ აბაშიძეს.

აბაშიძის მომავალ ბედზე საუბრისას, გამოთქმულია გარკვეული ეჭვი, რომ საქართველოში გაგრძელდება აბაშიძის გარემოცვის დევნა (ანუ ხდება დაფიქსირება იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს თავისი პირობა და აღარ იძიოს შური აბაშიძის რეჟიმის წარმომადგენლებზე).

"აჭარის სცენარის" აფხაზეთსა და ცხინვალში შესაძლო გამეორების შესახებ გაკეთებული განცხადებების ფონზე, შეიმჩნევა სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენელთა სერიოზული შეშფოთება.

# აჭარა - ამაყად, ლაღად და თავისუფლად ჟღერს

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ოზურგეთის მოსახლეობა თანაგრძნობითა და შეშფოთებით ადევნებდა თვალს მეზობელ აჭარაში მიმდინარე მოვლენებს. მართალია, ამ ორი რეგიონის დამაკავშირებელი ხიდები, ერთ დროს ახალი ხიდების მშენებლობით სახელდაგდებულმა, სულით, ხორცითა და სტატუსით ჩია, აწ უკვე ექს-დიქტატორმა ასლან აბაშიძემ ააფეთქა, მაგრამ ჩოლოქს იქით და ჩოლოქს აქეთ განუყრელი ძმები სახლობენ და მათი გათიშვა ამგვარი ბოროტებით შეუძლებელია.

აბაშიძესთან დაპირისპირებული დემოკრატიული ოპოზიციის მოთხოვნების მხარდასაჭერად ოზურგეთიდან ყოველდღიურად ადამიანთა დიდი ჯგუფი მიემართებოდა აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან, რათა ქაქუთის პოსტის გამოღმიდან შეეწიათ გამამხნევებელი სიტყვა თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის. საერთოდ, ოზურგეთში მუდამ კეთილგანწყობა იყო აჭარის მოსახლეობისა და ხელისუფლებისადმი, მაგრამ ბოლოდროინდელმა პროცესებმა, ასლან აბაშიძის ცენტრალური ხელისუფლებისადმი აქტიური დაუმორჩილებლობის პოლიტიკამ გურულებში და გურიაში მცხოვრებ ათასობით აჭარელში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. საყოველთაო აზრით, ვინც დღეს საქართველოს ერთობისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეს ხელს უშლის, ის მტერია და უნდა მოიკვეთოს. იმედის, ანუ ვარდების რევოლუციის მონაპოვრებს აქ ყველა გულით უფრთხილდება და ეს იმედები ერთი ახირებული პოლიტიკური მანიაკის ვნებებს არ უნდა გადაჰყოლოდა. საღი გონებისათვის გაუგებარი იყო, თუ რატომ აღმართა ასლან აბაშიძემ რკინა-ბეტონის ჯებირები აჭარასა და, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, "დანარჩენ საქართველოს" შორის. იმ დანარჩენ საქართველოში კი გურიაც მოჰყვა, ის გურია, სადაც ათასობით აჭარელის ოჯახი სახლობს. დღიდან ასლანის აჭარაში გაბატონებისა, რატომ იქცა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში სტუმრობა, განსაკუთრებით ავტომანქანით, დამამცირებელ და დამთრგუნველ პროცესად, ჩოლოქიდან ბათუმამდე და ქაქუთიდან ბათუმამდე?! ლამის ყოველ ნაბიჯზე მოწყობილი პოსტები ნამდვილად აზარალებდა ორი კუთხის არა მარტო ეკონომიკურ (წვრილ თუ მსხვილ მოვაჭრეებს, ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს უხეშად და განუკითხავად არეკეტებდნენ ბლოკპოსტებზე მრავლად თავმოყრილი პოლიციელები, საბაჟოს, უშიშროებისა და სხვა უწყებების ვაი-მუშაკები), არამედ ადამიანურ ურთიერთობებს. რატომღაც აქ ისეთი სულისკვეთება იყო გამეფებული, შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, ოზურგეთიდან ქობულეთში კი არ გადადიოდი, არამედ რომელიმე მტრულად განწყობილი სახლემწიფოს ტერიტორიაზე ლამობდი შეღწევას. ისიც სათქმელია, რომ ბლოკპოსტების სიავე არაერთხელ იწვნიეს ქართველმა პოლიტიკოსებმა.

აჭარამ დიდი გმირობა გამოიჩინა და ერთი ხელის დაკვრით გადაიგდო ასლან აბაშიძის უღელი. აჭარა დღეიდან აღარ იქნება ის ადგილი, სადაც მხოლოდ ასლანის ტელევიზია მუშაობდა, ასლანის გაზეთი გამოდიოდა, ასლანის კაცები ზეობდნენ, მდიდრდებოდნენ და თვითნებობდნენ; აჭარა აღარ იქნება ადგილობრივი თუ სხვა, ასლანისაგან მიჩვეული კრიმინალების თავშესაფარი. მწამს, ყველა აჭარელს გულისგულში მაინც ექნება ნაფიქრი, რომ ეს კომუნისტურ-ბოლშევიკური წარსულის გადმონაშთი-ავტონომია, რაღაცნაირად აკნინებს ამ თავისუფლებისმოყვარე და მიწყივ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ნამდვილ სახეს.

აჭარა - ამაყად, ლაღად და თავისუფლად ჟღერს!




www.24hours.ge 24 B

9 მაისი

# შეხვდა თუ არა სტალინი ჰიტლერს

ანდრე კარბელაშვილი

თბილისში გამომავალ "კავკაზსკი კალენდარში" გამოქვეყნებული ინფორმაციების თანახმად, 1911-1914 წლებში თბილისში გერმანიის გენერალურ კონსულად გრაფი შულენბურგი მუშაობდა. იგი 1911 წლის აპრილში ჩამოვიდა. მაშინ გენერალური საკონსულო პასკევიჩის ქუჩის №14-ში მდებარეობდა.

გრაფი შულენბურგი 1914 წლის ივლისში ბერლინში გაიწვია საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

როგორც გაზეთი "საქართველო" იუწყებოდა, გრაფი შულენბურგი - საიმპერიო მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი, საქართველოს მთავრობასთან მეორედ 1918 წლის 30 მაისს ჩამოვიდა თბილისში. 4 ივნისს იგი თბილისში პრესკონფერენციას ატარებს ჟურნალისტებთან, ხოლო 11 ივნისს - ნოე რამიშვილთან ერთად გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე ესწრება ქართველი და გერმანელი სამხედროების აღლუმს და მისასალმებელი სიტყვით გამოდის.

1919 წლის 17 იანვარს გრაფმა თბილისი დატოვა და რამდენიმე წლის განმავლობაში ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ განყოფილების რეფერენტი იყო. მერე დაინიშნა გერმანიის ელჩად ჯერ თეირანში და შემდეგ ბუქარესტში. 1934 წლის აგვისტოში იგი მოსკოვში ჩადის, როგორც გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

1938 წლის 29 სექტემბერს მიუნხენში დიდმა ბრიტანეთმა (ნ. ჩემბერლინი), საფრანგეთმა (ე. დალადიე), ფაშისტურმა გერმანიამ (ა. ჰიტლერი), ფაშისტურმა იტალიამ (ბ. მუსოლინი) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გერმანიისათვის გადაცემის შესახებ (ამ ოლქში ძირითადად გერმანელები ცხოვრობდნენ). ამასთან, შეთანხმებით დაკმაყოფილდა უნგრეთის და პოლონეთის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიისადმი. ამ შეთანხმებამ განაპირობა შემდგომ გერმანიის მიერ მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია თოფის ერთი გასროლის გარეშე.

1938 წლის ნოემბრიდან გრაფი შულენბურგი მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატთა კორპუსის დუაიენია, რამაც მას საშუალება მისცა, პირადი კონტაქტები დაემყარებინა საბჭოთა უმაღლეს ხელმძღვანელებთან და სტალინთან.

1939 წლის 23 აგვისტოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა ხელი მოაწერეს ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს.

1939 წლის 3 სექტემბერს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ აქტიური საომარი მოქმედება არ დაუწყიათ (ე.წ. "უცნაური ომი").

და აი, სწორედ 3 სექტემბერს სტალინი წერს გრაფ შულენბურგს:

**"სსრკ-ში გერმანიის ელჩს გრაფ ფონ დერ შულენბურგს. გამ. N 980 1939 წლის 3 სექტემბერი.**

**მე პრინციპულად თანახმა ვარ, შევხვდე ბატონ ადოლფ ჰიტლერს. შეუცვლელად ვიქნები ამ შეხვედრის მოსურნე. შეხვედრის ორგანიზაცია მე დავავალე ჩემს შინაგან საქმეთა სახკომს ამხ. ბერიას.**

**პატივისცემით ი. სტალინი"**

როგორც ჩანს, შეხვედრის ინიციატორი ჰიტლერი იყო.

გრაფმა შულენბურგმა წერილით აცნობა ჰიტლერს სტალინის თანხმობა შეხვედრაზე. წერილის ასლზე შემორჩენილია მინაწერი: **"მოსკოვით დროით, 1939 წლის 9 სექტემბერს 17 საათზე და 10 წუთზე სსრ კავშირი გერმანიის საელჩოს მეორე მდივანმა დარეკა და ითხოვა, გადაეცათ ამხ. მოლოტოვისათვის, რომ ბატონმა რეიხსკანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა მიიღო ამხ. სტალინის მიმართვა".**

შემდეგ ასეთი წერილი:

**"სსრ კავშირში გერმანიის ელჩს გრაფ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს. გამ. N1001 1939 წლის 20 სექტემბერი. აცნობეთ გერმანიის რეიხსკანცლერს ადოლფ ჰიტლერს, რომ მზადა ვარ მასთან პირადი შეხვედრისათვის 1939 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს ლვოვში. ჩამოვალ სპეციალური მატარებლით და შეხვედრაც ჩემს ვაგონში მოხდება.**

**პატივისცემით ი. სტალინი."**

ადოლფ ჰიტლერმა შეხვედრის დროდ ოქტომბრის 17, 18 და 19 რიცხვები მიიჩნია. ამით მან ასეთი შეხვედრა სტალინთან უფრო დააჩქარა.

სტალინის მესამე წერილი:

**"სსრკ-ში გერმანიის ელჩს გრაფ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს. გამ. N1037 1939 წლის 11 ოქტომბერი.**

**გთხოვთ საბოლოოდ ჩათვალოთ შეხვედრის დროდ 1939 წლის 17, 18 და 19 ოქტომბერი და არ 17-19 ნოემბერი, როგორც ადრე იყო დაგეგმილი. ჩემი მატარებელი შეხვედრის ადგილზე იქნება 1939 წლის 17 ოქტომბრის 15 საათსა და 30 წუთზე. შინსახკომის ორგანოების მიერ მიღებულია ყველა ზომები დაგეგმილ ღონისძიებათა უშიშროებისათვის.**

**პატივისცემით ი. სტალინი."**



1940 წელი. აპრილ-მაისში ჰიტლერელებმა დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია მოახდინეს. მაისში ოკუპირებული იქნა ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. 14 ივნისს გერმანიის ჯარები პარიზში მარშით შევიდნენ.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ივნისის ბოლოს გრაფი შულენბურგი მოსკოვიდან ბერლინში ბრუნდება ბაქო-თბილისი-ანკარის გავლით.

## გრაფთან შეხვედრები ბერლინში

ცნობილი ქართველი სამხედრო პირი და პოლიტიკური მოღვაწე დავით ვაჩნაძე, რომელიც 1918 წელს თბილისში არაერთხელ შეხვედრია გრაფ შულენბურგს, თავის მოგონებებში წერდა:

"1942 წ. დასაწყისში მომდის ცნობები, რომ გერმანიის ტყვეობაში ჩავარდნილი მრავალი ქართველი იხოცება შიმშილ-სიცივე-ავადმყოფობისაგან. გადავწყვიტე წასვლა ბერლინში ქართველების საშველად და საქართველოს საკითხის ბედის გამოსარკვევად. ვაცნობე ჩემი სურვილი შულენბურგს.

1942 წ. აპრილში გრაფ დერ შულენბურგმა, ყოფილმა ელჩმა მოსკოვში, განსაკუთრებულად გამოგზავნილ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის პირით (კაპპი) გამიწვია რომიდან ბერლინში. 17 აპრილს სწრაფი მატარებლით ჩავედი ბერლინში. იმავე დღის საღამოს 5 საათზე ვინახულე გრაფი შულენბურგი. მხურვალედ მომეგება. ჩვენს შორის გაიმართა დიალოგი:

**გრაფი** - გსურთ თუ არა, როგორც 1918 წ. თბილისში, დამეხმაროთ თქვენი ქართული საკითხების მომავალში?

**მე** - დიაღ, თუ ახლანდელი გერმანიის მთავრობა, როგორც წინანდელი, დაგვეთანხმება თავისუფალ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაში.

**გრაფი** - სავსებით ვეთანხმები თქვენ მამულიშვილურ სურვილსა. მხოლოდ არ დაგიმალავთ, რომ თანამედროვე ომის გარემოებანი მეტად რთულია; ამასთან ჩვენი ნაც.-სოც. მთავრობაც აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა პრობლემას ახალ პოლიტიკურ კონცეპციის თვალსაზრისით უდგება. ამიტომ ვცდილობ, რომ საქართველო-კავკასიის საკითხი ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის სფეროში მოვაქცევინო. ამისათვის საჭიროა, რომ მოეწყოს "ქართული პოლიტიკური კომიტეტი". ამაში დამეხმარეთ.

**მე** - მზადა ვარ, თუ ასეთი "კომიტეტის" დაარსებამდე მიღებული იქნება ზოგიერთი მთავარი ქართული პირობა. მაგალითად:

1. ქართველი ტყვეების დაუყონებლივ ცალკე ნაწილებში მოწყობა "ქართული კომიტეტის" ზედამხედველობის ქვეშ.

2. მათი სამხედრო პოლიტიკური მომზადება შიგნით გერმანიაში, როგორც მომავალ განთავისუფლებულ კავკასიის ჯარის კადრისა.

3. არ გამოყენება მათი ამ ომში, როგორც გაუწვრთნელის ან მცირერიცხოვანების, განსაკუთრებით დასავლეთ ხალხების წინაალმდეგ, რომლებთანაც საქართველოს მუდამ მეგობრული განწყობილება ჰქონდა.

**გრაფი** - კარგით. ჯერ დავაარსოთ "ქართული კომიტეტი" და მერე ერთად ვეცადოთ, გავანაღდოთ სამართლიანი და გონიერი ქართული სურვილები. აქამდის რომ ასე მრავლად დაიღუპნენ თქვენი თანამემამულეები ტყვეთა ლაგერებში, უნდა მიეწეროს ასეთი "კომიტეტის" უქონლობასაც.

**მე** - გეთანხმებით გრაფ, ჩვენში ნათქვამია: ცდა - ბედის მონახევრეაო. - მივუგე საბოლოო პასუხად საქართველოს და ქართველობის ძველ ნაამაგარ მეგობარს გრაფ ფონ შულენბურგს.

მაგრამ გრაფ შულენბურგის და ქართული პოლიტიკური წრეების ცდები ამ მიმართულებით სრული მარცხით დამთავრდა.

1943 წლის ნოემბერი. დავით ვაჩნაძე ისევ ჩადის ბერლინში და გრაფ შულენბურგს ხვდება.

დავით ვაჩნაძემ გრაფს განუცხადა:

- რადგან ყველა ჩვენი საერთო ცდები სრული ფიასკოთი დამთავრდა, ვტოვებ ბერლინს და მივდივარ ავსტრიაში საცხოვრებლად.

გრაფმა შულენბურგმა უპასუხა: მართალი ბრძანდებით... მე დამარცხებული ვარ. ვშიშობ, რომ გერმანიაც დამარცხებულია, თუ რომ სასწაული არ მოხდება.

## სასწაული არ მოხდა

ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ ბერლინში შეთქმულება მოეწყო.

1944 წლის 20 ივლისი. აფრიკის ფრონტზე დაჭრილი 37 წლის ცალხელა პოლკოვნიკი შტაუფფენბერგი ჰიტლერის მთავარ ბანაკში შევიდა პორტფელით, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო. შემთხვევითობამ გადაარჩინა ფიურერი.

შეთქმულება გაიხსნა. 180-ზე მეტი სამხედრო პირი და არისტოკრატი დახვრიტეს, დაახლოებით 7 ათასი დააპატიმრეს.

გრაფ შულენბურგი, რომელიც დავით ვაჩნაძესთან შეხვედრისას უკვე შიშობდა, რომ გერმანიაც დამარცხდებოდა, აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულებაში. იგი ფრონტის ხაზზე უნდა გადასულიყო ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვში ჩასულიყო და ზავის დადების თაობაზე სტალინს შეხვედროდა.

სხვა შეთქმულების მონაწილეებთან ერთად გრაფ შულენბურგიც დააპატიმრეს და წამების შემდეგ, 1944 წლის 10 ნოემბერს ჩამოახრჩვეს.

დღეს მოსკოვში, გერმანიის საელჩოს შენობაზე მემორიალური დაფაა გაკეთებული გრაფ შულენბურგის გასახსენებლად.

სტალინის მიმოწერა გრაფ შულენბურგთან არქივებში აღმოჩენილია ახლახან, როგორც რუსული წყაროები იუწყება.

1945 წლის 30 აპრილს ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა.

წინ იყო 9 მაისი. ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

P.S. სტალინი ალბათ არ შეხვდა ჰიტლერს ლვოვში.

# როგორ უნდა დაენგრია ჰიტლერს ნიუ-იორკი

ანდრე კარბელაშვილი

11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა შეგვახსენა, რომ 1945 წლის დასაწყისში ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი რაკეტებით (ფაუ-2) გათვალისწინებული იყო ნიუ-იორკის დაბომბვა წყალქვეშა ნავებიდან.

## ვერნერ ფონ ბრაუნი

ვერნერ ფონ ბრაუნი დაიბადა პოლონეთის ქალაქ ვიჟისკში. სწავლობდა ციურიხისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1930 წელს მუშაობა დაიწყო თხევადსაწვავიანი რაკეტების კვლევის დარგში. 1934 წელს გამოსცადა ორი რაკეტა (A-2). 1937 წელს იგი გერმანიის კვლევითი ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და რაკეტა ფაუ-2-ის მთავარი კონსტრუქტორი.

1938 წელს კუნძულ პენემიუნდზე (ბალტიის ზღვის სანაპიროს მახლობლად) აგებული იქნა რაკეტების საკვლევი ცენტრი.

1939 წლის სექტემბერს ვერნერ ფონ ბრაუნმა ბერლინში სამდღიანი თათბირი ჩაატარა გერმანიის რაკეტული პროგრამის შესაქმნელად.

1941 წელს დაიწყო ფაუ-1 რაკეტების დამზადება.

1942 წლის დეკემბერში ბერლინის უნივერსიტეტში განიხილავდნენ ხუთტონიანი რაკეტის დამზადების შესაძლებლობებს.

1943 წლის იანვარში ბრიტანეთის დაზვერვამ დაადგინა, რომ პენემიუნდზე უკვე ამზადებდნენ ფაუ-2-ებს.

1944 წლის 13 ივლისს პირად და მკაცრ საიდუმლო მიმართვაში პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა ი. სტალინს აცნობა, რომ გერმანიის რაკეტული იარაღი სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა ლონდონისათვის. მალე ლონდონზე ფაუ-2 რაკეტებით თავდასხმა დაიწყო.

## მზვერავმა დაკითხა ბრაუნი

1944 წელს ინგლისში ჩასულმა ამერიკელმა მზვერავმა, ოფიცერმა ჰენრი სკეიდიმ მოიპოვა საიდუმლო ცნობები გერმანულ წყალქვეშა ნავზე U-511, რომლის კაპიტანი ვინმე ფრიც შტაინხოფი იყო. გაირკვა, რომ წყალქვეშა ნავი ბალისტიკური რაკეტებით იყო შეიარაღებული და შესაძლებლობა ჰქონდა, რაკეტები წყალქვეშა მდგომარეობიდან გაეშვა.

ლონდონიდან ამერიკელი მზვერავი 1945 წლის დასაწყისში ჩავიდა და შეხვდა ამერიკელების მიერ იმ დროს დატყვევებულ ცნობილ გერმანელ სპეციალისტებს. მან დაკითხა ფონ ბრაუნი.

ამერიკელმა მზვერავმა ჰენრი სკეიდიმ ვერნერ ფონ ბრაუნს ჰკითხა:

- თქვენთვის ცნობილია ფრიც შტაინხოფი?

- მე ვიცნობ ერნსტ შტაინხოფს, - ფრთხილად უპასუხა ბრაუნმა, - ავიაციის ინჟინერი და შესანიშნავი მფრინავია.

- შესაძლოა, მაგრამ მე მაინტერესებს ფრიც შტაინხოფი, წყალქვეშა ნავის U-511 კაპიტან-ლეიტენანტი.

ბრაუნი მიხვდა ყველაფერს. იმასაც, რომ ახლა მისი ბედი ამ ამერიკელის ხელში იყო.

- დიახ, ჩვენ დაკავებული ვიყავით წყალქვეშა ნავის ფაუ-2-ებით აღჭურვაზე.



- წყლიდან რა სიღრმიდან ხდებოდა რაკეტების გაშვება?

- რვა მეტრიდან.

- მე მაინტერესებს ამ გამოცდის ყოველი დეტალი, განსაკუთრებით რაკეტების მოქმედების რადიუსი და მოხვედრის წერტილების ერთმანეთისაგან დაშორება. თქვით სიმართლე, სანამ გვიან არ არის!

ბრაუნმა ყველაფერი აღიარა.

ფაუ-2-ებით ნიუ-იორკი უნდა დაენგრიათ. ამერიკაში მყოფ გერმანულ დაზვერვას დაევალა, რადიო-შუქურა დაეყენებინა ნიუ-იორკის ყველაზე მაღალი ცათამბჯენის სახურავზე. ასეთი რადიო-შუქურა ზუსტად მოახვედრებდა რაკეტებს მიზანს. ბრაუნმა ჰიტლერისათვის დაპირებული დარტყმის შესასრულებლად წყალქვეშა ნავზე ექვსი ფაუ-2 დადგა, რომლებსაც დიდი მანძილიდან შეეძლოთ სამიზნეში მოხვედრა.

სწორედ 1945 წლის თებერვალში შედგა იტალიაში სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრა. მოკავშირე სახელმწიფოების მეთაურებმა უკვე იცოდნენ, რომ ახლოვდებოდა გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე და ისიც შესაძლებელი იყო, ფიურერს კიდევ გაებრძოლა.

ეს ასევე გაიფიქრა ამერიკელმა მზვერავმა სკეიდიმაც, როცა ბრაუნმა გაუმხილა ფაუ-2-ების შესაძლო თავდასხმა ნიუ-იორკზე. ამიტომ მოხდა, რომ დაკითხვის შემდეგ მაშინვე გადასცა ამერიკაში დაშიფრული რადიო-დეპეშა. ერთ დღე-ღამეში ამერიკაში დამუშავდა თავდაცვითი გეგმა სახელწოდებით "მელია". "მელია" წყალქვეშა ნავებს უწოდეს. რამდენ წყალქვეშა ნავს შეეძლო თავდასხმა ნიუ-იორკზე, როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი მარშრუტები, როდის მოხდებოდა ეს?

თავდაცვის გეგმის ხელმძღვანელი, რომლის შესახებ იცოდა მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტმა, შეხვდა მას და ყველაფერი შეატყობინა. მაშინ პრეზიდენტმა ცირკულით შემოავლო ნახევარწრე ატლანტიკის ოკეანეს ნიუ-იორკიდან და გასცა ბრძანება, რომლის თანახმად საშიშ ზონაში უნდა ჩაძირულიყო ნებისმიერი წყალქვეშა ნავი.

## აშშ დროშა მთვარეზე

ვერნერ ფონ ბრაუნი ამერიკაში გადაიყვანეს, სადაც დაავალეს აშშ-ს არმიის შეიარაღების დაპროექტების ხელმძღვანელობა. 1960 წლიდან ბრაუნი კოსმიური სივრცის კვლევის ეროვნული სააგენტოს (NASA) თავკაცია.

1961 წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ დასახა ამოცანა - გადაესხა ადამიანები მთვარეზე.

ამერიკაში მყოფი ვერნერ ფონ ბრაუნის ხელმძღვანელობით დამუშავდა მძლავრი რაკეტა-მატარებლები, რომლებსაც შეეძლოთ დედამიწის ახლო ორბიტაზე გადაეტანათ 100 ტონაზე მეტი სასარგებლო ტვირთი. "სატურნი-1"-ის პირველი გაფრენა შედგა 1961 წლის 27 ოქტომბერს. თვით რაკეტა 512 ტონას შეადგენდა და კოსმოსში 10 ტონამდე ტვირთის გატანა შეეძლო. 1966 წელს "სატურნი-1Ბ"-მ ორბიტაზე 18 ტონა ტვირთი გაიტანა. უშუალოდ მთვარეზე გაფრენისათვის განკუთვნილი იყო სამსაფეხურიანი რაკეტა-მატარებელი "სატურნი-5". ამ უზარმაზარი, 111-მეტრიანი სიგრძის რაკეტის გაშვება 1967 წლის 9 ნოემბერს შედგა. 185 კილომეტრის სიმაღლის ორბიტაზე "სატურნ-5"-მა 139 ტონა სასარგებლო ტვირთი გაიტანა.

ყველაფერი ეს ვერნერ ფონ ბრაუნის ხელმძღვანელობით ხდებოდა. მანვე დიდი წვლილი შეიტანა "აპოლონ" სერიის კოსმოსური ხომალდების დამუშავებაში.

სწორედ "აპოლონ-11"-ის გამოყენებით 1969 წლის 20 ივლისს ამერიკელმა ნილ ამსტრონგმა და ედვინ ოლდრინმა ფეხი შედგეს მთვარის ზედაპირზე. მთვარეზე მყოფთ მოკლე სიტყვით მიმართა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, რომელიც თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში იყო.

ასტრონავტებმა მთვარის ზედაპირზე ამერიკის შეერთებული შტატების დროშა აღმართეს.

ვერნერ ფონ ბრაუნმა, რომელსაც ჰიტლერის დავალებით ნიუ-იორკი უნდა დაენგრია, აშშ-ს მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

იგი 1977 წელს 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.



# აფიშა

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვიქტორ დოლიძე
"ქეთო და კოტე"
დირიჟორი: რევაზ ტაკიძე
დას: 18:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დავით კლდიაშვილი
"ბაკულას ღორები"
რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი"
რეჟისორი დავით ანდღულაძე
(ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის" მიხედვით)
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გოგა თავაძე
დას: 18:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი:
ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ადამიანის შვილი"
(ლატვია. 1991 წ. კომედია)
დასწრება უფასოა
დას: 18:00 სთ.

**ამირანი**
"ბინძური ცეკვები 2"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"სიცოცხლის გამტაცებელი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენა

**ძველი გალერეა**
იაკობ ჯულაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**"ორიენტი"**
ფოტოგამოფენა "მე და ჩემი თანატოლი" სალონი "ხელოვნება"
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "საფეხურები"

**"ქარვასლა"**
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**"ჰობი"**
მარინა უჯმაჯურიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"პიკასო + ფიროსმანი"

## კლუბები

**აჭარა მიუზიკ ჰოლი**
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ფასი ბიჭებისთვის - 20 ლარი
გოგონებისთვის - უფასო

**23 მაისს და 6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი

კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.

დას: 13:00; 15:00 სთ.

# რუსთაველის თეატრი გასტროლებზე

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი 10 მაისს გასტროლებზე ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გაემგზავრება. დასი ისლანდიურმა მხარემ მიიწვია. ქართველი მსახიობები 14-15 მაისს, შექსპირის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს - "მეთორმეტე ღამე" ითამაშებენ.

თეატრის დირექტორის გია თევზაძის თქმით, იმის მიუხედავად, რომ თეატრი არ ფუნქციონირებს, დასი აქტიურად მუშაობს და როგორც საქართველოს რეგიონებში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასტროლებზე ხშირად იმყოფება. თეატრის შენობაში ამჟამად სარემონტო სამუშაოები გრძელდება, წლის ბოლოსთვის კი, თეატრი სეზონს ოფიციალურად გახსნის.

თეატრის შენობაში სარემონტო სამუშაოები 2000 წელს დაიწყო.

*ინტერ-პრესი*

# ენციკლოპედია „თბილისი" ინგლისურ ენაზეც გვექნება?

ნანა კობაიძე

ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს, - ასე ფიქრობდა ყველა, ვინც რამდენიმე თვის წინათ "წიგნის სახლში" ენციკლოპედია "თბილისის" პრეზენტაციას დაესწრო. ასე ვფიქრობდი მეც, თუმცა რამდენიმე დღის წინათ ამ გამოცემის ერთ-ერთ თანაგამომცემელთან, ოთარ გაგუასთან საუბარმა მთელი რიგი პრობლემები წარმოაჩინა. თავდაპირველად, მინდა გითხრათ, რომ ბატონ ოთარს სურს ამ ენციკლოპედიის ინგლისურ ენაზე გამოცემა, თუმცა მანამდე გარკვეული შესწორებებია განსახორციელებელი. ერთ საგაზეთო წერილში ყველაფერზე ვერ ვისაუბრებთ, ზოგიერთ საკითხზე ყურადღების გამახვილება კი ნამდვილად ღირს. ვიდრე ამ თემას შევეხებით, რამდენიმე სიტყვით - იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა ეს წიგნი.

დავიწყოთ იმით, რომ ენციკლოპედია "თბილისი" პირველი ქართული სამეცნიერო გამოცემაა, რომელიც ჩვენს დედაქალაქს ეძღვნება. მასში თავმოყრილი და სისტემატიზებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია თბილისის შესახებ. მისი შემქმნელები მიიჩნევენ, რომ ეს გამოცემა უნივერსალური ენციკლოპედიებისგან განსხვავდება სტრუქტურითაც და ტერმინთა შერჩევის პრინციპითაც. ჩვეულებრივ, ანბანური საძიებელის გარდა წიგნი თემატურ ნაწილსაც მოიცავს, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაეცნოს მასალებს თბილისის ისტორიის, მოსახლეობის, არქიტექტურის, მეცნიერების, ეკონომიკის, ლიტერატურის, სპორტის და სხვა სფეროთა შესახებ. ენციკლოპედია 600-მდე ავტორის სტატიას აერთიანებს - ერთი სიტყვით, უზარმაზარი შრომაა გაწეული, რომლის დაუფასებლობა არ შეიძლება. თუმცა, ხარვეზების არსებობას არც თავად სარედაქციო კოლეგია უარყოფს და შეუძლებელიც არის, ასეთი მასშტაბის ნაშრომში ხარვეზებს ასცდე. მაგრამ ხარვეზსა და სერიოზულ შეცდომას შორის არის განსხვავება და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი ისევ ამ წიგნის ბედის შესახებ.

მისი გამოცემის იდეა გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა და დაიწყო კიდეც მასალების შეგროვება. თუმცა, მალე დადგა პერიოდი, როდესაც წიგნისთვის აღარავის ეცალა და ნაშრომი თაროზე შემოდეს. ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა ასე, ბატონი ოთარი რომ არ გამოჩენილიყო. 1996 წელს იგი დაუკავშირდა ენციკლოპედიის სარედაქციო




საბჭოს და გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც ამ გამოცემის მატერიალურ-ტექნიკურ მხარეზე ზრუნვა საკუთარ თავზე აიღო. გამოცემის რედაქტორობა ქართული ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს ავთანდილ საყვარელიძეს დაეკისრა.

ამასობაში უკვე მოძიებული მასალების დიდი ნაწილი მოძველდა, ნაწილი კი ხელახლა გახდა დასაწერი. მუშაობა ამ კუთხით წარიმართა. თუმცა, ოთარ გაგუას აზრით, ენციკლოპედიაში შესული ბევრი სტატია მაინც ვერ ასცდა საბჭოურ მაამებლურ სულისკვეთებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ერთი უცნაური შეუსაბამობა, რომელიც ამ წიგნის გამოცემას უკავშირდება: საქმე ის გახლავთ, რომ მისი ორი განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ენციკლოპედია 2002 წელს უნდა გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც, მაგრამ მაშინდელ ხელისუფალთა წინაშე თავი რომ მოეწონებინათ, მისმა გამომცემლებმა ძირითადი ტირაჟის დაბეჭდვამდე 200 ეგზემპლარი სპეციალურად "თბილისობისთვის" სასწრაფო წესით დასტამბეს და ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი საჩუქრად მიართვეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ამის შემდეგ აღნიშნულ გამოცემაში მნიშვნელოვანი კორექტირება გახდა აუცილებელი - იგულისხმება ზოგიერთი ისტორიული ფაქტი და დასახელება, რომლებიც, ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს წევრის შოთა ვადაჭკორიას მტკიცებით, შეგნებულად და მიზანმიმართულად ყალიბდებოდა რამდენიმე პროსომხურად განწყობილი ისტორიკოსის მიერ. ამ ყველაფერს მაშინ ცხარე პოლემიკა მოჰყვა და "შეცდომების" ნაწილი ჩასწორდა. ასე მაგალითად, მადათოვის კუნძულის ნაცვლად, ორბელიანების კუნძული ჩაიწერა, მნაცაკანოვის ხიდის ნაცვლად კი - კახეთის ხიდი. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია, იმ ხარვეზებთან შედარებით, რასაც ენციკლოპედიაში ვხვდებით (განსაკუთრებით, უახლესი ისტორიის თვალსაზრისით).

უპირველესად, თვალშისაცემია მეორეხარისხოვან პერსონალიათა სიუხვე. შეურაცხყოფას არავის ვაყენებთ, მაგრამ ენციკლოპედია არ არის ის გამოცემა, სადაც ადამიანი ნაცნობ-მეგობრობით უნდა შეიყვანო და არა - დამსახურებით. შესაძლოა, ამ ადამიანებს თავის სფეროში რაღაც გაუკეთებიათ, მაგრამ არა იმდენი, რომ ენციკლოპედიაში შეყვანის ღირსად მიიჩნიო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი თაობებს უნდა გადაეცეს და ამცნოს, ვინ ვიყავით და ვინ გვყავდა. ამ შემთხვევაში პრინციპი - რაც მეტი - მით უკეთესი - ნამდვილად არ არის მიზანშეწონილი. ალბათ, აქ უფრო გამართლებულია, ვიხელმძღვანელოთ პრინციპით - ცოტა და ხარისხიანი. აქედან გამომდინარე, ენციკლოპედია საფუძვლიან გაცხრილვას საჭიროებს; მით უმეტეს, თუ ეს გამოცემა ინგლისურ ენაზეც გამოვა. უცხოელებს ნაკლებად აინტერესებთ, რა დაუხატავს რომელიღაც ქართველ მხატვარს ან დაუწერია პოეტს, რომლის არსებობაც, მისი მეგობრების გარდა, არავინ იცის.

ენციკლოპედიაში არის კურიოზებიც, რომელთაგან ყველაზე დიდი ის ფურცლებია, რომლებზეც ქართველ გენერალთა ფოტოებია გამოფენილი. 154 გენერალი ქვეყანაში, რომელმაც აფხაზეთი დაკარგა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. და კიდევ - რესტორნებისა და წვრილ-წვრილი სააქციო საზოგადოების თვალშისაცემი სიმრავლე. ისღა გვაკლია, ენციკლოპედიაში თბილისში არსებული "ბუტკები" და მათი მფლობელებიც შევიტანოთ. ერთი სიტყვით, გაკეთებული ბევრია, არანაკლებ ბევრი კი - გასაცხრილი. სწორედ ეს დაცხრილულ-ჩასწორებული ვარიანტი ესახება ინგლისური ვერსიითვის მისაღებად ოთარ გაგუას. მისი აზრით, ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც კვლავ გააქტიურდნენ საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ძალები. მაგალითისთვის, არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვში გამოცემული "მართლმადიდებლური ენციკლოპედიაც" კმარა, რომელიც სადავოდ ხდის მთელი რიგი ისტორიული ძეგლების (მცხეთის ჯვარი, ანანურის ანსამბლი და ა.შ.) ქართულობას.

იდეა საყურადღებოა, თუმცა, როგორც სხვა ყველაფერში, აქაც გადამწყვეტი სიტყვა ფინანსებზეა. ოთარ გაგუას ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები და არგუმენტები აქვს, რითაც პროექტის მომგებიანობას ასაბუთებს. მისი აზრით, ინგლისურენოვან ენციკლოპედიას აუცილებლად შეიძენენ მსოფლიოს მსხვილი ბიბლიოთეკები, დაინტერესებული უცხოელები, სხვადასხვა ორგანიზაცია... ასე რომ, ამ საქმეში ჩადებული ფული ქარს ნამდვილად არ გაჰყვება. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, ერთს ვისურვებდით - ამ წერილის სათაურს კითხვის ნიშანი უახლოეს მომავალში ჩამოსცილდეს.

# ბორხესის ძებნაში აღმოჩენილი

## მიხო მოსულიშვილი ბორის აკუნინის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*თითქოს ბუნებრივი იქნება, თუკი ვინმე გვისაყვედურებს - კომპიუტერის ეპოქაში, როდესაც უფრო მოხერხებული და ნაკლებად პრობლემურია ინდივიდუალურად ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება ყველაფრის შესახებ და, მით უმეტეს, მწერლებზე, რა აუცილებელია "წიგნის სახლის" ხუთშაბათობების პრესაში გაშუქება; ეს ადამიანები თვით ამ "ხუთშაბათობების" საჭიროებასაც დააყენებენ ეჭვქვეშ. მაგრამ, ჯერ ერთი რომ საქართველოა და მეეჭვება ვინმე ინტერნეტში გადაეყაროს მწერალ მიხო მოსულიშვილისა და ბორის აკუნინის ურთიერთობის დეტალებს; და მეორეც - საუბარი იმაზე, რომ კომპიუტერთან კენტად დარჩენას ხანდახან მაინც სჯობს ცოცხალი ურთიერთობები ("წიგნის სახლის ხუთშაბათობების" ტიპის შეხვედრა-საღამოების მთავარი შემადგენელი ნაწილია), ალბათ, ზედმეტია.*

სულ რაღაც მეორედ თუ მესამედ მოვხვდი ზაალ სამადაშვილის ციკლზე - "ახალი განზომილება", რაც საკმარისი აღმოჩნდა, გარკვეული შთაბეჭდილება შემქმნოდა შეხვედრების ამ სერიაზე. ამ დროს "წიგნის სახლში" არასდროს არ არის აურზაური (როგორიც მინახავს თუნდაც "ლიტერატურულ კაფეში" განსაკუთრებით, ახალგაზრდა ლიტერატორების შემოქმედებით საღამოებზე თუ მათი ნამუშევრების პრეზენტაციებზე); "ახალი განზომილების" შეხვედრები გაცილებით საქმიანი და თუ შეიძლება ასე ითქვას, სასარგებლოცაა. რაც, ალბათ, პირველ რიგში, ციკლის ავტორს, მწერალ ზაალ სამადაშვილს უნდა დავუფასოთ. "სტუმართა შერჩევისას ძალიან სუბიექტური ვარ. ვპატიჟებ მხოლოდ ჩემთვის საინტერესო ადამიანებს; მათ, ვინც მგონია, რომ საზოგადოებასაც დააინტერესებს", - თქვა გუშინდელი შეხვედრის დასაწყისში მწერალმა და სტუმარზე, მიხო მოსულიშვილზე მიანიშნა აუდიტორიას. სტუმარს კი, ბორის აკუნინზე, იგივე გრიგოლ ჩხარტიშვილზე უნდა ესაუბრა. შეხვედრის მასპინძელი არც შემცდარა - მიხო მოსულიშვილის დაახლოებით ერთსაათიანი თხრობა უდავოდ საინტერესო იყო არა მხოლოდ აკუნინით დაინტერესებულთათვის (აქვე, ინფორმაციისთვის - გამოსაცემად მზადდება მიხო მოსულიშვილის ნათარგმნი "აზაზელი").




*მიხო მოსულიშვილი – აკუნინის მთარგმნელი.*

"აკუნინთან შეხვედრა ჩემი ბორხესის ძიებით დაიწყო; ფულით, რომელიც ბორხესის ერთ-ერთი წიგნისთვის მქონდა გადანახული, ნაცნობმა გამყიდველმა სწორედ ბორის აკუნინის დეტექტივი მაყიდინა; მაშინ "შემოჩეჩებული" მეგონა ეს წიგნი", - მაგრამ, ქართველი მწერლის ეს "შემთხვევითი" აღმოჩენა კიდევ არაფერია მომდევნო ისტორიასთან შედარებით. როდესაც მიხო მოსულიშვილმა აკუტაგავას თარგმნა გადაწყვიტა, თხოვნით მიუმართავს "ინოსტრანკას" რედაქციისთვის; საპასუხო წერილს ვინმე გ. ჩხარტიშვილი აწერდა ხელს. მოგვიანებით კი, გაირკვა რომ "ინოსტრანკას" აფრო-აზიის განყოფილების გამგე, სწორედ ის ბორის აკუნინი იყო... მას შემდეგ ამ ორ მწერალს შორის გარკვეული საქმიანი ურთიერთობაც გაჩაღებულა. "ერთხელ ისიც მივწერე: იაპონური ისწავლე, იტალიური, ინგლისური, ფრანგული... იქნებ ჯობდა ქართულიც დაგეწყო-თქო; ამ სიტყვებით ცოტა კი გავანაწყენე, მაგრამ არა უშავს, გაუვლის", - გაგვიმხილა "წიგნის სახლის" გუშინდელმა სტუმარმა.

პირადი ურთიერთობებიდან მცირედი მაგალითების გარდა, გუშინ მიხო მოსულიშვილის საუბარი უფრო მეტად დატვირთული იყო აქცენტებით, წარმოშობით ქართველი (როგორც ცნობილია, გრიგოლ ჩხარტიშვილი ზესტაფონში, ოფიცრის ოჯახშია დაბადებული) მწერლის (რომელიც საკუთარ თავს ბელეტრისტს უწოდებს) შემოქმედებით ღირსებებზე. "აკუნინი თავისი ხელწერით უფრო ახლოს დგას პროზასთან, ვიდრე დრამატურგიასთან. სისხარტე და მოქნილობა აკუნინს სხვა რუსი მწერლებისგან მკვეთრად განასხვავებს. მისი ნაწარმოებები ეფუძნება პროგრესის რწმენას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ადამიანებს ჰქონდათ. ის არის სერიოზული მწერალი, მკვლევარი, ლიტერატურის მცოდნე და ამასთან ერთად, არის კიდევ - ბორის აკუნინი", - ამით მიხო მოსულიშვილის საუბარი აკუნინის შესახებ არ დასრულებულა. ხარაკირი, პოსტმოდერნი, - ის თემები იყო, რაც ბორის აკუნინის შემოქმედებაზე საუბარს ლოგიკურად მოჰყვა.

# ბურატინო კოსმოსში?!

ცუდი სიტყვა არასდროს თქვა, არც ცუდი არ უსურვო სხვას ... დედის დარიგებიდან


ლევან ხერხეულიძის ფოტო
მიხეილ ცაგარელი


მარიკა ამურველაშვილის ფოტო
ლევან ხერხეულიძე

*ასეა თუ ისე, ჟურნალ-გაზეთების ასტროლოგიურ პროგნოზებს ვიჯერებთ თუ არა, მათი გავლენის ქვეშ ვექცევით თუ არა, ვარსკვლავური წინასწარმეტყველებისკენ თვალი მაინც გაგვირბის. ზოგჯერ გვეცინება, ზოგჯერ ვბრაზდებით, ზოგჯერ ვიბნევით. დავუჯერო პროგნოზებს, თუ ვარსკვლავიან ცას ავხედო და შვებით ამოვისუნთქო?!*
*პასუხები ორ ასტროლოგს მივანდე: მიხეილ ცაგარელსა და ლევან ხერხეულიძეს, (მიშა კუროა, ლევანი - მერწყული).*

დესი დაშკოვა

**- დავუჯერო ასტროლოგიურ პროგნოზს?**

**- მიშა:** ჯერ გასარკვევია, ვის მიერ არის შედგენილი პროგნოზი. მეზობელი მეკითხება, რა ხდება, ერთი გაზეთი კარგი დღეაო მეუბნება, მეორე - უბედურება გელისო, რატომ წერ სხვადასხვასო. მეც ვკითხე, ჩემი გვარი ეწერა-მეთქი?

ეს არის "პრამიშლენი შპიონაჟი": გაზეთებში ინტერნეტიდან, რუსული გაზეთებიდან გადმოქაჩული ინფორმაციაა, რომელიც ანტირეკლამაა ასტროლოგიისათვის.

ასტროლოგია კი 40 საუკუნეა არსებობს, ის ეზოთერული მეცნიერებაა, რომელიც ასტრონომიის ბაზას ეყრდნობა და შემაერთებელი რგოლია მეცნიერებასა და რელიგიას შორის. ის სხვა დამოკიდებულებას იმსახურებს და ვთხოვ ყველა რედაქტორს, რომ თუ გაზეთის სივრცისთვის ასტროლოგიის სურვილი კლავს, პროფესიონალს მიმართოს, რომელიც ინფორმაციისთვის პასუხისმგებელი იქნება და მერე ჩემი მეზობელიც აღარ დაიბნევა.

**- თუ მე გაზეთის პასუხისმგებლობა არ მეიმედება, მაშინ? კარგია თუ ცუდი ასტროლოგია?**

**- მიშა:** ჟურნალისტიკა კარგია თუ ცუდი? ეს დამოკიდებულია ჟურნალისტის ერუდიციაზე, გადმოცემის უნარზე, თემაზე, სიტუაციაზე, პროფესიონალიზმზე. ასევეა ასტროლოგიაც. კოსმოსი იმართება ორი ძირითადი ენერგიის ძალით: პლუსით და მინუსით, შესაბამისად ადამიანს, მის ბიოველს ყოველთვის აკრავს პლუსი და მინუსი და მათი ურთიერთბრძოლა. აქედან გამომდინარე, ასტროლოგია ადამიანს საშუალებას აძლევს შესაბამისად იმოქმედოს. ნებისმიერი ადამიანი არის ნეგატიური და პოზიტიური ძალების ზემოქმედების ქვეშ, არსებობს პედაგოგი პოზიტიური ან ნეგატიური ბიოველის ზემოქმედების ქვეშ, ასევე ექიმი, ან ასტროლოგი. აქედან გამომდინარე ვიღებთ განსხვავებულ ინფორმაციას. მაგრამ მკითხველიც, ანუ ინფორმაციის მიმღებიც დადებითი და უარყოფითი ენერგიის მატარებელი, მშიშარა ან მამაცი, ფსიქოლოგიურად მერყევი ან მდგრადი...ათასნაირი. ამის მიხედვით, არის ადამიანთა კატეგორია, რომლებისთვისაც ასტროლოგია ჯერ ნაადრევია, ის არ არის მზად და ამიტომ ის ინფორმაციისგან შეიძლება დაკომპლექსდეს, შეშინდეს, დაიბნეს. მე ასეთ ადამიანს ვეუბნები - თქვენთვის ეს ნაადრევია. ასეთმა ადამიანმა სხვა გზა უნდა მოძებნოს, მაგრამ არის ადამიანი, რომელიც გადასარევად სარგებლობს ასტროლოგიის ძირითადი პრინციპით: ვინც გაფრთხილებულია, ის - შეიარაღებულია. ასტროლოგიურ ცოდნას ის იყენებს იმისთვის, რომ თავი აარიდოს შეცდომებს, გარკვეულწილად განსაზღვროს თავისი მოქმედებები. ამიტომ, შეკითხვაზე ასე გპასუხობ: ზოგისთვის კარგია, ზოგისთვის - ცუდი.

**- თქვენ კი ხვდებით, მაგრამ მე როგორ მივხვდე ჩემთვის ადრეა თუ დროული?**

**- მიშა:** ეს ადამიანმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს, ინტუიტიურად. როცა საკვებს მიირთმევთ, ხომ იცით გინდათ თუ არა?! ეს დამოკიდებულია შინაგან შემზადებაზე, ასტროლოგია თავისუფალი სფეროა, არავის არ ავალდებულებს, ის მხოლოდ რეკომენდაციას იძლევა კოსმიური ძალების ზეგავლენის შესახებ.

**- რა არის ასტროლოგია, ვინ არის ასტროლოგი, მისგან მიღებული ინფორმაცია დამანგრევს თუ ამაშენებს?**

**- მიშა:** ასტროლოგია შუალედური რგოლია-მეთქი, ხომ გითხარი. იგი რელიგიურ ოკულტურას შეიცავს, 40 საუკუნისაა და ის რელიგიამდე დამკვიდრდა. გაიხსენე მოგვები, რომლებმაც მესიის მოსვლა იწინასწარმეტყველეს და ვარსკვლავით პირველებმა მიაკვლიეს ყრმას. ასტროლოგია ასტრონომიას ეფუძნება, თუ არა გაქვს ასტრონომიული ცოდნა - არ იცი პლანეტის მოძრაობის სიჩქარე, მოძრაობის ტრაექტორია და მისთანები, ასტროლოგიაში არაფერი გესაქმება. ასტროლოგია გვამცნობს თუ რა ზეგავლენას ახდენენ ციური სხეულები თავისი პოზიციებიდან გამომდინარე ადამიანის დაბადების მომენტში, ან სხვა ბიოლოგიურ პროცესებზე. ეს არის გარკვეული კოდი, რომელიც გვამცნობს განვითარების როგორი შესაძლებლობები ეძლევა ადამიანს. ეს არის ჩარჩო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის შეცვლა არ შეგვიძლია - სწორედ აქ არის საჭირო ცნობიერების და ნებისყოფის ჩართვა და ინფორმაციიდან გამომდინარე შესაბამისი მოქმედება. ასტროლოგია სულის განწმენდის ერთ-ერთი დამხმარე გზაა, ის გვამცნობს, თუ რა მისიით მოავლინა ღმერთმა ადამიანი, როგორ უნდა გაიაროს გზა სულის გასაწმენდად. ასტროლოგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის ცოდნაც. პრაქტიკის დასაწყისში მქონდა შემთხვევები, როცა ამის გაუთვალისწინებლობამ კრიტიკულ შემთხვევამდეც მიმიყვანა. გამოცდილებამ კი ის მომცა, რომ ფსიქოლოგიური ხედვა გაჩნდა და ჩემთან მოსულ ადამიანს კოჭებში ვცნობ: რა ფსიქიკა აქვს, როგორი ნერვული სისტემა, როგორ სჯობს მასთან ურთიერთობა და მის პირად რუკაში საჭოჭმანო თუა რამე და ამის შემდეგ ინფორმაციას მისთვის შესაფერის ფორმით გადავცემ. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ველის შეგრძნება - ვინ ზის შენს წინ. მოდის ტიპი, რომელიც თავისი გარეგნობით, ქცევით პირდაპირ გაჰყვირის: აი, მოვედი, მიდი გააკეთე შენი საქმე, ვინა ხარ, რას წარმოადგენ, მაჩვენე. თუ სხვასთან სირბილეა საჭირო, ამ შემთხვევაში პირიქით თავიდანვე თერთმეტმეტრიანი უნდა დაუნიშნო, უმეტესწილად ამის შემდეგ ხდებიან მზად ინფორმაციის მისაღებად და ურთიერთობა დადებით იმპულსი გადადის. ხდება საპირისპიროდაც, მოდის ადამიანი დადებითად განწყობილი ინფორმაციისთვის, თითქოს მზად, მაგრამ მისი უარყოფითი ენერგეტიკა ფიზიკურად მიშლის ხელს, ყურები მიხურს, თავის ტკივილი მეწყება და მხოლოდ ლოცვით დამცავი კედლის შექმნის შემდეგ ხდება შესაძლებელი კონტაქტში შესვლა. როცა მის უარყოფით ენერგეტიკას აღვნიშნავ, ის ხსნის ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც, ე. ი. ჩემი შვილი რომ მეუბნება, როცა გვერდით მიდგები, შენი არაფერი მესმისო, ეს ენერგეტიკის ბრალია და არა იმისი, რომ ჩემი შვილი არ მიჯერებს". ამის შემდეგ ვსაუბრობთ როგორი ურთიერთობა დავამყაროთ კოსმოსთან - რა უნდა გავაგზავნოთ, რომ სანაცვლოდ ის მივიღოთ, რაც ჩვენ გვჭირდება, რადგან თუ კოსმოსში აგზავნით აგრესიულ ვიბრაციულ მუხტს, კოსმოსი ბუმერანგივით აბრუნებს აგრესიას იმავე ხარისხში - თქვენ ცოტა ხანში მიიღებთ დარტყმას. ეს უპირველესად ასტროლოგმა უნდა გაითვალისწინოს კლიენტთან ურთიერთობის დროს - თუ მას უნარი არა აქვს თავზე არ დაიყაროს ის "სიბინძურე", რასაც ზოგჯერ კლიენტი "აყრის", მაშინ ის შედეგს ვერ მიაღწევს და ამ შემთხვევაში ალბათობაც დიდია, რომ ინფორმაცია გზას ასცდება და როგორც ამბობთ, დაანგრევს მიმღებს. მაგრამ აქ არის მეორე ასპექტიც, როგორია მიმღები, ე.ი. თქვენ. ინფორმაციის მიღების შემდეგ გააკეთებთ რამეს, თუ არა. არის კატეგორია, რომელიც ერთი ყურიდან შეუშვებს ინფორმაციას, დაიკმაყოფილებს სურვილს და მეორე ყურიდან გამოუშვებს - მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება. მეორე კატეგორია, პირიქით, ღრმად ჩაიბეჭდავს ამ ინფორმაციას და თვითკონტროლის მეშვეობით საკუთარ უარყოფით თვისებებზე იწყებს მუშაობას. აი, ასეთ ფსიქოტიპს უკვე ეწყება საინტერესო დადებითი ცვლილებები ცხოვრებაში. ჩემთან ადამიანები მოდიან, რომლებიც მთელ სამყაროს უწყრებიან, საკუთარი ტყავის გარდა - ყველას. პრობლემა კი ადამიანს შიგნიდან ეწყება. ღმერთი ჯერ შენს შიგნით უნდა იპოვო, იმიტომ რომ ღმერთი ნებისმიერ ადამიანშია, სული ეს ღვთიური პულსაციაა. თუ თქვენში არ გინდათ ამის მოძებნა და სხვაგან მიდიხართ, რადგან გეჩვენებათ რომ იქ უფრო ადვილად იპოვით, უკვე საწყისი მომენტია მცდარი და ვერ იპოვით.

**- ეს ხომ სახარებაში წერია და მოძღვარიც გვეუბნება, ასტროლოგია რაღას აკეთებს?**

**- მიშა:** ასტროლოგია გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა არის ჩვენი კოსმიური მისია. ადამიანი ტყუილუბრალოდ არ მოდის, ეს გარკვეული კოსმიური კანონზომიერებაა. სულმა უნდა განავითაროს საკუთარ თავში ხასიათის დადებითი შტრიხები უარი თქვას ნეგატიურ თვისებებზე, როგორც სულის განვითარების შემაფერხებელზე, რომ მოხდეს სულის განწმენდა - ევოლუცია. ამ პროცესს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა აქვს - ლოცვა. თუ ადამიანი შეძლებს ამ ორივე გზის ერთმანეთში შეზავებას და სულის განწმენდას, ეს არის მისი ცხოვრების საუკეთესოდ შეცვლის საშუალება.

**- სხვადასხვა ზოდიაქო რომ სხვადასხვა ხარისხით ეთანხმება ერთმანეთს, ამის ცოდნა მე რაში მჭირდება, თუ წინასწარ მაძლევს ნეგატიურ ინფორმაციას. მაგალითად, თუ მე მომწონს სასწორი კაცი, ასტროლოგია მეუბნება, რომ ჩემი ზოდიაქო ვერ ეწყობა სასწორს, რა ვქნა "შევეშვა"?**

**- ლევანი:** საუბარი იმაზე, რომ ესა თუ ის ნიშნები ერთმანეთს არ უთავსდება, მაგალითად მერწყული კუროს, ან ლომი მერწყულს, ცალსახად არ შეიძლება. რა თქმა უნდა, არსებობს ზოგადი განსაზღვრება, რომ ცეცხლის და წყლის ნიშნები ერთმანეთს არ უხდება იმიტომ, რომ წყალი აქრობს ცეცხლს და სხვა. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ სხვადასხვა პლანეტა რომელ სახლშია მოთავსებული. მაგალითად, თუ "საწინააღმდეგო" ნიშნების ერთის მზე და მეორის მთვარე ერთსა და იმავე ნიშანშია, მაშინ მათ დიდი შანსი აქვთ, რომ ერთმანეთს გაუგონ. ინდივიდუალურად ხასიათს განაპირობებს პლანეტების განლაგება ჰოროსკოპში და არა მხოლოდ ნიშანი.

მაგრამ ერთი "ნაკლი", რაც ჰოროსკოპს აქვს - ის ადამიანის სულის განვითარებას არ ასახავს, ეს ასტროლოგმა თვითონ უნდა განსაზღვროს იმ ადამიანთან ურთიერთობისას, რომელიც მასთან რუკის შესადგენად მოვიდა.

**- რა ჩანს ასტროლოგიურ რუკაზე კარგად?**

**- ლევანი**: ბევრი რამ. ჰოროსკოპში მთავარი ორი ფაქტორია, რომ ადამიანს დაეხმარო თვითანალიზსა და თვითგანვითარებაში და მეორე - მშობლებს ვურჩევ, კვალიფიციურ ასტროლოგთან მივიდნენ, რომ გაარკვიონ საით წარმართონ შვილის ცხოვრების გზა. მართალია, ასტროლოგი ვერ გეტყვით კონკრეტულად რა პროფესია იქნება თქვენი შვილისთვის საუკეთესო არჩევანი, მაგრამ ჰოროსკოპში ძალიან კარგად ჩანს ის შესაძლებლობები, პროფესიული ლუფტი, სივრცე, რომლის ფარგლებშიც ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს. ძალიან კარგია, როცა ახალგაზრდა მისთვის ბუნებრივ არჩევანს აკეთებს და მშობლების პრიმატს არ ემორჩილება, ან საკუთარ გაუცნობიერებელ სურვილს არ აჰყვება. მე ვურჩევ მშობლებს, რომ ზუსტად გაარკვიონ შვილების დაბადების დრო, რაც ასტროლოგიური რუკის შესადგენად აუცილებელია. ასტროლოგიურ რუკაზე ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ მთავარია ასტროლოგი. იგი კარგი ფსიქოლოგი და ინტერპრეტატორი უნდა იყოს, რომ ადამიანს ინფორმაცია ეფექტური კუთხით მიაწოდოს.

**- მიშა**: მე ვეთანხმები ლევანს - ჰოროსკოპი გვეხმარება იმაში, რომ პროფესია მაქსიმალური სიზუსტით ავირჩიოთ. მაგრამ დავამატებ, რომ ასტროლოგიის გათვალისწინება აუცილებელია ბევრი პროფესიისთვის, განსაკუთრებით პედაგოგს და ფსიქოთერაპევტს გამოვყოფდი. წარმოიდგინეთ, კლასში თორმეტი ფსიქოტიპი ზის (12 ზოდიაქოს ნიშნის) მათ სხვადასხვა აღქმის უნარი აქვთ, სხვადასხვა ხასიათი, კომუნიკაბელურობა და ასე შემდეგ. თუ სასწორი და მერწყული ჰაერში იჭერენ აზრს, კუროს შესაძლოა სამჯერ ახსნა დასჭირდეს, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ის ბავშვი "დებილია", როგორც ზოგჯერ მშობელს ან მასწავლებელს უყვარს გამოხატვა...

**- ლევანი:** მე კურო მესამე სახლში მყავს. მესამე სახლი "განათლების" პრაქტიკული ცოდნის მიღების სახლია. თუ ინფორმაციის მატერიალიზაცია არ ხდება, აღქმა მიჭირს. სკოლაში ლიტერატურას და ისტორიას ცუდად ვითვისებდი, გეოგრაფია, მათემატიკა ჩემთვის "იოლი" საგნები იყო. ემოციურად აღვიქვამდი მასწავლებელთან ურთიერთობას. მასწავლებელი უნდა ყოფილიყო გაწონასწორებული ფსიქიკის ადამიანი და თვალსაჩინოდ აეხსნა.

მესამე სახლი აქტიურად არის ჩართული ცოდნის მიღების პროცესში - ადამიანს რა ნიშანიც ეყოლება მესამე სახლში, ისეთი აღქმადობა ექნება, უნარ-ჩვევებიც იმ შესაძლებლობების ფარგლებში.

**- ასე მგონია, ადამიანის ნაცვლად მის ნიშანს ხედავთ.**

**- ლევანი**: ნაწილობრივ ასეა, მაინტერესებს გამოვიცნო რა ნიშანია ადამიანი. სხვისი ჰოროსკოპის ცოდნა მეხმარება იმაში, რომ ადამიანს არ მოვთხოვო ის, რაც მას არ შეუძლია - ვარსკვლავებმა ის მისცეს, რაც აქვს. ურთიერთობებში შემიძლია გამოვყო გარკვეული პრიორიტეტები. მაგალითად, განსაკუთრებით მიზიდავს ურთიერთობა ისეთ ნიშნებთან, როგორიცაა კიბო, მორიელი, მშვილდოსანი და ქალწული. თუმცა, ამ სქემის მონა არ ვარ. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც.

**- ქალებიც ნიშნების მიხედვით მოგწონს?!**

**- ლევანი:** ქალი თუ მომწონს, მის რუკას ვადგენ პირველ რიგში იმიტომ, რომ, როგორც ასტროლოგს მაინტერესებს ვისთან მაქვს ურთიერთობა, რასაც შემდგომში ვითვალისწინებ, თუმცა ეს სქემატურს არ ხდის ჩვენს ურთიერთობებს (პროფესიულის გარდა სუბიექტური დამოკიდებულება!). ისე, დაკვირვებული ვარ - მთელი ცხოვრება კირჩხიბი და მორიელი ქალები მიზიდავს ხოლმე.

**- შემოქმედები, მწერლები?**

**- ლევანი:** საერთოდ, შემოქმედი ზუსტად ავლენს თავს შემოქმედებაში ზოდიაქოს ნიშნის ხასიათს, განსაკუთრებით მწერალი. გახსოვს "ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი / საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი", ეს ტიპური მორიელია, გალაკტიონი. კლასიკური მორიელისაა დოსტოევსკის შემოქმედებაც, აღქმის სიმძაფრით, ცხოვრებისეული სიუჟეტების შერჩევის პრინციპით. კამიუც - განსაკუთრებით, "უცხო", "ვარდნა" - თვითმკვლელისა და საკუთარი თავისა და სამყაროს განმკითხველის ხასიათით. აი, კაფკა და ეკზიუპერი, უდავოდ განსხვავებული სტილის მწერლები, მაგრამ კირჩხიბები არიან. კირჩხიბის ბუნება ეკზიუპერის პატარა პრინცია, დაუცველი, თოთო, რაც ძირითადი მახასიათებლებია კირჩხიბის, რომლებსაც არ ესმით ეკლის საჭიროება. და კაფკა, რომლის ნაწარმოებებშიც სამყაროს შიში და გაუცხოების ძლიერი განცდაა, რაც ასევე კირჩხიბის მახასიათებლებია. მამა-შვილი დიუმები, ტიპური ლომები, რომლებსაც ცხოვრების ფერხული იზიდავთ და თავგადასავლების სიყვარული ახასიათებთ. აინშტაინი - თევზები, რომელმაც ყველაფერი ფარდობითიაო თქვა და ეს თევზების ლოგიკაა! ბურატინო, ჩემი ანალიზით მერწყული ან კირჩხიბი უნდა ყოფილიყო, მიხალკოვის ინსპექტორი სტიოპა მერწყულულია, აიბოლიტი - ნამდვილი თევზებია... და ასე გაუთავებლად.

**- მე ახლა ბურატინოდ ვგრძნობ თავს, აი მალვინა რომ ასწავლიდა, მაშინ. არ ვიცი ამის შემდეგ რას გავაკეთებ, ოქროს გასაღების ძებნას თავს მაინც არ დავანებებ, მაგრამ კოსმოსში მოვძებნი თუ არა, ჯერ არ ვიცი.**

**- ლევანი და მიშა:** ჩვენ უკვე გითხარით, შენმა ინტუიციამ უნდა გიკარნახოს მზად ხარ თუ არა, გიზიდავს თუ არა ასტროლოგიური საკვები - არჩევანი შენზეა. ისიც გაითვალისწინე, რომ ყარაბას ბარაბასიც არსებობს და ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია.

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით | | | |
|---|---|---|---|
| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| ალენ კარი | "[illegible] – მარტივი გზა" | "რუსთაველი-2 პრინტი" | 12.4 |
| [illegible] | "[illegible]" | შპს "თბილისელები" | 3.2 |
| ლაშა ბუღაძე | "მესამე სართული" | "არეტე" | 2.8 |
| ალექსანდრე რონდელი | "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში" | "მეცნიერება" | 2 |
| რატი ამაღლობელი | "თუ" | "საარი" | 2 |
| | სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი | "ლოგოს-პრესი" | 2 |
| [illegible] | "მე შემიძლია ცხოვრების შეცვლა" | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.6 |
| | საბავშვო ენციკლოპედია | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.6 |
| | საქართველოს კონსტიტუცია | "ბონა კაუზა" | 1.6 |



| ევროპის საუკეთესო ალბომების ათეული | | |
|---|---|---|
| შემსრულებელი | ალბომი | ხმის ჩამწერი კომპანია |
| ანასტასია | "ანასტასია" | "ეპიკი" |
| "განს-ენ-როუზის" | საუკეთესო ჰიტების კრებული | "გეფენი" |
| პრინცი | Musicology | "ქოლამბია" |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | "ბლუ ნოუტ" |
| დაიანა კრალი | The Girl in the Other Room | "ვერვი" |
| აშერი | Confessions | "არისტა" |
| ჯორჯ მაიკლი | Patience | "სონი" |
| "ბლექ აიდ ფის" | Elephunk | "ინტერსკოუპი" |
| "როზენშტოლცი" | Rosenstolz | "[illegible]" |
| ერიკ კლეპტონი | Me & Mr. Johnson | "რეფრაიზ" |



| ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "ბოროტი გოგონები" | მარკ უოტერსი | ლინდსი ლოჰანი, ტინა ფეი | 24,432,195 | 24,432,195 |
| "[illegible]" | ბრაიან ჰელგელენდი | დენზელ ვაშინგტონი, დაკოტა ფენინგი, კრისტოფერ უოკენი | 15,012,405 | 44,295,221 |
| "13-დან 30 წლამდე" | გერი უინიკი | ჯენიფერ გარნერი, მარკ რუფალო | 9,876,246 | 35,060,728 |
| "ღმერთისგან გამოგზავნილი" | ნიკ ჰემი | რობერტ დე ნირო, გრეგ კინეარი, რებეკა რომინ-სტამოსი | 6,800,617 | 6,800,617 |
| "მიზიდულობის კანონები" | პიტერ ჰოუიტი | პირს ბროსნანი, ჯულიენ მური | 6,728,905 | 6,728,905 |
| "შური" | ბარი ლევინსონი | ბენ სტილერი, ჯეკ ბლეკი, კრისტოფერ უოკენი | 6,160,886 | 6,160,886 |
| "მოკალი ბილი-2" | ქვენტინ ტარანტინო | უმა თურმანი, დევიდ კარადაინი, მაიკლ მედსენი, დერილ ჰანა | 5,858,636 | 52,684,119 |
| "დამსჯელი" | ჯონათან ჰენსლეი | თომას ჯეინი, ჯონ ტრავოლტა, რებეკა რომინ-სტამოსი | 3,499,450 | 29,740,972 |
| "[illegible]" | უილ ფინი, ჯონ სენფორდი | [illegible] | 2,306,510 | 45,597,280 |
| "სკუბი დუ-2" | რაჯა გოსნელი | მეთიუ ლილარდი, ფრედი პრინზი, ლინდა კარდელინი | 2,289,484 | 79,672,914 |

*მოკლედ*

## წინადადება, რომელზეც ძნელია უარის თქმა




*რომან აბრამოვიჩს მოურინიოს გადაბირება მოუნდა.*

ზედიზედ მეორე წელიწადია, "პორტუ" შინაურ სარბიელზე ხომ ყველას მუსრავს, არც ევროპაში ირცხვენს თავს. პორტუგალიელთა ამგვარი წარმატების მთავარ შემოქმედად ითვლება მწვრთნელი ჟოზე მაურინიო, რომლის გადაბირებაც უკვე არაერთმა ევროპულმა გუნდმა მოინდომა. ცოტა ხნის წინათ მაურინიოს მომავალ ნავსაყუდლად მადრიდს ასახელებდნენ - "რეალმა" მისი გადაბირება განიზრახა და, მოგეხსენებათ, რასაც პერესი ხელს მოკიდებს, ყველაფერს აგვარებსო, თუმცა...

ინგლისური მედიის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაურინიოს თავის კლუბში ხილვის სურვილი რომან აბრამოვიჩსაც გამოუთქვამს და მზადაა, ამისთვის 70 მილიონი ევრო გაიღოს. T-ის ინფორმაციით, ამ თანხად აბრამოვიჩი ერთბაშად ოთხი ფიგურის - მწვრთნელისა და სამი ფეხბურთელის გადაბირებას აპირებს. რა გამოვა ამ საქმიდან, მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, თავად მარინიოს თქმით, ძნელია, ამგვარ წინადადებაზე უარი თქვა. "ჩელსი" დიდი კლუბია და, ბუნებრივია, იქ მუშაობა საინტერესო იქნება, თუმცა, გარიგების დეტალებზე საუბარი არ ყოფილა. არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ეს, უბრალოდ, არაპროფესიული და "პორტუსთან" მიმართებაში უსამართლო ქმედება იქნებოდა", - განაცხადა მაურინიომ.

მწვრთნელი გასაგებია, მაგრამ რით მოხიბლეს აბრამოვიჩი დეკუმ, კოშტინიამ და პაულო ფერეირამ, რომელთა შეძენაც ლონდონელთა თავკაცს გადაუწყვეტია? 26 წლის დეკუს შეძენა, როგორც გაირკვა, მაურინიოს ახირება ყოფილა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მწვრთნელს ადრე უთქვამს, თუ ვინმეს ჩემი გადაბირება მოუნდება, დეკუც უნდა იყიდოსო. რაც შეეხება დანარჩენ ორს, შესაძლოა, ისინიც მაურინიოს ახირება იყოს, ან, უბრალოდ, მწვრთნელს მათთან მუშაობის გაგრძელების სურვილი გამოეთქვა. არც აბრამოვიჩი გალარიბდება ორ ფეხბურთელში 15 მილიონის გადახდით. თანაც, როგორც ირკვევა, ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობის შემდეგ "ჩელსის" რუსი მეპატრონე რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ფეხბურთელს შეეხება აბრამოვიჩის გადაწყვეტილება, თუმცა, სავარაუდოდ, მათი რიცხვი დაახლოებით ათი იქნება. აქედან გამომდინარე, აბრამოვიჩს, პორტუგალიელთა გარდა, კიდევ მოუწევს ფეხბურთელების შეძენა.

რაკი ბრიტანული მედია ამაზე საუბრობს, გამოდის, მაურინიოს ლონდონში გადაბარგების ალბათობა დიდია. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, T-ის ინფორმაციით, მაურინიო შეხვდა აბრამოვიჩის აგენტს, ხოლო, T-ის ინფორმაციით, პორტუგალიელი სპეციალისტი თავად აბრამოვიჩს შეხვდა და მომავალი სეზონიდან "ჩელსის" გაწვრთნაზე სიტყვიერი თანხმობაც განაცხადა.

## ვისთვის ტერორისტი, ვისთვის ხულიგანი

ტერორიზმი - დღეს ამ სიტყვას ხშირად გაიგონებთ. მსოფლიოში ისეთი ვითარებაა, რომ გასარკვევადაც ძნელი გახდა, ვინ არის ტერორისტი და ვინ, უბრალოდ, ხულიგანი. შესაძლოა, ვიღაცას ხუმრობა მოუნდეს, მაგრამ ტერორისტად კი შერაცხონ.

ამ დღეებში იტალიის საფეხბურთო კლუბების ასოციაციის პრეზიდენტს ფრანკო კარაროს და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტს ადრიანო გალიანის ამანთები გაუგზავნეს. წესით და კანონით, ამანათებში წიგნებში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათ ნაცვლად კარაროსა და გალიანის ბომბები გაუგზავნეს.

ამანათები შემთხვევით არ მივიდა ადრესატებამდე. საქმე ისაა, რომ კატანდაროს პროვინციის ფოსტის მუშაკს ერთ-ერთი ამანათი ხელიდან გაუვარდა, გაიხსნა და იქიდან წიგნების ნაცვლად ბომბი გადმოვარდა. ანტონიო პეპემ (ასე ერქვა ფოსტის მუშაკს) მაშინვე გამოიძახა პოლიცია, რომელმაც მეორე ბომბიც აღმოაჩინა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამანათები ადრესატებისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რადგან მექანიზმები, რომელთაც ბომბები უნდა მოეყვანათ მოქმედებაში, მწყობრიდან იყო გამოსული. არარსებული აღმოჩნდა ამანათზე მითითებული გამგზავნის მისამართიც. ასე რომ, გაურკვევლია, ვინ გაუგზავნა ამანათები საფეხბურთო ჩინოვნიკებს. პოლიციაც ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარისგან, თუმცა, აქაიქ უკვე გაისმა, რომ ვიღაცას ჩინოვნიკების დაშინება უნდოდა და მეტი არაფერი. მაგრამ რაში დასჭირდათ კარაროსა და გალიანის დაშინება? ამაზე ვერავინ პასუხობს, ყოველ შემთხვევაში, დღეს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იტალიელი ჟურნალისტები ყველაფერს უბრალო ხულიგნობად თვლიან - შეუძლებელია, ასაფეთქებელი მექანიზმი იმგვარად გამოსულიყო მწყობრიდან, რომ ყველაფერი წინასწარ გაფუჭებულიყოო.

## NBA-ში მეოთხედფინალები დაიწყო

გუშინ "ინდიანა პეისერზისა" და "მაიამი ჰიტის" მატჩით NBA-ში მეოთხედფინალები დაიწყო. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული "პეისერზისა" და მეოთხე ადგილზე გასული "ჰიტის" მატჩის მიმდინარეობა მეტ-ნაკლებად წინა დღეებში მომხდარით იყო განპირობებული. საქმე ისაა, რომ "ინდიანამ" პლეი-ოფის პირველი რაუნდი ლამის ორი კვირის წინ, "მაიამიმ" კი მხოლოდ ორი დღის წინ დაძლია. მატჩის პირველი წუთები "მაიამის" უპირატესობით დაიწყო - "ინდიანას" სათამაშო პრაქტიკის არქონა დაეტყო, თუმცა, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩვეულად ათამაშებულ "ინდიანას" დაღლილმა მაიამელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. მასპინძლები პირველად დიდ შესვენებამდე 3 წუთით ადრე გავიდნენ წინ. იქიდან მოყოლებული, მატჩის ბოლომდე "ინდიანა" მხოლოდ ზრდიდა უპირატესობას. მხოლოდ ერთხელ, მეოთხე მეოთხედის შუაში მოახერხეს სტუმრებმა, ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შეემცირებინათ, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. უბერებელმა რეჯი მილერმა გადამწყვეტ მომენტში სამქულიანი ჩააგდო და ამით დაასამარა "მაიამის" ოცნება მატჩის მოგებაზე. საგულისხმოა, რომ ვერც მილერმა და ვერც ჯერმენ ო`ნილმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. "ინდიანას" შემადგენლობაში საუკეთესო გახდა რონ არტესტი (25 ქულა). მასპინძლებმა 94:81 მოიგეს და სერიაშიც 1:0 დაწინაურდნენ. ეს, უპირველესად, ზუსტი სროლების შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლის წყალობაა. "ინდიანას" სროლების 44%-მა მიაღწია მიზანს, მაშინ როცა "მაიამიმ" მხოლოდ 38%-ის ჩაგდება მოახერხა.

***მასალები მოამზადა პაატა თოთაძემ***

*ფეხბურთი*

# ვისი გამარჯვების დღე იქნება 9 მაისი?

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ სამი ტურია დარჩენილი, ჩემპიონობის მოპოვების რეალურ შანსს კი ერთბაშად ოთხი გუნდი ინარჩუნებს, რაც ქართულ საფეხბურთო სივრცეში უპრეცედენტო მოვლენაა. ამიტომ ყოველი ქულა ოქროს ფასს იძენს, თან, თუ ამ ქულებს უშუალო კონკურენტთან მოიპოვებენ. ხვალ, 9 მაისს, ზუსტად ასეთი თამაშის მომსწრე გახდება გულშემატკივარი. ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე, მასპინძელი, "თბილისი" და თბილისის "დინამო" შეხვდებიან ერთმანეთს. გასულ ტურში "დინამომ" "სიონის" დამარცხებით გაიმყარა პოზიციები, ხოლო "თბილისმა" სტუმრად ვერ შეძლო ჩემპიონობისთვის მებრძოლი კიდევ ერთი გუნდის, "ვიტ ჯორჯიას" დამარცხება და ლიდერებს სამი ქულით ჩამორჩება. იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი ხვალ გამარჯვებას მოახერხებს, "დინამოს" ქულებით გაუთანაბრდება და ბრწყინვალე პლაცდარმს შეიქმნის საჩემპიონო ამბიციების განსახორციელებლად. თავის მხრივ, "დინამოს", რომელმაც ძალზე სუსტად ჩაატარა ფინალური ეტაპის თამაშების დიდი ნაწილი, ქულების დაკარგვის უფლება არა აქვს.

გთავაზობთ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის მატჩისწინა კომენტარს.

"მეტოქეს დიდი პატივისცემით ვეპყრობით. მართლაც, ძალიან კარგი გუნდია. თუ ერთი წლის წინ "თბილისის" სახელიც კი უცნობი იყო, დღეს ის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა. გიორგი დევდარიანმა შეძლო შეექმნა ბრძოლისუნარიანი, შეკრული გუნდი, რომელიც ახალგაზრდა, მოძრავი და ტექნიკური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. "თბილისი" გამოკვეთილად შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მატჩიდან მატჩამდე იზრდება და არც ამბიციები აკლია.



*გეგუჩაძე ოპტიმისტია.*

ამიტომ, არავისთვის მოულოდნელი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ძალზე რთული მატჩი გველის.

რაც შეეხება "დინამოს", უკან დასახევი გზა არც ჩვენ დაგვრჩა. რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ტრავმის გამო ისევ არ გვეყოლება ნემსაძე, ახალაიას საკითხი კი მატჩის დღეს გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, მას დღეს არ უვარჯიშია და, ალბათ, ხვალ დაუბრუნდება საწვრთნელ პროცესს. გორში, თასის ნახევარფინალში მიღებული ყვითელი ბარათის გამო ვერც კანდელაკი ითამაშებს. სხვა ყველა ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაშია", - განაცხადა გეგუჩაძემ, რომელიც, ივო შუშაკისგან განსხვავებით, უფრო შემტევი ტაქტიკური განლაგების მომხრეა და, სავარაუდოდ, "თბილისის" წინააღმდეგაც ამ განლაგებით ითამაშებს.

"უპირატესობას ვანიჭებ 3-4-3 ტაქტიკას. გამართლებულად არ მიმაჩნია, განლაგება სიტუაციიდან და მოწინააღმდეგის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვცვალო. მირჩევნია, მეტოქე მოვარგო ჩემს ტაქტიკას, ვიდრე მე გადავეწყო მის შესაძლებლობებზე. თუმცა, თანამედროვე ფეხბურთი უნივერსალიზმს მოითხოვს. ფეხბურთელი იმდენად განათლებული უნდა იყოს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ნებისმიერი ტაქტიკური დავალების შესრულება შეეძლოს. ამ მხრივ "დინამოში" ნაკლებად გვაქვს პრობლემები, რაც სათასო შეხვედრაშიც დავამტკიცეთ, როდესაც ერთიდან მეორე ტაქტიკაზე გადავეწყვეთ და გავიმარჯვეთ კიდეც. იმ მატჩში "დინამო 2"-ის ორი ფეხბურთელის - დვალისა და კანკავას დებიუტი შედგა. მათი თამაშით კმაყოფილი ვარ. წინასწარ არ მსურს იმაზე საუბარი, "თბილისის" წინააღმდეგ ითამაშებენ თუ არა ეს ფეხბურთელები, თუმცა, ეს სულაც არ არის გამორიცხული - მათ მომავალშიც არაერთხელ მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი", - გადამწყვეტი მატჩების წინ იმედით უყურებს საკუთარი გუნდისა და ფეხბურთელების მომავალს "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი.

# მორიენტესი მადრიდში თავაწეული ბრუნდება

ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა ფერნანდო მორიენტესმა ჭირვეულ "რეალს" დაუმტკიცა, რომ ღირსია ითამაშოს "გალაქტიკოს" გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ევროტურნირებზე მან ცხრა გოლი გაიტანა, ჯერ კიდევ მეოთხედფინალიდან დაიფრინა მადრიდის "რეალი" და "მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. ამით მორიენტესმა საქვეყნოდ შეარცხვინა "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობა და, კერძოდ, "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი. ახლა "გალაქტიკოს" კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან ესპანელი ფორვარდი მადრიდში დაბრუნდება.

გასულ ზაფხულს, აგვისტოში, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ დაასრულა იმ გუნდის შექმნის პროცესი, რომელსაც სახელად "გალაქტიკოს" ჰქვია. ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი პირობა უნდა ყოფილიყო გუნდში იმ ფეხბურთელების თავმოყრა (განსაკუთრებით შეტევის ხაზზე), რომლებსაც მსოფლიოში ყველაზე მეტად ჰქონდათ სახელი განთქმული. ფერნანდო მორიენტესი მათ რიცხვში არც მაშინ შედიოდა და არც დღეს შედის. არ არის მორიენტესის თამაშში ცეცხლი და რას იზამ!



*კვლავ ერთად - რაული-მორიენტესი.*

სწორედ ამიტომ მორიენტესი, რომელიც რაულთან ერთად გუნდში ბომბარდირთა ტანდემს ქმნიდა, რონალდოს მოსვლის შემდეგ იძულებული გახდა, სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო. მას მოუხდა, თავისი საფეხბურთო კარიერა მწვრთნელის კეთილი ნებისთვის მიენდო - მორიენტესი მინდორზე თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გამოდიოდა. ის თავისი ნატურით ბომბარდირი და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ბევრი რამ ნახა და გამოსცადა, ამიტომ, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და სათადარიგოთა სკამზე ჯდომას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ის უხეშად მოექცა კლუბის მაშინდელ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მადრიდის "რეალის" ბომბარდირი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

მაშინ მორიენტესმა გუნდის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა: ან ძირითად შემადგენლობაში მათამაშეთ, ან იჯარის წესით სხვა კლუბში გამიშვითო. შარშან "რეალის" პრეზიდენტი ოპტიმიზმით იყო აღსავსე და გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი ვარსკვლავები (რონალდო, ზიდანი, რაული, ბექჰემი...) შეძლებდნენ მთელი წლის განმავლობაში შეუცვლელად უმაღლეს დონეზე თამაშს და, ამასთან, ყველა ტიტულს მოიგებდნენ. იმ მატჩებში კი, რომლებიც არაფერს გადაწყვეტდა, შეცვლაზე პორტილიო, სოლარი, გუტი ითამაშებდნენ და ამით ყველაფერი მოგვარდებოდა. მორიენტესი ერთწლიანი იჯარით "მონაკოს" დაუთმეს.

ბევრს მოეჩვენა, რომ მორიენტესის კარიერა დასასრულისკენ მიექანებოდა. საფრანგეთში ის შეიძლებოდა პირველი გამხდარიყო, მაგრამ ევროტურნირებზე არაფერი გამოუვიდოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ყველა დაივიწყებდა, მათ შორის - ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ინიაკი საესიც. თუმცა, სკეპტიკოსები და მათ შორის ფლორენტინო პერესიც საქვეყნოდ შერცხვნენ.

ფერნანდო მორიენტესი გახდა ჯერ კიდევ დაუსრულებელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ბომბარდირი (9 გოლი). ის არის თავისი გუნდის ლიდერი და "მონაკოს" დიდი გამარჯვებების მთავარი შემოქმედი.

მორიენტესმა, ჰოლივუდური თრილერების საუკეთესო ტრადიციების შესაფერისად, რასაკვირველია, აუცილებელი ჰეფი-ენდით, მილიონობით ფეხბურთის მოყვარულის თვალწინ საქვეყნოდ შური იძია მადრიდის "რეალზე". ამ გუნდების საპასუხო მატჩში მორიენტესის დუბლი საბედისწერო აღმოჩნდა ზიდანისა და კომპანიისთვის. მორიენტესის წვლილი საფრანგეთის ჩემპიონატშიც უაღრესად დიდია. ის, რომ "მონაკო" ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძვის, სწორედ ესპანელი ფორვარდის შესანიშნავი თამაშის შედეგია.

ამას გარდა, თავისი თამაშით მორიენტესმა დაამტკიცა, რომ ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებს და რაულთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების დამრტყმელ ძალას წარმოადგენს.

ამ შესანიშნავი ფორვარდის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ შეუძლია, გადამწყვეტ მომენტში უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანოს. შარშან მადრიდის "რეალმა", რომელიც მიჩვეულია ლამაზ და "გალაქტიკურ" გამარჯვებებს, ვერ შეაფასა მორიენტესის ეს უმთავრესი ღირსება. მაგრამ ცხოვრებამ თვალნათლივ აჩვენა, ვინ იყო მართალი.

ნათელია, რომ ჩაგდებული სეზონის შემდეგ (როგორც ჩანს, "რეალი" ვერც ესპანეთის ჩემპიონატს იგებს), ფლორენტინო პერესი იძულებული გახდება, გუნდის პოლიტიკაში კორექტივები შეიტანოს. მართალია, პერესი გულმოდგინედ იცავს თავის იდეას, შექმნას "პავონებისა და ზიდანების" გუნდი, მაგრამ მორიენტესის დაბრუნება იმაზე მეტყველებს, რომ პერესმა გარკვეული დასკვნები უკვე გამოიტანა.

"ჩვენ აღფრთოვანებული ვართ შესანიშნავი სეზონით, რომელსაც მორიენტესი ატარებს. ის "მონაკოს" საუკეთესო ფეხბურთელია და ამას ყოველ მატჩში ადასტურებს. 30 ივნისს ის გუნდში დაბრუნდება, რადგან კონტრაქტის მიხედვით "რეალში" კიდევ ორ წელიწადს უნდა ითამაშოს", - პერესის ეს სიტყვები შეგვიძლია მივიჩნიოთ "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობის აღიარებად, რომ მორიენტესის გაშვებით კლუბმა შეცდომა დაუშვა.

ძნელი სათქმელია, როგორი იქნება მომავალ წელს "რეალის" შემადგენლობა. ისიც ძნელი განსაჭვრეტია, კიდევ რა ორიგინალური იდეა მოუვა "სამეფო კლუბის" პრეზიდენტს. თუმცა, ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: მორიენტესი მადრიდული სუპერკლუბის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. მან ეს დაიმსახურა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ფრანგული “მონაკოს” ხორვატი ფორვარდი დადო პრშო “გლაზგო რეინჯერსთან” მოლაპარაკებას მართავს. ფრანგული მედიის ცნობით, ხორვატი ფეხბურთელი გასულ უქმეებზე შოტლანდიური კლუბის წარმომადგენლებს ტრანსფერის დეტალებზე სასაუბროდ შეხვდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ანდრეი შევჩენკოს უნდა, ფრანჩესკო ტოტი “მილანში” იხილოს. “ის დიდი ფეხბურთელია და შეუძლია კიდევ მოუმატოს, - ამბობს შევჩენკო და აცხადებს, რომ “მილანში” თამაში საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე სურს, - მინდა, კლუბის სიმბოლო გავხდე. ისეთი, როგორებიც მალდინი, კოსტაკურტა ან ბარეზი არიან. სამწუხაროდ, საფეხბურთო კარიერა მილანში არ დამიწყია, მაგრამ ის, რაც ამ კლუბისთვის გავაკეთე, საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ რაღაცით მათ ვგავარ”.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფორვარდი სტივ მარლე ინგლისის “ფულჰემს” ეკუთვნის, მაგრამ იჯარის წესით მარსელის “ოლიმპიკის” ღირსებას იცავს. ფეხბურთელი აცხადებს, რომ, ალბათ, ფრანგულ კლუბში დარჩება. მარლე იჯარით მას შემდეგ გაასხვისეს, რაც კონფლიქტი მოუვიდა “ფულჰემის” მწვრთნელთან კრის კოლემანთან. “გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ “ოლიმპიკში” დავრჩები, პრაქტიკულად მიღებულია. მე აქ მომწონს. ახლა მხოლოდ “ფულჰემის” ხელმძღვანელობასღა უნდა შევუთანხმდე”, - თქვა მარლემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლა კორუნიას “დეპორტივოს” მცველმა ნურედინ ნაიბეტმა თხოვნით მიმართა კლუბის ხელმძღვანელობას, სეზონის ბოლოს ვადაზე ადრე გაწყვიტონ მასთან კონტრაქტი (ვადა ერთი წლის შემდეგ იწურება). მაროკოელი აპირებს, ყატარის ერთ-ერთ კლუბში გადავიდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავსტრალიის ფეხბურთის ასოციაციის ახალმა პრეზიდენტმა ჯონ ო`ნილმა განაცხადა, რომ ფიფამ მის ქვეყანას მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება უნდა მისცეს. “ჩვენ ვუმასპინძლეთ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს და მსოფლიო თასის გათამაშებას რაგბიში. ამით დავამტკიცეთ, რომ უმნიშვნელოვანესი სპორტული თამაშების მასპინძლობა შეგვიძლია”, - თქვა ო`ნილმა. პრეზიდენტის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების სისტემა გულისხმობს, რომ მწვანე კონტინენტი ამ ტურნირს 2022 წელს მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიური “სანტოსის” მთავარი მწვრთნელი ემერსონ ლეაო ორწლიანი მუშაობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. ამ პერიოდში პელეს ყოფილმა კლუბმა პირველად მოიგო ბრაზილიის ჩემპიონატი და ლიბერტადორესის თასის ფინალამდე მიაღწია. “ქორწინება დასრულდა”, - ლიბერტადორესის თასის მეორე წრეში დამარცხების შემდეგ განაცხადა “სანტოსის” დირექტორმა ფრანსისკო ლოპესმა. ლეაო ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მეკარე (1974 და 1978 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე) 2001 წელს 8 თვის განმავლობაში სათავეში ედგა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სლოვენიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბოიან პრაშნიკარი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ასეთი გადაწყვეტილება სლოვენიის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ მას შემდეგ მიიღო, რაც სლოვენიელებმა ვერ მოახერხეს, გადათამაშებაში დაეძლიათ ხორვატიული ბარიერი, რის გამოც ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩნენ. სლოვენიის ნაკრების ახალი მწვრთნელი 24 მაისს დაინიშნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური “მალიორკასა” და ურუგვაის ნაკრების ფორვარდი ფერნანდო კორეა აკრძალული პრეპარატის ხმარებაში ამხილეს. ანალიზის პასუხი, რომელიც მას 31 მარტს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის (ურუგვაი-ვენესუელა) შემდეგ აუღეს, დადებითი აღმოჩნდა. ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით არ ახმაურებს, თუ რომელი პრეპარატი გამოიყენა ფეხბურთელმა. თუმცა, ესპანური “მარკას” ცნობით, საუბარია კოკაინზე. ფედერაციის წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა რიო-დე-ჟანეიროში, სადაც მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ლაბორატორია. აქ განმეორებითი ანალიზი გაკეთდება.

■ ■ ■

**კრივი.** ქვემძიმე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი როი ჯონს-უმცროსი უახლოეს პერიოდში პენსიაზე გასვლას აპირებს. ანტონიო ტარვერთან 15 მაისს დაგეგმილი ბრძოლის შემდეგ, მოკრივეს სურს, ვიტალი კლიჩკოს ან მაიკ ტაისონს შეხვდეს. კარიერის უკანასკნელ ბრძოლას როი ჯონს-უმცროსი მშობლიურ ქალაქ პენსაკოლაში გეგმავს. “მე კარიერის დამთავრებაზე ფიქრი 1997 თუ 1998 წლიდან დავიწყე, - ამბობს ჯონსი, - 25 წელი, რომელიც კრივს მივუძღვენი, არ შეიძლება, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყოს”.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** კომპანია “მიშელინის” ხელმძღვანელობამ გააპროტესტა ფორმულა 1-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც 2006 წლიდან ყველა საჯინიბო ვალდებულია, ერთი და იგივე წარმოების საბურავებით იმოძრაოს. “ჩვენი კომპანია მხარს უჭერს ფორმულა 1-ის ხარჯების შემცირებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რბოლებში საბურავის ერთადერთი მწარმოებლის დატოვება არ არის სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ რამდენიმე ვარიანტი გვაქვს, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია დატოვონ”, - ნათქვამია კომპანია “მიშელინის” სპეციალურ განცხადებაში.

## წყალბურთი

# ჭაბუკებმა მეორე ტალღა გადალახეს



ქართველ ჭაბუკებს არც უკრაინელთა დამარცხება გასჭირვებიათ.

გიგა გურასაშვილი

იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად სერიოზული ასპარეზობები უწევს სოფიაში მყოფ საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს, ვგონებთ, ზედმეტია. ბულგარეთის დედაქალაქში კი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საგზურები თამაშდება (ჩვენს ქვეჯგუფში სლოვენიის, უკრაინის, ბულგარეთისა და კვიპროსის ნაკრებები გამოდიან). საგზური კი სულ ორია.

საქართველოს ნაკრებმა პრველ მატჩში სლოვენია დაამარცხა - 8:4. ადრე ვთქვით, საქართველოსა და სლოვენიის ნაკრებები ჯგუფის ფავორიტები არიან-თქო. ქართველ ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები იოლად გაუსწორდა სლოვენიის გუნდს. გუშინ კი არანაკლებ ძლიერ - უკრაინის ნაკრებთან მოუხდა შეხვედრა. უკრაინელებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამართული საკუთარი ჩემპიონატი აქვთ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მათ, ჩვენგან განსხვავებით, გამოსაწრთობი საშუალება აქვთ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები კი, რა ხანია, კარდაკარ დადის და ხან უკრაინის და ხანაც რუსეთის ჩემპიონატებში ეძებს თამაშის შესაძლებლობას. და მაინც, უკრაინელებს 14:8 სძლიეს და, შეიძლება ითქვას, ძირითადი კონკურენტები გზიდან ჩამოიშორეს. სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს ვიტყვით გუშინდელ შეხვედრაზე. მხოლოდ ის ვიცით, რომ საცქერლად კარგი მატჩი ყოფილა.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ახლა კიდევ ერთი წინაღობა აქვს გადასალახავი. ეს ბულგარეთის ნაკრებია. მასთან ჭიდილი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასპინძლები არიან და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი წნეხის ქვეშ იქნებიან ჩვენი ბიჭები. კი ვთქვით, კიდევ ერთი წინაღობა ელით-თქო, მაგრამ ბულგარელების მერე ჩვენებს კვიპროსთან უწევთ თამაში. კვიპროსი კი ის გუნდი არაა, ჩვენებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ასე რომ...

## ბოულინგი

# როგორ ვითამაშოთ ბოულინგი პროფესიულ დონეზე



ბოულინგი პროფესიონალთა თამაშია.

ბოულინგი რომ კარგი გასართობი და დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებაა, ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ერთხელ მაინც შეაღებთ ბოულინგცენტრის კარს და თამაშის სურვილს გამოთქვამთ. მაგრამ მარტო ბურთის გორება დიდად სახეირო ვერ იქნება, თუ თამაშის ელემენტარულ წესებთან ერთად პროფესიონალ ინსტრუქტორთა რჩევას არ გაიზიარებთ. გაინტერესებთ, მაინც რას გვირჩევენ გართობის მოყვარულებს მწვრთნელები ან პროფესიონალი მოთამაშეები?

პირველ ყოვლისა, სასურველია დააკვირდეთ არა მარტო ბურთის წონას, არამედ ბურთზე გაკეთებულ ნიშნულს, ე.წ. სიმძიმის ცენტრს. აქვე გაგიმარტავთ, რას გულისხმობს ასეთი ნიშნული. თითების ჩასაყოფი ნახვრეტების მახლობლად მონიშნული წერტილი მიუთითებს ცენტრის მიმართულებას. თუ ის გადახრილია ცენტრიდან მარჯვნივ, მაშინ ასეთი ბურთი ბილიკზე გასრიალებისას მოუხვევს მარცხნივ და პირიქით. თუ ასეთი ნიშნული ზუსტად ცენტრშია, მაშინ თქვენს მიერ ნასროლი ბურთი სწორ ხაზზე გასრიალდება.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია ბურთი შეარჩიოთ თქვენი თითების ფალანგების შესაბამისად, რათა თითები ნახვრეტის ზომას მოერგოს, თავისუფლად იმოძრაოს, ანუ თითები არც ჩავარდეს და არც “ჩაეჭედოს” ნახვრეტში. რასაკვირველია, ჯობს, თუ ბურთს შეიძენთ და იქვე გააკეთებინებთ ნახვრეტებს თქვენი ხელის მტევნის ფორმისა და ზომის მიხედვით. ბურთები სხვადასხვაფასიანია იმის მიხედვით, თუ რა მასალისგანაა დამზადებული. ასევე ფასიანია ბურთის გახვრეტა, მაგრამ ნამდვილად ღირს, რადგან თქვენ გექნებათ სწორედ ის ბურთი, რომელსაც აარჩევთ მოსახერხებელი თამაშისთვის. თუმცა, თუ ბურთის შეძენას არ ჩქარობთ, არც ეს არის პრობლემა. ითამაშეთ ბილიკებთან ახლოს, თაროებზე ჩამწკრივებული ბურთებით, რომლებიც თქვენს მოლოდინშია.

ბურთის გაგორების ნიუანსები თანდათანობით დაიხვეწება იმ ინტენსივობის პროპორციულად, რა სიხშირითაც სტუმრობთ ბოულინგცენტრს. მოკლედ, თუ შეძლებისდაგვარად რეგულარულად ითამაშებთ და თან ყურს დაუგდებთ ინსტრუქტორთა მითითებებს, თქვენგან უდავოდ კარგი ბოულერი დადგება. თქვენი სარეიტინგო მაჩვენებელი საუკეთესო მოთამაშეთა ქულებს შორის გამოანათებს და ბოულინგცენტრის მიერ დაწესებულ რომელიმე პრიზსაც ნამდვილად გამოჰკრავთ ხელს.

ჰოდა, თუ გართობასთან ერთად სპორტული აზარტის ჟინიც შეგიპყრობთ, მობრძანდით და გააგორეთ ბურთი. სცადეთ, იქნებ თქვენ აღმოჩნდეთ ის იღბლიანი, რომელიც ყველაზე აზარტული მოთამაშისთვის განკუთვნილ პრიზს მოიგებს.

## კრივი

# საქმეა აღძრული - კლიჩკო-უმცროსი



ვლადიმირ კლიჩკო სამართალს ეძებს.

გიგა გურასაშვილი

ცნობილმა ამერიკელმა ადვოკატმა ჯად ბერშტეინმა, რომელიც უკრაინელი გიგანტის ვლადიმირ კლიჩკოს ინტერესებს იცავს, ნევადის შტატის პროკურორის სახელზე შეიტანა განცხადება. ადვოკატი პროკურორს სთხოვს, გამოიძიოს ვლადიმირ კლიჩკოსა და ლეიმონ ბრიუსტერის ერთი თვის წინანდელ მატჩში კლიჩკოს მარცხის მიზეზები. ის დაპირისპირება, მოგეხსენებათ, ვაკანტურად გამოცხადებული კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) უმთავრესი ტიტულისთვის შედგა. ისიც გეხსომებათ, რომ მეხუთე რაუნდის ბოლოს უკრაინელს ბრძოლის უნარი დაეკარგა.

კლიჩკოსა და ბრიუსტერის ორთაბრძოლას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გაჩნდა არაერთი ეჭვი იმის შესახებ, რომ ბრძოლის წინ ვლადიმირი მოწამლეს. საეჭვო იყო მოკრივეებზე დადებული ფსონების ბოლო მომენტში უცაბედი ცვალებადობა - საბუკმეიკერო კანტორებში კოეფიციენტები საპირისპიროდ შეიცვალა. თუ ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე უკრაინელი მიიჩნეოდა აშკარა ფავორიტად, კლიჩკოს ამგვარი სტატუსი პირველი რაუნდის დამთავრების მაუწყებელ გონგის ხმას გაჰყვა. ამბობენ, ყველაფერ ამაში გაქნილი პრომოუტერის დონ კინგის ხელი ურევიაო, რადგან ბრძოლის წინ საკმაოდ სოლიდური თანხა ბრიუსტერზე დადო და, შესაბამისად, მის ორმაგად ამოსაღებად ყველაფერს იღონებდაო. სხვათა შორის, ამერიკელი მოკრივე კინგის მეურვეობის ქვეშაა.

საეჭვო იყო ის ფაქტიც, რომ ვლადიმირის სისხლში შაქრის დონემ ოთხჯერ გადააჭარბა ნორმას. საეჭვო იმიტომ, რომ კლიჩკოს არასდროს ჰქონია ამგვარი პრობლემა, მაგრამ... მეორე რაუნდიდან უკრაინელმა ძალ-ღონე დაკარგა. ბოლოს მოხდა ის, რამაც ყველა გააოცა. მეხუთე რაუნდის სამწუთიანი მონაკვეთის მიწურულს ვლადიმირი დაეცა, თანაც, ისე, რომ წამოსადგომად სხვათა დახმარება დასჭირდა.

შესაძლოა, საქმე გამოძიებამდე არც მისულიყო, მაგრამ ორთაბრძოლიდან ცოტა ხნის შემდეგ უკრაინელის სისხლისა და შარდის ანალიზები სადღაც გაქრა. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა პრესისთვის დაწესებული ერთი საშვის დაკარგვაც, რომელიც, ეტყობა, უცნობ პირზე იყო გაცემული.

“ვიდრე გამოძიების დაწყებას მოვითხოვდი, ბევრს ვფიქრობდი. არ მინდოდა, ყველაფერი ეს ისე შეეფასებინათ, თითქოს საკუთარი წაგების გამართლებას ვეძებდე, - აცხადებს ვლადიმირ კლიჩკო. - სინამდვილეში ასე არაა. უბრალოდ, მინდა, სიმართლე შევიტყო”.

ამასობაში ნევადის ათლეტთა კომისიის მეთაური მარკ რატნერი იტყობინება, რომ კლიჩკოს წაგებაში ვერაფერს ხედავს უჩვეულოსა და უცნაურს: “ვლადიმირმა ყველა საჭირო ანალიზი ჩააბარა და მასში უჩვეულო და საეჭვო არაფერი ყოფილა”.

ძმები კლიჩკოები გერმანელ პრომოუტერთან კლაუს-პეტერ კოლთან კონტრაქტის გაგრძლებას აღარ აპირებენ, მიუხედავად იმისა, რომ პრომოუტერის მიერ რვა წლის განმავლობაში გაწეული მუშაობით კმაყოფილნი არიან.

რაც შეეხება პრომოუტერთან გაყრის ძირითად მიზეზს, კლიჩკოები აცხადებენ, რომ კლაუს-პეტერს არ შეუძლია მათი სტატუსისთვის შესაფერისი ბრძოლების გაჩარხვა. გამორიცხული არაა, ძმები კლიჩკოების ინტერესები “k2 პრომოუშენსმა” დაიცვას. ეს საპრომოუტერო კომპანია კი, არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინელი ძმების საკუთრებაა. სხვათა შორის, “k2 პრომოუშენსმა” უკვე მოასწრო, მონაწილეობა მიეღო ვიტალი კლიჩკოსა და სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსის მატჩის ორგანიზებაში. თუმცა, კლაუს-პეტერ კოლთან გაწყვეტილი თანამშრომლობა იმას არ ნიშნავს, რომ ძმები კლიჩკოები მწვრთნელთა კადრებსაც შეელევიან. უკრაინელი მოკრივეები აცხადებენ, რომ მათ კვლავინდებურად მწვრთნელთა ტანდემი - ფრიც ზდუნეკი და ემანუელ სტიუარდი გაწვრთნის.

## TV-სპორტი

### შაბათი. 8 მაისი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:30 NBA TV - 2003 წლის ფინალები
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. “SACRAMENTO KINGS” - “HOUSTON ROCKETS”. მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
14:30 “დარტყმა გოლისთვის”
15:00 “გაიტანე”! მიხაელ ბალაკთან ერთად
15:15 “ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი”
15:45 “ფეხბურთი ანიდან ჰაემდე”
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. “მანჩესტერ იუნაიტედი” - “ჩელსი”. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:15) - თავისუფალი დარტყმა
18:20 სახვალიო ტელეპროგრამა
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. “ბავარია” - “ვერდერი”
20:20 თავისუფალი დარტყმა
20:35 “ევროფანკლუბი”
21:05 “FUTBOL MUNDIAL”
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. “ბირმინგემი” - “ლივერპული”. პირდაპირი ტრანსლაცია
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. “ჰამბურგი” - “შტუტგარტი”
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. “რეალი” - “მალიორკა”. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
02:50 02:50-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. ფინალი. “BOSTON CELTICS” - “HOUSTON ROCKETS”. პირველი თამაში
05:30 NBA TV. კონფერენციის ნახევარფინალი. “MINNESOTA TIMBER-WOLVES” - “SACRAMENTO KINGS”. მე-2 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

10:00 “ფორმულის ჰარმონია”
11:00, 17:15, 21:30 პრესცენტრი
11:20, 21:45 “ოლიმპის შვილები”
11:25 “პიკი გვეძახის” - ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
11:55 “ფარი და ბურთი”. გადაცემა კალათბურთზე
12:40 “ნოკაუტი”. ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
13:10 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. აღმოსავლეთ კონფერენიის ნახევარფინალი. “NEW JERSEY NETS” - “DETROIT PISTONS”. მე-2 თამაში. შესვენებისას (14:15) - პრესცენტრი
15:45 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთი - ნიგერია
17:30 ჩოგბურთი. “Masters Series” რომში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 “სპორტული გლობუსი”. “Trans World Sport” წარმოგიდგენთ
22:30 კარატე. ევროპის ჩემპიონატი
00:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. “TAMPA BAY LIGHTNING” - “PHILADELPHIA FLYERS”. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:00) - ახალი ამბები
02:30 02:30-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მენი პაკუაო - ხუან მანუელ მარკესი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 ფეხბურთი უეფას თასი
14:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
15:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
20:00 ველორბოლები. იტალიის ტური
22:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
22:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
23:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
23:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
04:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
05:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
06:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ტრილოგია ქალაქის მერს

*ამ პატარა ტრილოგიით თბილისის ახალ მერს მინდა მივმართო და ვუთხრა, რომ დედაქალაქის მოსახლეობა, რომელსაც მობეზრდა კომუნისტური და პოსტკომუნისტური ტყუილი დაპირებები, პოპულისტური სარეკლამო ქმედებები, მის მონდომებას, ენთუზიაზმს და უკომპრომისობას მხოლოდ მაშინ ვიწამებთ, როდესაც ქუჩების საკუთარი ხელებით დასუფთავების პარალელურად, ერთ რეალურ, თუნდაც, მკვეთრ მოქმედებას დავინახავთ. უკანონო ან ქრთამით დაკანონებული ერთი დაშენება მაინც რომ მოინგრევა, რუსთაველის მეტროსთან "შუშის სახლი" დემონტირდება, ჭავჭავაძის გამზირზე ლურჯი შუშის ნაგებობა ვისია და რა დანიშნულება აქვს, გაირკვევა, ან ამ ტრილოგიის ერთი პუნქტი მაინც შესრულდება. ჩვენთვის სრულიად უდროო და მიუღებელია ბანალური, წლების განმავლობაში სმენილი პასუხი - "ეს ჩემამდე იყო". დიახ, თქვენამდე, მაგრამ თბილისიც ჩვენამდე იყო და ასე არავის დაუმახინჯებია. ეგება ახლა, თქვენსობას მაინც ვეცადოთ, დედაქალაქს მისი იერსახე, მოქალაქეებს კი რწმენა დავუბრუნოთ.*

თბილისის ქუჩები, ბაზრები, ავტოსადგომები მათხოვრებით არის სავსე და ყველა მათგანი თავისი ინდივიდუალური გონებამახვილობის შესაბამისად, ლუკმა-პურს შოულობს. ზოგიერთი შუქნიშანთან დგას, ზოგიერთი კარდაკარ დადის, ზოგიერთი მეტროს, ბაზრის შესასვლელთან ზის, მღერის და ისე მათხოვრობს, ზოგიერთი კი სამათხოვროდ ბავშვებს აგზავნის, თვითონ ისვენებს, ნადავლს ელოდება და სახლში ზის. აი, სად ცხოვრობენ ეს მათხოვრები, სად არის მათი სახლები, ეს კი საინტერესოა? მე ეჭვი მაქვს, რომ ამ მათხოვრების დიდი ნაწილი სრულებითაც არ არის უსახლკარო. ზოგიერთის ნავსაყუდელი კი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩვენც შეგვიძლია ვნახოთ. ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, საპარიკმახერო "ისი-პარის" პირდაპირ გავლისას, შეუძლებელია არ შეამჩნიოთ, რომ ერთმა უსახლკარო, შემაშინებელი გარეგნობის მქონე ბომჟმა საკმაოდ მყუდრო ბინა მოიწყო, რომელშიც, მართალია, გადაგდებული, მაგრამ სავარძლები, ავეჯის სხვა დეტალები მოათრია, წვიმისგან დამცავი ტენტი გაიკეთა და თითქმის ყოველ საღამოს ხმაურიან, ქალებიან, სასმელიან, შუაცეცხლიან, საკმაოდ აგრესიულ ბომჟების კამპანიასაც მასპინძლობს. ეს ყველაფერი თბილისის ერთ-ერთ ისეთ ქუჩაზე ხდება, სადაც ცხოვრებაზე ბევრი ოცნებობს, თანაც სკოლების, საბავშვო ბაღის ახლომახლო და ამიტომ ბავშვებს ნაგვის ნარჩენებისგან დანთებული ცეცხლის ბოლის სუნთქვა, შეზარხოშებულ უსახლკაროებთან შეშინებულებს გავლა და ანტისანიტარიის ყურება უწევთ. ეგება, ქალაქის ხელისუფლებამ ირაკლი აბაშიძის ქუჩის ამ მონაკვეთის მცხოვრებთა დიდ პრობლემას ყურადღება მიაქციოს, ბომჟების "სუარეები" აღმოფხვრას, გაბინძურებული ტერიტორია სანიტარიულ სამსახურს დააწმენდინოს, ვაკელ უსახლკაროებს კი რაიმე ადგილი მიუჩინოს, სადაც მათ ჭერი ექნებათ. რა მოხდება, ერთხელ, მერიის რომელიმე წარმომადგენელმა თბილ, არაწვიმიან საღამოს ამ ადგილას ჩაისეირნოს და ჩემ მიერ აღწერილ სურათში თავად დარწმუნდეს, ოღონდ დაინდეთ, მის ჯანმრთელობაზე მაინც იზრუნეთ და აირწინაღი აუცილებლად გაატანეთ.



ბომჟი გასულია

■ ■ ■

ბოლო პერიოდში თბილისში ბინათმშენებლობის ნამდვილი ბუმი შეიმჩნევა. განსაკუთრებით ბევრი, ახალი, მახინჯი და საშუალოდ მახინჯი სახლი ქალაქის ცენტრალურ რაიონებში აშენდა. მაცხოვრებლები წლობით აკეთებენ რემონტს და ახალ ბინებს რას არ უგონებენ - თაღებს, ერკერებს, ბოძებს, დონეებს, უზარმაზარ და პატარა სივრცეებს, ტერასებს, ვერანდებს, მარკიზებს, ლითონის ჭედურ, რთული მოხატულობის მქონე ორნამენტებს, კედლებს პალიტრაში არარსებული, ჯერ არმოგონილი ფერებით ღებავენ, რომელთაც შემდგომ ფარდებს, რბილ ავეჯს, ნოხებს, ლარნაკებს და ფოტოების ჩარჩოებსაც კი უხამებენ. კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად აბაზანა და სამზარეულო ითვლება, რაზეც არანაირ სახსრებს არ იშურებენ. ყველაფერს ვერც წარმოვიდგენ და ვერც აღვწერ, რაც დღეს "ელიტარული" ბინის აუცილებელი ატრიბუტიკაა. ყველაფერი ეს კი ძალიან ძვირადღირებული, ხან ტყვიაგაუმტარი, ხან რკინის ან მუხის კარებით გვირგვინდება. აი ამ კარებთან მთავრდება ის, რასაც "ჩემი ახალი ბინა" ჰქვია და საზოგადოებრივი საკუთრება, ანუ კონკრეტულად არავის კუთვნილი სადარბაზო, ეზო, ქუჩა, ქალაქი იწყება. კი იწყება, მაგრამ ინდივიდუალური მოვლის, გალამაზების, დასუფთავების სურვილი მთავრდება. პრეტენზია ბევრი გვაქვს. თბილისი ხან პარიზს მივამსგავსეთ, ხან "ევრორემონტი" გავიკეთეთ, ხან ბოლო მოდაზე ჩავიცვით, კაფეში ყავის დალევის ჩვევა შევიმუშავეთ, მაგრამ ნაგვის გადაყრის, სადარბაზოს, ეზოს მოვლის ევროპულმა კულტურამ, სხვა კულტურებისგან განსხვავებით, თბილისში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი. "ევრორემონტიან" ბინაში მცხოვრები, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, სისუფთავის მოყვარული, ფრანგული სალათის რამდენიმე რეცეპტის მცოდნე, ჯაკუზიდან ახალგამოსული, მომხიბვლელი დიასახლისი ქუჩაში გამოვა და სუპერმარკეტის პარკში საგულდაგულოდ ჩაგდებულ ნაგავს იქვე, სადარბაზოსთან დადებს. აბა, ბუნკერამდე 200-300 მეტრს ხომ არ გაივლის. ამ გემრიელი ულუფის მომლოდინე ქუჩის ძაღლები, კატები და, რაც მთავარია, ვირთხები, პარკს გაღრღნიან და ნაგავს "ელიტარული" სახლის წინ მიმოაბნევენ. მერე რა? ქუჩა სახლი ხომ არ არის, არავისია და იყოს, ეყაროს, ნელ-ნელა ან ქარი წაიღებს, ან ვირთხები ჩაამთავრებენ. ვაკეში, ვერაზე, საბურთალოზე ვერც ერთ სახლში სრული გარანტიით ვერ შეხვალ, ვირთხამ ფეხებზე რომ არ გადაგირბინოს. მერე რა! სადარბაზოც ხომ კონკრეტულად არავისი არ არის, სახლში კი ჯერ ვირთხა არ გაჩენილა. ყველა მხოლოდ თავისსას უვლის, აპრიალებს, აკრიალებს, ალამაზებს და კარის მიღმა კი, თუ გინდა ალიგატორები ბინადრობდნენ, ეს ჩვენი საქმე არ არის. ამ ლოგიკის და მენტალიტეტის შედეგი კი ის არის, რომ თბილისი ვირთხებს მიაქვს. არ ვიცი, სად არის და რას აკეთებს ასეთ შემთხვევაში ქალაქის სანეპიდსამსახური და რა შედის მის ფუნქციებში, მაგრამ თუ რაიმე მოქმედებს, შედეგი, ნამდვილად, არ ჩანს. ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ უზარმაზარი, ნაგვის ბუნკერის მქონე და, შესაბამისად, მღრღნელებისგან შეწუხებული კორპუსის მაცხოვრებლები ერთმანეთში შეთანხმდნენ და ვირთხებთან ბრძოლის სამსახური კერძოდ გამოიძახონ. აქ უკვე სხვა პრობლემა იჩენს თავს და მეზობლები ერთმანეთს ეჯიბრებიან - ის თუ არ დებს ფულს, მე რატომ დავდო, - ამბობს ოჯახის უფროსი, რომელმაც, სიტყვაზე, ბინა რამდენიმე თვის წინ 50-70 ათას დოლარად შეიძინა, ერთი მაგდენად გაირემონტა და ახლა, ძალიან მოდურ ინტერიერში, კომფორტულად, ვირთხების გარემოცვაში ცხოვრობს და საკუთარ პრინციპულობას არ თმობს. კი ბატონო, ნუ თმობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ავად ყველა ხდება, ეპიდემია ყველას ემუქრება, ქართული ვირთხები კი, მსოფლიოს სხვა ვირთხებისგან განსხვავებით, ყოველგვარი რისკფაქტორის გარეშე თარეშობენ, გვაშინებენ. გვაკივლებენ და ჩვენი გაევროპიზირებული ცხოვრების სრულიად არაცივილურ ნაწილს წარმოადგენენ. ნუთუ არ ჯობია, რომ ყველამ ცოტ-ცოტა მოვიკლოთ და საკუთარი სიმყუდროვე, ნერვები, ჰიგიენა არა მხოლოდ ტანის კრემით, ან იტალიური კაფელით შემოვფარგლოთ, არამედ ნაგავი ბუნკერში ჩავაგდოთ, სანეპიდსადგური, თუნდაც კერძოდ, გამოვიძახოთ და სრულიად არასიმპათიურ ვირთხებს ჩვენითვე შევებრძოლოთ. თუ ქალაქის ახალი მერია ამაში მხარში ამოგვიდგება, ხომ კარგი, თუ არა და, როდის და რაში გვქონია მაგათი იმედი? ჩვენ თავს ჩვენვე მივხედოთ. ბოლო წლების ბიუროკრატიულმა ვირთხებმა ხომ შეგვჭამეს და ახლა ნამდვილებსაც თავი შევაჭმევინოთ? თანაც, დარწმუნებული ვარ, მერიაში თავისი საკუთარი ყველა სახის ვირთხები ჰყოფნით.



■ ■ ■

თბილისის ვაკის რაიონში რამდენიმე სკვერი და ბაღია, რომელთა მიმართ ამ რაიონის თითოეულ მაცხოვრებელს თავისი ინდივიდუალური მოგონება, დამოკიდებულება გააჩნია. მე, პირადად, ამჟამად მშენებლობებით დაუნდობლად დამახინჯებულ ვაკის პარკში ყოველ საღამოს, სამსახურის შემდეგ, ბაბუაჩემი მასეირნებდა. ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ე. წ. "გეგეშიძის ბაღში" კლასელებთან ერთად შატალოზე დავდიოდი. ბარნოვის ქუჩის მრგვალ ბაღთან ჩემი ფრანგული ენის მასწავლებელი ცხოვრობდა. "მზიურში" კი უკვე საკუთარ შვილებს ვასეირნებდი. მრგვალ ბაღში პატარა უფლისწულის ქანდაკება კი დადგეს, მაგრამ ყველა ეს სკვერი და პარკი მაინც ძალიან მოუვლელია. "მზიურში" დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, მაგრამ მგონია, რომ ისიც, ვაკის პარკის მსგავსად, მშენებლობის ისტერიამ შეიწირა. "გეგეშიძის ბაღში" ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, კონსტანტინე გამსახურდიას, შეიძლება ცოტა გროტესკული, მაგრამ მაინც ძალიან კარგი ძეგლი აღმართული კი არის, მაგრამ, აი რა ხდება ამ ძეგლის უკან, ის კი ნამდვილად საგანგაშოა. ბაღის წინ მიმდებარე მოედანი სამარშრუტო ტაქსების სადგომად, კლასიკოსის ძეგლი კი მძღოლების ტუალეტად არის გადაქცეული. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რამდენიმე ათეული სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, ყოველი წრის ბოლოს ქანდაკების უკან ბუნებრივ მოთხოვნილებას რომ იკმაყოფილებს, სკვერში ბავშვების გასეირნებისთვის როგორი ხელსაყრელი არომატი იქნება, მოსეირნეებისთვის და გარშემო სახლების მაცხოვრებლებისთვის კი როგორი სანახაობა. ჩემი აზრით, მერიამ მაცხოვრებლებს თუ არა, კლასიკოსს უნდა სცეს პატივი და სამარშრუტო ტაქსების სადგომი გადაიტანოს სადმე, ან მძღოლებს ბუნებრივად ასეთი საჭირო და ჩვენს ქალაქში დეფიციტური ტუალეტი აუშენოს. ახლომახლო მცხოვრებთ კი საშუალება მისცეს, ბავშვები ფეკალურ მასებში ამოთხვრის საფრთხის გარეშე გაასეირნონ. თორემ დღესდღეობით ქალაქის შუაგულში სრულიად ანომალიური მოვლენა - სკვერ-ტუალეტია მოწყობილი, რომლის შუაში, მიფ..., მი... ამაყი კონსტანტინე ზის და ამაოდ ელის დახმარებას.

# ის, რასაც თქვენ აკეთებთ, საშინელებაა

ეს წერილი პასუხი არ გეგონოთ. უბრალოდ, ამ კვირის "The Georgian Times"-ის მიერ ჩატარებული "ჟურნალისტური გამოძიება" სათაურით "საქართველოს სამარცხვინო ჰიმნი", როგორც რიგითმა მოქალაქემ, რეაგირების გარეშე ვერ დავტოვე. პატივისცემით, მაგრამ ყოველგვარი მოკრძალების გარეშე გაზეთ "The Georgian Times" მინდა მივმართო და ვურჩიო, თუ მართლა კარგ, მიუკერძოებელ ჟურნალისტებს ვერ იზიდავს და გიორგი საბანიძის პროფესიონალიზმით ჯერდება, ინგლისური ენის ერთი, საშუალო ცოდნის თარჯიმანი მაინც იშოვოს და საკუთარი გაზეთის უცხოენოვანი, საკმაოდ მარტივი სათაური გადაათარგმნინოს. ეგება, მაშინ მაინც გაიგოს, რომ Georgian Times მათთვის წამგებიანად, რადიკალურად შეიცვალა. სიბინძურის, მდაბიო, პატარ-პატარა პირადი ინტერესების, ინტრიგების დრო წავიდა! უცნაურია, მაგრამ გაზეთის რედაქცია ვერ აანალიზებს, რომ უკვე მრავალი წელიწადია, რაც ყველა ამგვარი ჭუჭყის უკან ერთი და იგივე, სრულიად დისკრედიტებული, საზოგადოებისათვის ავად ცნობილი, მობეზრებული, შეურაცხმყოფელი პიროვნებები ფიგურირებენ. რა ბედნიერია საკუთარ უნივერსალობაში დარწმუნებული ადამიანი, რომელსაც არანაირი ეჭვები, შეკითხვები არ ებადება და კოკა-კოლას ქიმიურ შემადგენლობაზე, სახელმწიფო დროშაზე, მუსიკაზე და რელიგიაზე ერთნაირი თვითდარწმუნებული უსუსურობით მსჯელობს. შეიძლება ბედნიერია, მაგრამ ბრმა, ვინაიდან ვერ ხედავს, რომ მისი "უნივერსალურობა" დიდი ხანია, ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ ერთ მარტივ სიტყვას იმსახურებს - ინტრიგანი. ეტყობა, სწორედ ეს არის ის პროფესია, რომელსაც წლების განმავლობაში ეუფლებოდა, სიბინძურის უმაღლესი კურსებიც დაამთავრა და პროფესიონალიზმში არაერთი მაღალი ჯილდოც დაიმსახურა.

მე, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი, ღრმად აღშფოთებული ვარ უზნეობის იმ კასკადით, რომელსაც ერთი ზნე, საყრდენ, ორიენტირდაკარგული ინტრიგანი გაუთავებლად თავს გვახვევს. თუ იგი საზოგადოების წევრია, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ამის თანამონაწილენი ვხდებით და ისევე ვკარგავთ ზნეს. სწორედ ამიტომ, საზოგადოებამ სასწრაფოდ რადიკალურ ზომებს უნდა მიმართოს და ზედმეტი, მახინჯი წანაზარდი, ხორცმეტი ერთხელ და საბოლოოდ მოიჭრას და გადააგდოს იქ, სადაც სიბინძურის, ჭუჭყის ადგილია. ყველაფერს კი, ბოლოს და ბოლოს, თავისი სახელი დაარქვას, თუმცა, მგონია, რომ ქართულმა საზოგადოებამ ეს უკვე გააკეთა.

ეს არის ყველაფერი, რისი გამოხატვაც ამ საკმაოდ ზედაპირული, მაგრამ ემოციური და გულწრფელი წერილით მინდოდა. "The Georgian Times" კი ვურჩევ, რომ გაზეთს ან სათაური შეუცვალონ და თუნდაც "სარკე-2" დაარქვან, ან თუ ქართულ საზოგადოებას არ იცნობენ, შეეცადონ გაიცნონ. თუ არ იციან, ვინ ვინ არის, გაიკითხონ, თუ დროში აცდნენ - რამენაირად გაერკვენ, თუ რა არის კარგი, რა არის ცუდი; თუ არ იციან - კონსულტანტი მოძებნონ, ოღონდ, არა მათთვის ავტორიტეტულ პირთა შორის, და თუ სამედიცინო ენაზე წოდებული "მანია" თავისი რესპონდენტების მსგავსად გაზეთის რედაქციასაც დაემართა, მაშინ სასწრაფოდ ექიმს მიმართონ, თორემ ამგვარი სენით დაავადებული არც გაზეთი გვინდა და არც უმეცრების და უზნეობის ერთეული აპოლოგეტები.

# "პიკასო + ფიროსმანი = GT"







მხატვრულ გალერეა "ჰობიში" ამ კვირაში გახსნილ მხატვარ მარინა უჯმაჯურიძის ნამუშევართა გამოფენის ამგვარ, არითმეტიკული ფორმულის იდენტურ სათაურში მესამე შესაკრები, მარკ შაგალი დამაკლდა, რომლის შემოქმედების ყველაზე ძლიერი გავლენა ნიჭიერი მხატვრის ხელწერაში შევამჩნიე. ჩემთვის ახლად აღმოჩენილ ფერწერაში სწორედ შაგალისეული სისუფთავე, გულუბრყვილობა, უშუალობაა და არანაირი სიყალბე. პირადი ემოციები, ახლო მეგობრები, ჭრელი კაბები, ნათხოვარი "ბასანოშკები", გზა ოზურგეთიდან ბათუმამდე - ამ ყველაფრის შემხედვარეს სამყარო კიდევ უფრო თბილი, მომხიბვლელი, ნათელი მომეჩვენა.

გალერეა "ჰობი" მოულოდნელად პერმანენტულ სიურპრიზებს გვიმზადებს და ახალ-ახალ, საინტერესო ექსპოზიციას გვთავაზობს, თუმცა, ეტყობა, თბილისის საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი - პირველი არც ერთ ვერნისაჟს არ აკლდება, მეორეს კი არანაირი გამოფენა არ აინტერესებს, იმიტომ, რომ უკვე მერამდენე გამოფენაზე, თითქმის ერთსა და იმავე სახეებს ვხვდები, რომლებიც ინტერესით, პატივისცემით წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებს ათვალიერებენ. მარინა უჯმაჯურიძის თვითმყოფადი ფერწერა შეიძლება პიკასოს, ფიროსმანს ან შაგალს გაგონებს და საბოლოოდ ცას უდრის, მაგრამ, ამავე დროს, არავის არ ჰგავს და ნამდვილად დიდ ინტერესს და პატივისცემას იმსახურებს, თუმცა, ისევე როგორც "ჰობის" გალერისტი ვანდა მუჯირი, რომლის მიერ გაკეთებულ ექსპოზიციაში ინდივიდუალური გემოვნება, ცოდნა და კულტურა ყოველთვის იგრძნობა.

# მთელი ყურადღებით ეკვადორისკენ

## "იმიჯ ცენტრის" მორიგი ექსპორტი "მის სამყაროსთვის"

ვერა ნეფარიძე

*საქართველო საერთაშორისო სილამაზის კონკურსების ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ხდება. სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრმა" ჯერ "მის მსოფლიოზე" მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ახლა კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბური სილამაზის კონკურსისთვის – "მის სამყაროსთვის" (Miss Universe) ემზადება. პირველ ივნისს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" მაყურებელს პირველად შესთავაზებს მეტად პრესტიჟული და გრანდიოზული კონკურსის ტრანსლაციას ეკვადორიდან. საქართველოს ამ კონკურსზე "მის საქართველო 2003"-ის ერთ-ერთი ფინალისტი, 21 წლის ნინო მურთაზაშვილი წარადგენს.*

ალბათ, ჯობს, თავიდანვე განიმარტოს, რატომ ღირს სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრის" მორიგ ლიცენზიაზე ყურადღების გამახვილება და მსჯელობა კიდევ ერთ საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე, რომელსაც ისევე აქვს პრესტიჟულობასა და გრანდიოზულობაზე პრეტენზია, როგორც ჩვენთვის კარგად ნაცნობ "მის მსოფლიოს". მათ შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ "მის მსოფლიო" ბრიტანელების საკმაოდ წარმატებული პროექტია, ხოლო, "მის სამყარო" – ამერიკელების. Miss Universe ამერიკაში ცნობილი მილიარდერის დონალდ ტრამპის (რომელიც ორგანიზატორობს კონკურსებს: "მის უნივერსი", "მის აშშ", "მის აშშ-ის თინეიჯერი") და ნაციონალური სამაუწყებლო კომპანია NBC-ის ერთობლივი ორგანიზაციაა. ის 2003 წელს ჩამოყალიბდა. "მის სამყარო" კი, როგორც სილამაზის კონკურსი, 1952 წელს კალიფორნიის შტატში, ლონგ ბიჩზე დაიბადა. 1960 წლიდან მაიამი ბიჩზე გადაინაცვლა და სწორედ აქ, CBS-ის სატელევიზიო ქსელის დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა მის სამაუწყებლო ტრადიციას – 1972 წლიდან კონკურსის ტრანსლაციის სურვილს მსოფლიოს უამრავი ქვეყანა გამოთქვამს. NBC დღემდე უზრუნველყოფს ღონისძიების პირდაპირ ეთერს 118 ქვეყნისთვის. ქართული ტელეარხი წელს პირველად გამოიყენებს ამ შესაძლებლობას.

"მის სამყაროს" პოპულარობა მარტივად ასახსნელია, თუკი გავითვალისწინებთ კონკურსის გრანდიოზულ დაფინანსებასა და იმ ქვეყნის ეგზოტიკურობას, სადაც ის უნდა გაიმართოს. ეკვადორი ხომ ტურისტული სამოთხეა უძველესი ქალაქებით; დედაქალაქი კიტო კი (სწორედ იქ იმართება "მის სამყარო") გამორჩეულია არქიტექტურული საგანძურით. ასეთ გარემოში კონკურსის მონაწილეებს სამი კვირის განმავლობაში მოუწევთ ცხოვრება; თანაც, წელს ამაზონის წვიმიანი ტყეების დიდებულებასა თუ გალაპაგოს კუნძულებს 21 წლის მოდელი ნინო მურთაზაშვილიც გაუგებს გემოს.

ნინო საკმაოდ თავდაჯერებული კონკურსანტია. ეს, ალბათ, შარშან "მის მსოფლიოზე" ირინა ონაშვილის წარმატების ერთგვარი დამსახურებაცაა. "რა თქმა უნდა, იმ შემართებით მივდივარ, რომ გავიმარჯვო. ნერვიულობით საერთოდ არ ვნერვიულობ. საკმაოდ ამაღლებული განწყობა მაქვს", - ამბობს ნინო მურთაზაშვილი, რომელსაც ასეთი განწყობა "მის საქართველო 2003"-ზევე შეექმნა, როდესაც "მის სამყაროს" წინა კონკურსის ვიდეოჩანაწერი ნახა. "ფინალი ისეთი შთამბეჭდავი იყო, ვიტირე", - ალბათ, გაცილებით შთამბეჭდავი იქნება მისთვის ცოცხლად ნანახი შოუ, რომელიც თავისი გრანდიოზულობით, თურმე, "მის მსოფლიოსაც" ჯობნის. "მის სამყაროს" პირველი ქართველი კონკურსანტის ჩაცმულობაზე სალონმა "მაკა ასათიანმა" იზრუნა; ამავე სალონში შეიკერება კაბა, რომლითაც ნინო მურთაზაშვილი "ნაციონალური კაბების კონკურსზე" წარდგება; ფეხსაცმელს მას დიზაინერი თათა ვარდანაშვილი უკერავს. კონკურსის პირობების შესაბამისად, კონკურსანტს მაკიაჟის დამოუკიდებლად გაკეთებას სალონ "ვიზაჟში" ასწავლიან.

ნინოს გარდა, წლევანდელ კონკურსზე, დაახლოებით, 106 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. კონკურსს თხუთმეტი ფინალისტი ეყოლება; ყველა მათგანისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ჯილდოები, მათ შორის - ფულადიც; "მის სამყაროს" გამარჯვებული კი ეკვადორიდან სამშობლოში, სასიამოვნო შთაბეჭდილებების გარდა, 100 ათას ამერიკულ დოლარსაც წაიღებს. გოგონებს ირჩევს ცნობილი დიზაინერების, ჟურნალისტების, მოდელებისა თუ პროდიუსერებისგან (რასაკვირველია, ორგანიზატორებთან ერთად) დაკომპლექტებული ჟიური. მის სამართლიანობასა და გემოვნებას კი ჩვენი მაყურებელი თავად შეაფასებს პირველ ივნისს "რუსთავი 2"-ზე კონკურსის ტრანსლირების დროს.



## საკანვორდი



## TV პროგრამა

*8 მაისი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** „სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** „დისკავერი" **18.00, 01.10** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი „სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** „ფსიქო": მხ. ფილმი „აუზი". რეჟ. ფრანსუა ოზონი. **01.20** მხ. ფილმი „სიყვარული გერმანიაში". მთ. რ-ში: ხანა შიგულა.

**09.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. „ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს ბავშვებს 10 წლის ზევით. **12.05** თვეში ერთხელ. საინფორმაციო გამოშვება. Aნალიზი, დებატები. **16.30** კარგი გამგონესთვის. როგორ დავბერდეთ ჯანმრთელები. Iზაბელ მონკადასთან ერთად. **03.55** შვეიცარიის ინვალიდთა დახმარების ფონდი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ფრანკს კარგავს.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.10** მხ. ფილმი „მოვდივართ და მოვიმღერით" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.15** სერიალი „გრაფი მონტე კრისტო" 5-6ს. **14.00** სერიალი „ნაპოლეონი და ევროპა" **15.15** დოკ. ფილმი **15.55** ავტორბოლა „ფორმულა-1" **18.00** ვესტნიკი **18.40** „იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.30** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** „საღამოს საუბრები" **00.15** მხ. ფილმი „შეყვარებული გასტროლიორი"

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** „ბრავო" „კრუპიე" მთ. რ-ში კლაივ ოუენი, ალექსის კინგსტოუნი

### მზე

**09.00** მულტფილმი „მხიარული მელოდიები" **10.20** საბ. სერიალი „საოცრებათა სეზონი" **11.30** საუბრები ბიზნესის შესახებ **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი „სენტიმენტალური ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.15, 20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **16.00** დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" **16.30** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ჩელსი" **18.30** დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" **19.00** სერიალი „ქვეყნის კიდეზე" **20.30** ფეხბურთი მზეზე **21.00** მხ. ფილმი „ერთი ამოსუნთქვით" (ჟან-პოლ ბელმონდო) **23.00** მხ. ფილმი „სვოთი" (სამუელ ელ ჯეკსონი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი „ეშმაკუნა" **21.00** მუს. ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი „ადამიანი მატარებლიდან"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „გმირი" **14.00** მხ. ფილმი „შოუ იწყება" **16.00** მხ. ფილმი „ნიღაბი" **17.30** მხ. ფილმი „სიძულვილის სიყვარული" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი" **00.20** მხ. ფილმი „შიშის ძალა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი „ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი „მითიური მეომრები" **10.30, 18.00, 02.15** იმედის მელოდიები **11.00** „ნბა"-ს ჟურნალი **11.30, 01.30** ტვ-მარკეტი **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" **16.30** პირველი ნახევარი **17.35** დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **19.30** „ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** ქართ. სერიალ „ყავა და ლუდი" **20.45** სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება" **22.00, 02.00** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი „მარლენი" (კ. ფლინტი) **03.00** ეროვნული საკალათბ. ასოციაცია - პლეიოფი

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი „თავზეხელაღებულთა კუნძული" **11.30** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **12.20** „პოზიცია" **14.10** კომედია „ნაციონალური პოლიტიკის თავისუბურებანი" **15.30** მუსიკა **16.10** მულტფილმი „გენიალური ბიჭუნა" **17.40, 21.40, 02.50** მუსიკა **18.20** მელოდრამა „ნოსტალგია მამაზე" **20.10** მხ. ფილმი „წყლის პირას" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **00.40** თრილერი „ჯაშუშური თამაშები" **03.00** მხ. ფილმი „ცეკვები მგლებთან"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00** Новости. **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Сквозь огонь и воду". **07.40** Александр Збруев в фильме **"ПЯДЬ ЗЕМЛИ"** **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.10** "Смак" **11.30** "Кумиры" + кумиры - 2". **12.40** "Ералаш". **13.10** Никита Михалков представляет: "Солдатская правда Астафьева". **13.40** "Служу Отечеству!" Праздничный концерт. **15.00** Надежда Румянцева в комедии **"КРЕПКИЙ ОРЕШЕК"** **16.30** "У Победы - женское лицо". Праздничный канал. **17.30** Леонид Неведомский в детективе **"ПО ДАННЫМ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА"** **19.10** "Кто хочет стать миллионером?" **20.10** ПРАЗДНИЧНЫЙ КОНЦЕРТ, ПОСВЯЩЕННЫЙ ДНЮ ПОБЕДЫ. **22.00** Время. **22.20** Георгий Юматов в фильме **"ОФИЦЕРЫ"** **00.10** Том Хэнкс в боевике **"СПАСТИ РЯДОВОГО РАЙАНА"** **03.10** Боевик **"ДВОЙНАЯ МАТРИЦА"**. (Япония). **05.00** Худ. фильм Бертрана Тавернье **"ЭТО НАЧИНАЕТСЯ СЕГОДНЯ"**.

### НТВ

**06.50** Тимоти Далтон в фильме **"ИСКРЫ ИЗ ГЛАЗ".** **09.00, 13.00, 17.00, 20.00** Сегодня. **09.20** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА"**. Фильм 6-й. **12.00** Квартирный вопрос. **13.20** Военное дело. **13.50** Вкусные истории. **14.00** Петр Вельяминов в фильме **"КОМАНДИР СЧАСТЛИВОЙ "ЩУКИ"**. **16.00** "Форсаж ". Фильм Натальи Гугуевой. **17.20** "Женский взгляд". Людмила Иванова. **17.55** Сериал **"КАМЕНСКАЯ: СМЕРТЬ И НЕМНОГО ЛЮБВИ". 1** с. **19.05** Неизвестная война. Солдат неизвестной войны. **20.35** Николас Кейдж в фильме **"ГОВОРЯЩИЕ С ВЕТРОМ"** **23.25** Премьера. "Тоже война. Шпионы Сталина и Гитлера". Фильм Александра Герасимова из цикла "Новейшая история". **1**с. **00.20** Валентина Березуцкая в фильме **"СТАРУХИ"** **02.40** Двое в городе. **03.05** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# შოტლანდიაში ფეხმძიმე მწეველ ქალებს გამოავლენენ



შოტლანდიაში ამიერიდან ყველა ფეხმძიმე ქალი სპეციალურ სავალდებულო გამოკვლევას გაივლის - ფეხმძიმე ქალებს სთხოვენ, ისუნთქონ სპეციალური აპარატურის მეშვეობით, რომელიც ამოსუნთქვისას მათ ორგანიზმში ნიკოტინის შემცველობას გაზომავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ყველაფერი ფეხმძიმე მწეველი ქალების გამოვლენას და შემდგომ მათ მიერ მოწევისათვის თავის დანებების საქმეს ემსახურება. ასეთი ქალბატონები სპეციალურ ფსიქოლოგიურ ტესტებს და რჩევებს გაივლიან, რათა შეჩერდეს ნაყოფის და მთლიანად ორგანიზმის მოწამვლა. მათ უნიშნავენ სპეციალურ თერაპიასაც.

დღეისათვის გლაზგოში ფეხმძიმე ქალების 27 პროცენტი ეწევა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ მეთოდებმა აუცილებლად უნდა გამოიღოს შედეგი და 2005 წლისთვის ეს რიცხვი - 23 პროცენტამდე, ხოლო 2010 წლისთვის 20 პროცენტამდე უნდა შემცირდეს. მთლიანად შოტლანდიაში ეს ციფრი 51 პროცენტს აღწევს; საშუალოდ, დიდ ბრიტანეთში კი - 24 პროცენტს.

რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი პროცენტი უკვე დაბადებული ბავშვების ავადმყოფობის შანსებს ძალზედ ზრდის. ამის გამო, ყოველდღიურად ასობით ავადმყოფი ბავშვი იბადება. ასეთი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა კი ფეხმძიმე დედების მიერ სიგარეტის მოწევით, არასწორი ცხოვრების წესითაა გამოწვეული. ექიმები ცდილობენ, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ორსულობის პერიოდში ქალებმა თავი აარიდონ მავნე ჩვევას. ამ საქმეში შოტლანდიამ თავი უკვე გამოიჩინა.






# ღალატის მითოლოგია

ამერიკაში ჩატარებულ სხვადასხვა გამოკითხვებზე დაყრდნობით, ათიდან რვა ამერიკელს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ღალატთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ცოლ-ქმარს შორის ღალატი ამ ქვეყანაში მაინც აყვავების გზაზეა.

სტატისტიკის თანახმად ყოველი მესამე მამაკაცი და ყოველი მეოთხე ქალი დაქორწინებულია ან წარსულში იყო დაქორწინებული. ხოლო რაც შეეხება ღალატს, მამაკაცების 25 პროცენტი ცოლს ღალატობს, ქალების კი - მხოლოდ 17 პროცენტი.

ქორწინების ფსიქოლოგიურ მხარეზე გამოცემულია მრავალი წიგნი და ჟურნალი. ცნობილია ქერბი ანდერსონის წიგნი "ქორწილი, ოჯახი და სექსუალურობა". ამ წიგნში საკმაოდ ფართოდაა განხილული ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფსიქოლოგია. მოყვანილია ღალატის სახეობები და მათ ავტორი "ღალატის მითებს" უწოდებს. ავტორს მიაჩნია, რომ ღალატის მთავარი მოტივი სექსუალური შეუთავსებლობაა და სხვა არაფერი, რომელსაც ის მთავარ მითოლოგიას უწოდებს.

## -ის პროგრამა

**10 მაისი**

**07.05, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** აკუსტიკა. გადაცემის სტუმარია დანიელ დარკი თავისი ალბომით"Cr♡ve coeur" **09.30** ტელედილა. **11.30** დაუპატიჟებელი სტუმრები. კიპრი. **17.25** ბეტი ფიშერი და სხვა თავგადასავლები. მხ. ფილმი რეჟისორი კლოდ მილერი. 2001. **21.25** თალასა. გადაკვეთილი გზები. **01.25** ოთხასი დარტყმა. მხ. ფილმი რეჟისორი ფრანსუა ტრიუფო. 1959.

**11 მაისი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. **09.30** ტელედილა.**13.15** ქმნილებანი. მხ. ფილმი რეჟისორი ანეს ვარდა. 1966. **16.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** აქტუალური თემა: დებორას ღიმილი. რეპორტაჟი და დაბინძურებული გარემო. სლოვაკეთი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მაროკო. **05.20** ნებით ან ძალით. . მხ. ფილმი რეჟისორი ფაბრის კაზენევი. 1998.

**12 მაისი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. **09.30** ტელედილა. 11. 05 ზიგზაგ კაფე. რეინის ბრძოლა ალპებში. **13.15** კროსვორდი. არლეტ შაბო გადაცემის სტუმრებთან ერთად სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური თემების შესახებ. **01.25** დინების საწინააღმდეგოდ. 1957 წელი. 7 მაისი. ვიეტნამი. **02.25** არტ რეპორტაჟი. რამადანი.

**13 მაისი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. 11. 05 ზიგზაგ კაფე. რეინის ბრძოლა. ალპები. 21 25 აქტუალური თემა. სკვერები. **24.00** 109. გადაცემის სტუმარი დეპუტატი - ნოელ მამერი.

**14 მაისი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. 11. 05 ზიგზაგ კაფე. რეინის ბრძოლა. ველური დღესასწაული. **17.25** დინების საწინააღმდეგოდ. 1957 წელი. 7 მაისი. ვიეტნამი. **18.25** არტ რეპორტაჟი. რამადანი. **21.25** კულტურები და დამოკიდებულებები. როგორი მსოფლიო გვინდა ჩვენ? გადაცემის სტუმრებთან ერთად. **24.00** კონგო. 1957 წელი. ლეოპოლდ III დოკ. ფილმი.

**15 მაისი**

**08.00** ჩაი თუ ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **09.25** საბავშვო გადაცემა. **11.25** აღმოჩენა. **16.30** რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში?**03.20** ადგილები უცხოელთათვის. რეპორტაჟი შვეიცარიიდან. **03.40** TV5-ის სტუმარი. **03.55** ფილმი ფესტივალი. კანი. **05.15** საინფორმაციო გამოშვება. **05.30** დინების საწინააღმდეგოდ. 1957 წელი. 7 მაისი. ვიეტნამი. დოკ. ფილმი.

**16 მაისი.**

**08.00** ჩაი თუ ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **09.25** საბავშვო გადაცემა. **12.05** მწვანე კვირა. ეძებენ ვეტერინარს. **12.30** ბურლინგერის დრიურები. **15.05** მედიჩის ბიბლიოთეკა. **24.05** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. **01.35** ყველა მათზე ლაპარაკობს.







განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



**ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF) კომუნიკაციის ოფიცერი**

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი

იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცერის (კომუნიკაციის ოფიცერის)** ადგილის დასაკავებლად.

სამუშაოს, მოვალეობების, პასუხისმგებლობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების

დაწვრილებითი აღწერა და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიკითხოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე:

**ktolordava@wwfcaucasus.ge ან office@wwfcaucasusge**

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 18 მაისი












# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.